

178 /
1978/3

საქართველოს
საბჭოთავო
საგარეო
აღმსრებელი
აპარატი

საქართველო

საგარეო
აღმსრებელი
აპარატი



თბილისი - 1978

საქართველო საბჭოთა

№ 1

იანვარი
თებერვალი
1978 წელი

შურნალი გამომდის 1926 წლის 1 მარტიდან

**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს,
პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს
მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი**

შ ი ნ ა ა რ ს ი

დაუნდობლად ვებრძოლოთ ნეგატიურ მოვლენებს	3
ა. ახესაძე — გადაჭრით გავაძლიეროთ მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლა	9
ბ. ფარვიჯუური — საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულების 50 წელი	16
გ. ზოიძე — სახელშეკრულებით და არასახელშეკრულებით პასუხისმგებლობის სუბიექტები	22
დ. ლაბარტუვა — კოლმეურნეობებში საკარმიდამო ნაკვეთებით სარგებლობის უფლების შესახებ	32

დისკუსია, კოლუმბია, რეპლიკა

რ. ცინცაძე — იურიდიული პასუხისმგებლობის ცნება	39
ტ. ლემონჯავა — აფექტის მიზეზად ადულტერის ჩათვლისათვის	45
ა. კვიციანი — ქრთამი — მოსყიდვა და ქრთამი — გასამრჯელო	50
ზ. თალაკვაძე — უფრო მეტი ყურადღება დავუთმოთ პროკურატურის ორგანოებში საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიზაციას	54

სასამართლო ექსპერტიზის საკითხები

თ. უფენტი, გ. კოშმანაშვილი — რა დროს უნდა დაინიშნოს ავტოტექნიკური ექსპერტიზა	56
ნ. ბანცაძე — ავტოტექნიკური ექსპერტის უფლებამოსილების საკითხისათვის	60
ს. ვისოცი — ცოცხლებს შორის გაუჩინარებულნი	63
ლ. ჭანტურია — გიორგი ცქიტიშვილი — 65	70
ექსპერტი, მეცნიერი, მოქალაქე	73
გ. ინწკირველი, თ. ლილუაშვილი — ქონებრივი ურთიერთობა ოჯახში	75
ჩილდო დირსეულით	78
ინფორმაცია	81
მოქმედი კანონმდებლობის კრებულის პირველი ტომები	91
ბიბლიოგრაფია	92
ცნობები ავტორთა შესახებ	95

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ქ. ბირჭვასის სსრ-ის
საბჭოთა

16/19

დაუნდობლად ვეზიკომლოთ ნეგატიურ მოვლენებს

რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, უკვე ხუთ წელიწადზე მეტია დიდ და მიზანდასახულ ღონისძიებებს ახორციელებენ დამნაშავეობის შესამცირებლად, მშრომელთა კოლექტივებში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაჯანსაღებლად, საზოგადოების ცალკეულ წევრთა შეგნებაში წარსულის მავნე გამოწვევების დასაძლევად. კიდევ უფრო გამწვავდა და გაღრმავდა ბრძოლა სოციალიზმისათვის შეუფერებელი ისეთი ანტიპოდური მოვლენების წინააღმდეგ, როგორც არის მექრთამეობა, სახელმწიფო ქონების გატაცება, ქურდობა, ძალადობა და სხვ. სულ უფრო და უფრო ფართოვდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან ნეგატიური ტენდენციების გამოდევნის პროცესი, რაც რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას, მთელ ჩვენს ხალხს ერთერთ მთავარ ამოცანად დაუსახა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის ცნობილ დადგენილებაში პარტიის თბილისის კომიტეტის შესახებ.

რესპუბლიკის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას მაღალი მომთხოვნეობის, მტკიცე შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინის დამკვიდრებისათვის, სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის აღებულ ურყევ კურსს, საბჭოთა კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას უნდა მოჰყოლოდა და უდავოდ მოჰყვა კიდევ თვალსაჩინო, ყველასათვის ცხადი და საგულისხმო შედეგები. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ წარმატებები და მყარი დადებითი ტენდენციებია არამარტო ეკონომიკის განვითარებაში, არამედ ადამიანების ფსიქიკაშიც, მშრომელთა სულიერ ცხოვრებაში. ქალაქად თუ სოფლად, თითოეულ სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო საწარმოო კოლექტივში შეიქმნა სამართალდარღვევებისადმი შეუტირებლობის ატმოსფერო. ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას ხალხის მატერიალური კეთილდღეობის, იდეურ-ზნეობრივი და კულტურული ღონის ამადლების, ადამიანთა შეგნებაში მეშხანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივების დაძლევის საქმეში. ეს მიღწევები ადამიანებს უნერგავს სიმზნევესა და თავისი ძალების რწმენას.

მაგრამ რესპუბლიკაში მიმდინარე პოზიტური ძვრები არ გვაძლევს იმას უფლებას, რომ თუნდაც ერთი წუთით მოვადუნოთ სიფხიზლე, შევანელოთ ბრძოლის სიმწვავე, თვითკრიტიკულად არ შევაფასოთ ჩვენი საქმიანობა. გასათვალისწინებელია, რომ წარმატებებსაც აქვს თავისი უარყოფითი მხარე. ისინი ხშირად წარმოშობს თვითდამშვიდების განწყობილებას, თვითკმაყოფილებას, გულზვიადობას, ყოყოჩობას, ზომიერების გრძნობის დაკარგვას, რაც საქმისათვის მეტად საშიში და საზიანოა. სამწუხაროდ, ასეთი განწყობილება შეიმჩნევა რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ზოგიერთ რგოლში და

აუცილებელია მას ბოლო ნოვულოთ საწყის სტადიაშივე. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ „გადასაწყვეტ ამოცანათა მასშტაბისა და სირთულის ზრდის კვალობაზე მკაცრი, კრიტიკული მიდგომა ყველა საქმისადმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს“¹.

ამოცანა ის არის, რომ დაუყოვნებლივ ვამხილოთ და დავძლიოთ უღარ-დელობის ის განწყობილება, რასაც აქა იქ ვხვდებით, ყოველმხრივ გავაძლიეროთ და გავაღრმავოთ ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, დავხვეწოთ და სრულვყოთ ამ ბრძოლის ორგანიზაციის ფორმები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმმა, რომელიც 1977 წლის დასასრულს გაიმართა, პარტაული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოების, მთელი საზოგადოებრიობის ყურადღება სწორედ ამ პრობლემებს მიაპყრო. პლენუმზე ხაზი გაესვა, რომ სწორედ ახლა, სწორედ დღეს არის დროული და უაღრესად საჭირო ფართოდ გაიშალოს და ლოგიკურ დასასრულამდე იქნას მიყვანილი ნეგატიური ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ თავის საბოლოო სიტყვაში პლენუმზე, ანის თაობაზე შემდეგი განაცხადა: „უნდა გავშალოთ უფრო ეფექტიანი, უფრო ქმედითი ბრძოლა, ჭეშმარიტად გლობალური ბრძოლა, თუ გნებავთ გლობალური შეტევა ყველა ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ — ყველა ჯურის მექრთამეების, მაქინატორების, საქმოსნებისა და კომბინატორების, ხულიგნებისა და პროვოკატორების წინააღმდეგ.“

რას ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ, ამ ბრძოლის ახალი აზვირთება, ახალი უფრო ძლიერი აზვირთება გვჭირდება?

უწინარეს ყოვლისა ვგულისხმობთ, რომ ამ ახალ აზვირთებას, ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლას ჩვენში კარგი საფუძველი, მკვიდრი საძირკველი აქვს. ასეთი საძირკველი ეს ჩვენი წარმატებებია, ჩვენი მიღწევებია“².

პლენუმზე საგანგებოდ ითქვა, რომ ახალ ვითარებაში, როდესაც მწვავედ და უღმობელი ხდება ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა, კიდევ უფრო იზრდება როლი ადმინისტრაციული ორგანოებისა, რომლებიც მოვალენი არიან იყვნენ ამ ბრძოლის ავანგარდში. რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სასამართლო ორგანოების უპირველესი ვალია დაუნდობლად ებრძოლონ განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებს, ვინც ხელყოფს სოციალისტურ საკუთრებას, ბოროტულად არღვევს მართლწესრიგს, განწყობილებას უშხამავს მშრომელ ადამიანებს, ამასთან ერთად მათ ევალებათ განუხრელად დაიცვან საბჭოთა კანონი, მისი ფორმა და შინაარსი, მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები. დღეს ეს არის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანა და ნისი გადაჭრა წარმოუდგენელია თუ შემდგომ არ გავაუმჯობესეთ და სრულვყოთ ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა. აუცილებელია ყოველმხრივ ავამაძლიოთ თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა, განვამტკიცოთ ჩვენი კადრების საშემსრულებლო დისციპლინა, განვუვითაროთ მათ ინიციატივისა და სიახლის გრძნობა, აღვზარ-

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარაში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბილისი, 1976 წ. გვ. 93.

² ურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1978 წ. № 1, გვ. 65.

დღით ისინი ნაკლოვანებებისა და ნეგატიური მოვლენებისადმი შეუტრიახებლობის სულსკვეთებით. ახალ ვითარებაში სრულიად შეუწყნარებელი, ყოვლად მოუთმენელია რომ ნეგატიურ ტენდენციებს, მოშვებულობასა და უკონტროლობას ვხვდებით თვით სამართალდამცველ ორგანოებში. ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა „ამ სისტემაში აღიკვეთოს, აღმოიფხვრას დარღვევები, ბოროტმოქმედებანი, გადახვევები... რათა ან ორგანოებში სანიმუშო — ბოლშევიკური წესრიგი დამყარდეს“³...

ამ მოთხოვნათა მიხედვით თუ განვიხილავთ სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების ცალკეული რგოლისა თუ მუშაკის საქმიანობას, არასახარბიელო სურათი წარმოგვიდგება. ავიღოთ მაგალითად ქ. თბილისის ლენინის რაიონის პროკურატურა (პროკურორი მ. გიორგობიანი). რესპუბლიკაში დანაშაულის საერთო შემცირების ფონზე აქ მისი რაოდენობა იზრდება, მათ შორის განსაკუთრებით საშიში დანაშაულისა. სისხლის სამართლის საქმეთა უხარისხოდ გამოძიების გამო სასამართლო ორგანოები საქმეთა საგრძნობ ნაწილს აბრუნებენ ხელახლა გამოსაძიებლად. ამ მხრივ რაიონის პროკურატურას ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს არამართო ქალაქ თბილისის, არამედ რესპუბლიკის ბევრ სხვა რაიპროკურატურასთან შედარებით. უკანასკნელ ორ წელიწადში ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი 18 პირის მიმართ. არის უკანონო პატიმრობის ფაქტები. სხვა რაღა უნდა ითქვას, როცა სასამართლოს განჩინებაც კი თვეობით დევს პროკურატურაში უმოძრაოდ. და რაც ყველაზე მეტად შეუწყნარებელია, აქ იქამდეც კი მივიდნენ, რომ აღამაზებენ საქმის ფაქტიურ მდგომარეობას და თავიანთი ანგარიშებით შეცდომაში შეპყავთ ხელმძღვანელი ორგანოები. ეს კი საგანგაშოა. ქ. თბილისის პროკურატურის ხელმძღვანელობას მოუწევს გულდასმით შეისწავლოს ლენინის რაიონის პროკურატურის მუშაობის სტილი და მეთოდები, განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი მდგომარეობის განთსწორებისათვის. მონაცემების შელამაზების ფაქტებს ვხვდებით აგრეთვე ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის (თავმჯდომარე ს. ბოსტოლანაშვილი), კალინინის რაიონის (თავმჯდომარე გ. ხაბეიშვილი) და ზოგიერთი სხვა სასამართლოების მხრივაც. თავისთავად ცხადია, მუშაკი, რომელიც ამას სჩადის, ყველაზე რბილად რომ ვთქვათ, კარგავს მორალურ უფლებას სხვას მოსთხოვოს პასუხი სახელწიფო ანგარიშგებაში დამახინჯებისათვის.

მხოლოდ ხელმძღვანელთა უპრინციპობით, უკონტროლობით შეიძლება აიხსნას, რომ შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოების ზოგიერთი მუშაკი, რომლის სამსახურებრივი მოვალეობაა უკომპრომისო ბრძოლას ეწეოდეს მექრთამეობის წინააღმდეგ, თვითონ იქნა გამომყლავნებული, როგორც მექრთამე. ასე მაგალითად ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი კ. დობტურიშვილი, ამასწინათ მსჯავრდებული იქნა ქრთამის აღების გამო. ასევე, ქრთამის აღებისათვის დაპატიმრებულები და სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემულნი გორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები ო. ჯაფარიძე, ე. სეფერიანი, გ. ბეტიკიანი და სხვ.

ამ სამწუხარო ფაქტებიდან საჭიროა გამოვიტანოთ პრაქტიკულ-პოლიტი-

³ თურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1978 წ. № 1, გვ. 83.

კური დასკვნები და გადაჭრით გაგწმინდოთ ჩვენი რიგები ყოველგვარი სიბილწისაგან. მუდამ უნდა ვვახსოვდეს, რომ განონის სადარაჯოზე მხოლოდ ის შეიძლება იდგეს, ვინც პოლიტიკურად ყოველმხრივ მომზადებულია, აქვს კარგი პროფესიული და საერთო განათლება, ესმის ადამიანებისა. სწორედ ასეთ მუშაკებს და მხოლოდ ასეთ მუშაკებს შეიძლება ვანდოთ ყველაზე ძვირფასი კაბიტალის, ადამიანის ბედ-იღბლის გადაწყვეტა.

ადმინისტრაციულ ორგანოებში ჯერ კიდევ შემარჩევებლურად ეკიდებიან ფორმალისმისა და ბიუროკრატიზმის, უდისციპლინობისა და უნათობის ფაქტებს. განა მოსათმენია, რომ ბოგდანოვკის, დუშეთის, ქ. ქუთაისის, გარდაბნის რაიონების პროკურატურებში საქმეთა მესამედი და უფრო მეტიც გამოძიებულია ვადის დარღვევით. ამასთან, რესპუბლიკაში მთლიანად გამოძიების ხარისხი გაუარესდა. იშვიათი როდია მოქალაქეთა უკანონოდ დაპატიმრებისა და დაკავების შემთხვევები. ეს კი ყოვლად დაუშვებელია. უკანონო პატიმრობის, აგრეთვე გამოძიებასა და სასამართლოში როგორც ტენდენციურობის, ისე ლიბერალიზმის თითოეული ფაქტი განხილულ უნდა იქნას, როგორც საგანგებო შემთხვევა და დამნაშავე პირები მკაცრად დაისჯონ.

რესპუბლიკის ზოგიერთ სასოფლო რაიონში (ორჯონიკიძის, თელავის, ნესტის და სხვ) შეიმჩნევა საქმოსანთა ერთგვარი გამოცოცხლება, რაც დიდ შემოფოტებას იწვევს. სამუშაოზე, ამ რაიონების ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, რომელთა თვალწინაც საქმოსნები ყოველგვარ უმსგავსოებას სჩადიოდნენ, ვერ გამოიჩინეს საჭირო სიფხიზლე, დროულად ვერ გამოამყდავენეს კომბინატორები და ამის გამო სახელმწიფომ დიდი ზარალი განიცადა.

არავის არ უნდა შეეკმას იმის ილუზია, რომ საქმოსნობა, კომბინატორობა საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს. ასეთი განწყობილება მავნეა და ხელს უშლის მომხვეჭელების, სახელმწიფო ქონების გამოფლანგვლების და სხვა მაქინატორების ბოლომდე გამოამყდავენებასა და უგნებელყოფას.

სერიოზული ნაკლოვანებები ადმინისტრაციული ორგანოების ნუშობაში ინიტაც უნდა აიხსნას, რომ კადრების აღზრდას, მათს დაოსტატებასა და სწავლებას, სწორად განაწილებასა და განოყენებას ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება. ეს ხარვეზები სათავეს იღებს უნივერსიტეტის კედლებშივე. უკანასკნელ ხანს ბევრი ლაპარაკია იმაზე, რომ თსუ იურიდიული ფაკულტეტის დაკომპლექტება, სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობა გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს. უამისოდ შეუძლებელია მაღალკვალიფიციურ იურისტთა აღზრდა და ჩამოყალიბება, საერთოდ რესპუბლიკაში იურიდიული აზროვნების განვითარება.

ცხადია, ქართული იურიდიული ჟურნალი გულგრილი ვერ დარჩებოდა იმ ნეგატიურ მოვლენების მიმართ, რასაც ახლო წარსულში ადგილი ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა აღზრდასა და სწავლულ იურისტთა სანეცნიერო მოღვაწეობაში.

ჩვენს მკითხველებს ალბათ ახსოვთ, თუ რა უჩვეულო გამოცოცხლება დაეტყო ჟურნალს ამ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ფართოდ გაიშალა რესპუბლიკაში გამეფებული განუკითხაობისა და უკონტროლობის ვითარების კრიტიკა. ჟურნალის ფურცლებზე ხედიზედ გამოქვეყნდა მამხილებელი წერი-



ლები⁴. თითქოს ვინმეს ჭაობში ჩაბუღებული ათასგვარი უწმინდურობა მადლა ამოეზიდოს და საქვეყნოდ გამოემზეურებინოს, ისე გამოიტანეს ამ წერილებმა დღის სინათლეზე ათეული წლობით ჩვენში დაგროვილი სხვადასხვა სახის მანკიერებანი. არაერთი ავტორი იქნა გაკრიტიკებული... ბევრი ფაქტი უმეტესობისა გამოაშკარავდა... უფრო ნეტიც, თსუ სისხლის სამართლის კათედრის გამგე პროფ. ბ. ფურცხვანიძე მხილებულ იქნა ისეთ საქციელში, რომელსაც პლაგიატს — უწოდებენ და რომელიც მეტი რომ არ ვთქვათ საავტორო უფლებათა უმძინეს დარღვევად ითვლება.

ჟურნალის მიერ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ წამოწყებულმა კრიტიკამ, სამწუხაროდ, მაშინ სათანადო მხარდაჭერა ვერ ჰპოვა იმ დაწესებულებათა თუ თანამდებობის პირთა მხრივ, რომელთა უშუალო მოვალეობას შეადგენდა გამომხატებოდა ამ გამოსვლებს, განეხორციელებინა ღონისძიებანი მომავალში მსგავსი მოვლენების აღსაკვეთად, ეზრუნა მეცნიერთა კოლექტივში კრიტიკული ატმოსფეროს შექმნისათვის, მეცნიერული პროდუქციის ხარისხის მკვეთრი ამაღლებისათვის. ამ საყვედურს უპირველესად იმსახურებენ თსუ საგამონცემლო საბჭო, იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. იმის მაგივრად, რომ პლაგიატობის ფაქტი აქ საგანგებო მსჯელობის საგნად ექციათ, ზოგიერთი შეეცადა კიდევ ამ საქმის მიფუჩეჩებას. პრესაში კრიტიკული გამოსვლებისადმი ასეთი დამოკიდებულება ყოველად მოუთმენელია. სამწუხაროა, რომ ჩვენში „ჯერ კიდევ გვხვდებიან მუშაკები, რომლებიც სათანადოდ არ აფასებენ პრესის საზოგადოებრივ მნიშვნელობას... არ იციან კრიტიკის მოსმენა და ამ კრიტიკიდან სწორი დასკვნების გამოტანა“⁵.

მხოლოდ ასეთ ატმოსფეროში გახდა შესაძლებელი უპრეცედენტო შემთხვევად როცა ბროშურის — „მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად“, ავტორმა და რედაქტორმა, რომლებიც თავის დროზე გაკრიტიკებული იყვნენ ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე, ბროშურა პირადი ანგარიშსწორების საშუალებად გამოიყენეს და დაუხსაბუთებელი ბრალდებანი წაუყენეს ჟურნალ „საბჭოთა სამართალს“ და წის სარედაქციო კოლეგიას. ასეთი დამოკიდებულება სრულიადაც არ უწყობს ხელს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გავლას, ხოლო იქ, სადაც კრიტიკა არ არის, სადაც კრიტიკას პატივს არ სცემენ, მეცნიერება ვერ იარსებებს და ვერც განვითარდება.

ეს შეეხება ჟურნალ „საბჭოთა სამართალსაც“, რომელიც მოვალეა იდგეს არამარტო თანამედროვე ქართული იურიდიული აზროვნების, არამედ მთელი საბჭოური მეცნიერების განვითარების დონეზე, კრიტიკულად უდგებოდეს ყოველ პუბლიკაციას, განსაკუთრებულ დახმარებას უწევდეს პრაქტიკოს იუ-

⁴ იხ. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ 1974 წ. № 1, 4, 5, 6, 1975 წ. № 1, 3 და სხვ.

⁵ ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბილისი, 1976 წ. გვ. 107.

რისტებს და, პირველ რიგში, ადმინისტრაციულ ორგანოებში სამუშაოდ მოსულ დაღ. ზრდობას.

სარედაქციო კოლეგია ცდილობს და ახორციელებს კიდევ ღონისძიებებს, რათა იყოს დღევანდელი ამოცანების დონეზე, აამაღლოს გამოსაქვეყნებელი სტატიებისა და სხვა მასალების ხარისხი, მათი მეცნიერულ-პრაქტიკული ღირებულება სრულყოფის თვისი კავშირი ავტორებთან და მკითხველებთან ამას წინათ რედაქციის მიერ მოწყობილ მკითხველთა დაფსწრებელ, აგრეთვე თბილისში გამართულ კონფერენციებზე წარსყენებული იქნა ბევრი საინტერესო წინადადება, რომელთა რეალიზაცია ხელს შეუწყობს ჟურნალის საქმიანობის გაუმჯობესებას, განამტკიცებს მეცნიერთა და პრაქტიკოს-იურისტთა თანამშრომლობას. წინ წასწევს მთელ ჩვენს საქმეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადაწყვეტილებები რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოებისათვის შემობრუნების პუნქტად უნდა გადაიქცეს. დამნაშავეობას, არაჯანსაღ მოვლენებს ობიექტულურ, მეშხანურ ფსიქოლოგიას უღმობელი ბრძოლა უნდა განოფუცხადოთ. ეჭვი არ არის, რომ ამ ბრძოლაში თავის გამამწყვეტ სიტყვას იტყვას რესპუბლიკის შინაგან საქმეთა, იუსტიციის, პროკურატურის, სასამართლო ორგანოების მუშაკებიც.



ბალაჭრით გავაქლიაქროთ მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლა

ბ. აბმსხმი,

საქართველოს სსრ. იუსტიციის მინისტრის მოადგილე

განვითარებული სოციალიზმის, საბჭოთა დემოკრატიის სრულყოფის პირობებში გაიზარდა მშრომელი მასების როლი ქვეყნის ნართვასა და კანონიერების განმტკიცებაში. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მშრომელთა უფლებების რეალიზაციის იმ ხელშემშლელი მიზეზების დროულად აღმოფხვრასაც, რომლებიც სათავეს იღებენ სახელმწიფო აპარატის ცალკეულ ორგანოებში ბიუროკრატიზმისა და პროტექციონიზმის განოვლინებიდან, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის შესუსტებიდან. ძირითადად სწორედ ეს ფაქტორები უმზადებენ ნიადაგს მექრთამეობას, რომლის რეციდივები ჩვენს სინამდვილეში სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ სხვა უარყოფით სოციალურ და პოლიტიკურ შედეგებთან ერთად, დღემდე შემორჩენილი ეს უმძიმესი დანაშაული პირველ რიგში აბუჩად იგდებს კანონს, სახელს და ავტორიტეტს უტენს სახელმწიფო აპარატს, რყვის კადრებს და სერიოზულად უშლის ხელს რესპუბლიკაში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებს, რომლებიც მიზნად ისახავს ყველა სფეროში კანონიერებისა და დისციპლინის განმტკიცებას. „მექრთამეობა, — აღნიშნა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ნეშვიდე სესიაზე, — არსებითად კანონით ვაჭრობაა, რადგან მექრთამე ქრთამს სწორედ იმაში იღებს, რომ წესისა და კანონის დარღვევით ან სიყალბის ჩადენით გააარიგოს რაიმე საქმე“¹.

ამიტომ სავსებით კანონზომიერად უნდა ჩათვალოს, რომ საქართველოს კონპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმმა, სკკპ დეკემბრის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად და სოციალურ-კულტურული განვითარებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო გაამწვავა ბრძოლა მექრთამეობის, სოციალისტური საკუთრებისადმი უყიარათო დამოკიდებულების წინააღმდეგ, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში არსებული დარღვევების აღმოსაფხვრელად.

პლენუმზე ითქვა, რომ მექრთამეობასთან ბრძოლის თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით იზრდება ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებლობა. ხაზგასმით უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ უმძიმესი დანაშაულის წინააღმდეგ მილიციის, პროკურატურის და სასამართლო ორგანოების ბრძოლის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება პარტიის საპროგრამო მოთხოვნებს. ამასთან ეს ორგანოები მოწოდებულნი არიან არა მარტო სრულად გამოავლინონ და დასაჯონ დანაშაულები, არამედ არ დაუშვან ნოქალაქეთა უფლებების უსაფუძვლოდ ხელყოფაც.

¹ გაზეთი „კომუნისტი“, 1977 წლის 29 დეკემბერი.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის სწორედ წარმართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვით ადმინისტრაციული ორგანოების ავტორიტეტის განმტკიცებისათვის. „რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები და ადმინისტრაციული ორგანოები — თქვა ე. ა. შევარდნაძემ მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის X XV ყრილობაზე, — უნდა იღვწოდნენ იმისათვის, რომ კანონის სადარაჯოზე იდგნენ მაღალი პოლიტიკური, პროფესიული და ინტელექტუალური კულტურის ადამიანები, რომლებიც პასუხს აგებენ მინდობილი საქმისა და ადამიანთა ბედისათვის“². დიდია ადმინისტრაციული ორგანოების როლი აგრეთვე მოსახლეობის მართლშეგნებისა და აქტივობის შემდგომ ამაღლებაში. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ საზოგადოებრიობის მხარდაუჭერლად შეუძლებელია მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლაში სერიოზული წარმატების მოპოვება.

მექრთამეობის წინააღმდეგ საზოგადოებრიობის აქტივობის გაზრდას პარტიული ორგანოების მხრივ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის გამწვავებასთან ერთად ხელი შეუწყო აგრეთვე სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის 45-ე მუხლმა, რომლითაც ყოველ მოქალაქეს უფლება მიეცა ვააკრიტიკოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები.

ამასთან, კანონმდებელმა კატეგორიულად აკრძალა კრიტიკისათვის დევნა, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა მოქალაქის უფლების სამართლებრივი გარანტიები. შესაბამისად გაიზარდა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა პასუხისმგებლობაც.

სკკპ X XV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნა: „ჩვენ ვუთმობდით და კვლავაც დავუთმობთ მუდმივ ყურადღებას მილიციის, პროკურატურის, სასამართლოების, იუსტიციის ორგანოების საქმიანობის სრულყოფას, რომლებიც დგანან საბჭოთა კანონების, საბჭოთა საზოგადოების ინტერესების, საბჭოთა მოქალაქეების უფლებების დაცვის სადარაჯოზე“³.

ეს მითითება დიდ მოვალეობას აკისრებს სასამართლოებს, რომლებიც მოვალენი არიან ყოველმხრივ გააძლიერონ ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მართლმსაჯულების ორგანოების შექმნისა და საქმიანობის პრინციპებმა თავისი სრულყოფილი დაკანონება პპოვა სსრკ ახალ კონსტიტუციაში, სადაც აღნიშნა, რომ არავინ არ შეიძლება ცნობილი იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლის საზღართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად. საბოლოოდ მართლმსაჯულების ორგანოებში ფასდება მექრთამეობის წინააღმდეგ ყველა სხვა ორგანოს მიერ ჩატარებული მუშაობა. სასამართლოებისაგან ეს მოითხოვს წინასწარი გამოძიების მასალებისადმი სათანადო კრიტიკულ მიდგომას, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ზედმიწევნით ზუსტად გამოყენებას და ამის საფუძველზე კანონიერი განაჩენის გამოტანას.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და სასამართლო ორ-

² საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სანაგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის X XV ყრილობას, თბილისი 1976, გვ. 146.

³ ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბილისი, 1976 წ. გვ. 114.

განოების მიერ კატეგორიის საქმეთა სწორი გადაწყვეტისათვის სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 23 სექტემბრის დადგენილებას „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“¹, რომელშიც არა მარტო მხილებულია სასამართლოების მიერ ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას დაშვებული ტიპობრივი შეცდომები, არამედ პასუხი აქვს ვაცემული მრავალ სადავო საკითხს, რომლებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების საქმიანობის სრულყოფისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განმარტა რომ კანონით მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცინენ როგორც თანამდებობის პირები, ისე ის ნუშაკებიც, რომლებიც საამისოდ უფლებამოსილი ხელმძღვანელის თუნდაც ზეპირი განკარგულებით დროებით ასრულებდნენ თანამდებობის პირის მოვალეობას და ამ პერიოდში აიღეს ქრთამი.

ქრთამის ამრებად პლენუმმა ჩათვალა სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საწარმო-დაწესებულებების ის მუშაკებიც, რომლებსაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობისა და მოვალეობის შესრულებისას შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ სხვა თანამდებობის პირებზე, რათა მათ შესრულებინათ ქრთამის ამღებისათვის სასურველი მოქმედება.

დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის უზრუნველსაყოფად და სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა სასამართლოებს მოსთხოვა ზუსტად გამოიჩინონ ერთნაწილისაგან მექრთამეობაში შუამავლობა, ქრთამის მიცემა და ქრთამის აღება, რაშიც ჩვენს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს ჯერ კიდევ მოსდით შეცდომები. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ კანონმდებელი ქრთამის აღების, მექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის აწესებს მნიშვნელოვანად განსხვავებულ სასჯელებს. ასე მავალითად, ქრთამის აღება თანამდებობის იმ პირის მიერ, ვისაც პასუხსაგები მდგომარეობა აქვს ან აღრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის, ან რომელიც სისტემატურად ეწეოდა ქრთამის გამოძალვას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 8-დან 15 წლამდე, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში სიკვდილითაც. ქრთამის მიცემა კი საქართველოს სსრ 190 მუხლის პირველი ნაწილით ისჯება ნხოლოდ სამიდან რვა წლამდე.

როგორც სასამართლო სტატისტიკის მონაცემები გვიჩვენებს, გასულ წელს რესპუბლიკაში ყველაზე მეტი პირია გასამართლებული ქრთამის მიცემისათვის, მაშინ როცა მექრთამეობაში შუამავლობისათვის ერთეული საქმეებია აღძრული და სასამართლოში განხილული. მექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის გასამართლებული პირებიდან დიდია ქალთა ხვედრითი წონა, რაც სპეციალურ შესწავლას საჭიროებს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მექრთამეობაში შუამავლად ჩათვალა პირი, რომელიც მოქმედებს რა ქრთამის მიცემის ან ქრთამის ამღების დავალებით, უშუალოდ გადასცემს ქრთამს. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს ის ამ შუამავლობისათვის იღებს თუ არა რაიმე ანაზღაურებას ქრთამის მიცემისა და ქრთამის ამღებისაგან.

საყურადღებოა და მნიშვნელოვანი უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მი-

¹ См. журнал «Советская юстиция», 1977, № 22, стр. 28.

თითება, რომლის მიხედვითაც იმ პირთა ქმედობა, რომლებიც აძლევენ ქრთამს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის რაიმე სარგებლობის ან უპირატესობის მისაღებად, ქრთამის მიცემად უნდა დაკვალიფიცირდეს.

ამასთან, თუ არის საფუძველი, ეს დანაშაული გაერთიანდება სხვა დანაშაულთან, მაგალითად, სახელმწიფო ქონების გატაცებასთან, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან და სხვა.

სასამართლოებს განემატათ, რომ წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების და მათი განყოფილებების ხელმძღვანელები, რომლებიც სამსახურებრივად დაქვემდებარებულ ან სხვა პირებს სთავაზობენ ქრთამს მათთვის სასურველი შედეგის დასაღწევად ან უამისოდ, პასუხს აგებენ როგორც ქრთამის მიმცემნი. ხოლო ის პირები რომლებიც ასეთი ხელმძღვანელების დავალებით დანაშაულებრივ კავშირს დაამყარებენ თანამდებობის პირებთან, მისცემენ ნათ ქრთამს, ხოლო ეს უკანასკნელნი ქრთამის გამო შეასრულებენ ამა თუ იმ მოქმედებას, პასუხს აგებენ როგორც ამ დანაშაულის თანამონაწილენი.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გამწვავების პირობებში განსაკუთრებით მკაცრად უნდა დადგეს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც ადრე იყვნენ მსჯავრდებულნი ან მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. ამის მაგალითია მოქმედება, ადრე ქრთამის ნიციემისათვის ნასამართლობის მქონე ა. ლ-სა, რომელმაც სასჯელის მოხდის შემდეგ დეპოს უფროსად მუშაობის პერიოდში, თითო მძღოლისაგან მართვის მოწმობების მიცემაში ქრთამად აიღო 150 მანეთი.

ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა და მექრთამეობაში შუამავლობა დამთავრებულად ითვლება თუნდაც ქრთამის ნაწილი იქნეს აღებული ან გადაცემული. კანონმდებელი განმარტავს, რომ თუ შეპირებული ქრთამი არ იქნა მიღებული, ქრთამის მიმცემის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ქრთამის მიცემის მცდელობა, ხოლო შუამავლისა, როგორც მცდელობა მექრთამეობაში შუამავლობისათვის. თუ შეპირებული ქრთამი არ იქნა მიღებული ქრთამის ამღებისაგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, მისი ქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც ქრთამის აღების მცდელობა.

სასამართლო პრაქტიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პლენუმის იმ მითითებას, რომ პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის დგება თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღების დროის მიუხედავად. ე. ი. ნიშნელობა არა აქვს რა დროს შესასრულა თანამდებობის პირმა ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ გარკვეული მოქმედება ან უმოქმედობა ქრთამის მიღებამდე თუ მის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება აგრეთვე იყო თუ არა ქრთამის მიცემის შესახებ მხარეთა შორის წინასწარი შეპირება.

ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკა იმაზეც ნივანიშნებს, რომ იშვიათი არ არის ქრთამის გამოძალვის შემთხვევები. გამოძალვა — ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში — ნიშნავს თანამდებობის პირის მიერ ქრთამის ნოთხოვნას ისეთი სამსახურებრივი მოქმედებისათვის, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ქრთამის მიმცემის კანონიერ ინტერესებს. გამოძალვა მაშინაც ხდება, როცა თანამდებობის პირი განზრახ ქმნის ისეთ პირობებს, რომლის დროსაც მოქალაქე იძულებულია მისცეს ქრთამი, რათა აიცილოს თავისი კანონიერი ინტერესების დარღვევა.

გამოძალვად ითვლება აგრეთვე თანამდებობის პირის მიერ ქრთამის მოთ-

ზოგნა ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ისეთი კანონიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომელთა შესრულებაც თანამდებობის პირის მოვალეობას შეადგენდა და იყო რეალური საშუალება მას უფლებამოსილების გადამეტების გარეშე შეესრულებინა ეს თხოვნა.

ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გამწვავების ვითარებაში შესაძლებელია ზოგიერთმა უღირსმა ნუშაკმა მიმართოს ქრთამის მიცემისათვის წაქეზებასაც. ზოგიერთი პირი ქრთამის აღებასთან ერთად ამ ხერხს იყენებს სახელმწიფო ორგანოს, ან ამა თუ იმ პატიოსანი მუშაკის სახელისა და ავტორიტეტის გასატეხად, პასუხისმგებლობისაგან თავის დასაძვრენად, როგორც ამას ცდილობდა, მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ მექრთამეობისა და სხვა ნიმიე დანაშაულებისათვის გასამართლებული გ. თოდუა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს არც ეს გამოჩნა მხედველობიდან. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ თუ პირი ქრთამის მიმცემისაგან იღებს ფულს ან სხვა ღირებულებას თითქოსდა თანამდებობის პირისათვის ქრთამად გადასაცემად და სინამდვილეში ითვისებს მას, მისი ქმედობა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ჩაითვლება როგორც წაქეზება ქრთამის მიცემისათვის, ან როგორც შუამავლობა მექრთამეობაში. ქრთამის მიმცემი ასეთ შემთხვევაში პასუხს აგებს ქრთამის მიცემის მცდელობისათვის.

ყველა ჯურის მექრთამის მხილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პლენუმის იმ მითითებას, რომ სასამართლოებმა ქრთამის მიმცემი პირი უნდა გაათავისუფლონ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თუ მას ქრთამში გამოძალეს, ანუ თუ ქრთამის მიცემის შემდეგ პირმა ნებაყოფლობით განაცხადა ამის შესახებ. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს განცხადება ზეპირი ფორმით იქნება გაკეთებული თუ წერილობით. განცხადება შეიძლება შეტანილ იქნას მილიციაში, პროკურატურაში, სასამართლოში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში, მაგრამ იგი არ უნდა მოხდეს მას შემდეგ, როცა ეს დანაშაული უკვე ცნობილია ადმინისტრაციული ორგანოებისათვის.

პლენუმმა განუმარტა სასამართლოებს, რომ თუ ქრთამის მიმცემის ნიმართ აღგილი ქონდა გამოძალვას და მან ქრთამის გადაცემამდე ნებაყოფლობით განაცხადა ანის თაობაზე, ფული და ქრთამის სახით აღებული სხვა ნივთი უბრუნდება განმცხადებელს. სხვა შენთხვევაში ქრთამის სახით გადაცემული ფული ან ნივთები, ჩაითვლება მტკიცებულებად და ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავალში.

მექრთამეობის დიდი საშიშროების გამო კანონმდებელი დამატებითი სასჯელის სახით აწესებს ქონების კონფისკაციასაც. მის ქვეშ იგულისხმება მსჯავრდებულის პირადი საკუთრების მთელი ქონების ან მისი ნაწილის იძულებით უსასყიდლო ჩამორთმევა და სახელმწიფოსათვის გადაცემა.

პლენუმი სასამართლოებს ავალებს ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას იმსჯელონ ნექრთამეობისათვის გასამართლებულ პირთა მიმართ ისეთი დამატებითი სასჯელების გამოყენებაზე, როგორიცაა გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. ჩვენი სასამართლო პრაქტიკა იმაზე მიგვანიშნებს, რომ მართლმსაჯულების ორგანოები ჯერ კიდევ სერიოზულ შეცდომებს უშვებენ დანატებითი სასჯელების დანიშვნისას. მაგალითად 1977 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის მეორე ნაწილით გასამართლებული პირებიდან ცოტას შეეფარდა ქონების კონ-

ფისკაცია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამ საქმეში სუსტია საპროკურორო ხელმძღვანელობა.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება მოითხოვს სასამართლოების პროფილაქტიკური მუშაობის ვაუმჯობესებას. სასამართლოები ყოველთვის არ იხილავენ ამ კატეგორიის საქმეებს გამსვლელ სესიებზე, სათანადოდ არ ემზადებიან სასამართლო პროცესების ჩასატარებლად და სხვ. «სასამართლოების აღმზრდელი მნიშვნელობა უდიდესია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — სად არის ჩვენში ამისათვის ზრუნვა? სად არის რეალური შედეგების აღრიცხვა? ეს არ არის. ეს კი მთელი იურიდიული მუშაობის ანბანია»⁵.

ვ. ი. ლენინი იუსტიციის და სასამართლოს მუშაკებისაგან მოითხოვდა არ დაეშვათ კანონებიდან იოტისოდენა გადახვევა, განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ამ ორგანოებში მომუშავე კომუნისტების პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას და იმ სახალხო მოსამართლეების ჩამოცილებას მართლმსაჯულების ორგანოებისაგან, რომლებიც სათანადოდ ვერ უზამდნენ მხარს პარტიის პოლიტიკას საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური თუ ეკონომიური მტრების წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინის ეს სახელმძღვანელო მითითებები აქტუალობას იწარჩუნებს დღესაც, მექრთამეობასთან ბრძოლის თანამედროვე ეტაპზე.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლის შესრულება შეუძლია სასამართლოს კერძო განჩინებებს. პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლოები ნოვალენი არიან სათანადო ორგანოებში შევიდნენ კერძო განჩინებებით და დააყენონ ქრთამის მიშცეპისათვის გარკვეული სიკეთით სარგებლობის, დანაშაულებრივი ვზით მიღწეული უპირატესობის ჩამორთმევის საკითხი. მაგალითად, კერძო განჩინებით შეიძლება უკანონოდ გამოცხადდეს ქრთამის საფუძველზე გაცემული საბინაო ორდერი, დადგეს საკითხი დიპლომების ან სხვა დოკუმენტების გაუქმების შესახებ და ა. შ. შარშანდელი სასამართლო მონაცემების მიხედვით მექრთამეობის საქმეებზე თუშცა გაზრდილია კერძო განჩინებების რაოდენობა, მაგრამ სასამართლოები სათანადო ორგანოთა წინაშე ყოველთვის არ აყენებენ საკითხს ქრთამის მიმცენისათვის უსაფუძვლოდ მინიჭებული შეღავათების გაუქმების შესახებ.

სასამართლოებს საგამოძიებო ორგანოების მიერ შეკრებილ მასალების ანალიზის საფუძველზე ევალებათ კერძო განჩინებაში დაწვრილებით მიუთითონ იმ მიზეზებსა და პირობებზეც, რომლებზეც ხელი შეუწყვეს მექრთამეობის ჩადენას.

ხშირად მექრთამეობას წინ უსწრებს ბიუროკრატიზმი, საქმის გაჭიანურება, პროტექციონიზმი, ხელმძღვანელის მიერ ხელქვეითებზე თავისი უფლებების არასწორი გადაცემა და სხვ. რაც კერძო განჩინებებში ყოველთვის ვერ პოულობს თავის ასახვას. სამწუხაროდ ცალკეული სასამართლოები ჯერ კიდევ არ იჩენენ ნაღალ მომთხოვნელობას, რათა დროულად მიიღონ ამომწურავი პასუხი კერძო განჩინებებზე.

პლენუმმა სასამართლოებს ურჩია გამსვლელ სესიებზე გაიტანონ მექრთამეობის ის საქმეები, რომელთა ფართო საჯარო განხილვასაც აქვს დიდი პროფილაქტიკურ-აღმზრდელი მნიშვნელობა. ასეთი საქმეების გადაწყვეტაში ფართოდ უნდა ჩააბან საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ხოლო

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 582.

სასამართლო განხილვის შედეგები უფრო კვალიფიციურად გაშუქდეს როგორც პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ნეშვეობით, ისე ლექციებისა და საუბრების სახით:

პლენუმმა დაავალა სასამართლო ორგანოებს, რომ მათ პერიოდულად განაზოგადონ მექრთამეობის საქმეთა განხილვის პრაქტიკა, დროულად გამოავლინონ და აღმოფხვრან ის ხარვეზები, რაც ჯერ კიდევ შეინიშნება მათს საქმიანობაში. მართლმსაჯულებისა და იუსტიციის ორგანოებს ევალეზბათ აგრეთვე სისტენატურად სრულყონ სასამართლოების საქმიანობა მექრთამეობის წინაღმდეგ ბრძოლის გაქალიერების მიზნით.

მექრთამეობის წინაღმდეგ ეფექტურ ბრძოლას ხელს შეუწყობს ყველა დინისტრაციული ორგანოს შეთანხმებული და ერთობლივი მუშაობა, ამ ორგანოთა თვითეული მუშაკის მორალური სიწმინდე და პირადი პასუხისმგებლობის გაზრდა. ამ ბრძოლის დადებით შედეგებზე გავლენას ახდენს შრომითი კოლექტივების და თვითეული კეთილსინდისიერი მოქალაქის შეურიგებელი დამოკიდებულება სოციალსტური კანონიერების ყოველგვარი დარღვევებისადმი. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნეგატურ მოვლენების წინაღმდეგ ბრძოლის ავანგარდში დგანან პარტიული ორგანოები. ასეთ პირობებში პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სასამართლო ორგანოების არცერთ მუშაკს უფლება არა აქვს ახალი შემართებითა და საქმის ღრმა ცოდნით არ გამალოს ბრძოლა მექრთამეობის წინაღმდეგ.

საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულების 50 წელი

ბ. ზარვიჭური,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სხვდასხვა სოციალური წესწყობილების სახელმიწფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ცხოვრებაში წარმატებით განხორციელების ნათელი მაგალითია საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობანი საბჭოთა კავშირსა და მას სამხრეთ მეზობელს — ირანს შორის. ურთიერთნდობაზე დამყარებულ ამ მეგობრულ ურთიერთობას საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირისა და ირანის ხელშეკრულება გარანტიებისა და ნეიტრალიტეტის შესახებ, რომლის ხელმოწერიდან ნახევარი საუკუნე გავიდა. ეს ისტორიული დოკუმენტი ახალი ეტაპის მაუწყებელია ორი მეზობელი სახელმწიფოს ურთიერთობაში. იგი, ამავე დროს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეთანხმებაა ირანის ისტორიაში. ხელშეკრულებამ გავლენა მოახდინა არა მარტო საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობაზე, არამედ ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონების მდგომარეობაზეც.

საბჭოთა მთავრობამ, რომელიც ცდილობდა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით შეემციებინა აგრესიული ომების საფრთხე, 1925 წელს დადო ორმხრივი ხელშეკრულებანი „ნეიტრალიტეტისა და თავდაუსხმელობის შესახებ“. პირველ რიგში თავის მოსაზღვრე ქვეყნებთან¹, რომელთა საფუძველზე მხარეებმა ვალდებულება იკისრეს თავი შეეკავებინათ ერთმანეთზე თავდასხმისაგან, ამავე დროს, ამ ხელშეკრულებების მიხედვით ნეიტრალიტეტის დაცვის ვალდებულება მოქმედებდა მხოლოდ მხარეთა თავდაცვითი ომის შემთხვევაში, და პირიქით, არ მოქმედებდა მაშინ, როცა მხარე თვითონ იქნებოდა აგრესიული ომის გამჩალებელი.

ამ ხელშეკრულებებმა დიდი გავლენა იქონიეს არა მარტო საერთაშორისო სამართალში თავდაუსხმელობის ახალი პროგრესული პრინციპის განვითარებასა და დანერგვაზე, არამედ მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანეს ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთობის განმტკიცებაში.

საბჭოთა კავშირ-ირანის 1927 წლის ხელშეკრულება გარანტიისა და ნეიტრალიტეტის თაობაზე არის ისეთი ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც მოქმედებს როგორც მშვიდობის შენარჩუნების ფაქტორი ორ მეზობელ ქვეყანას შორის. იგი მოწოდებულია აღმოფხვრას ის მიზეზები და წინაპირობები, რომელთაც შეუძლიათ დაარღვიონ მშვიდობიანი ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის.

ხელშეკრულების მე-2 მუხლით მხარეებმა ვალდებულება იკისრეს თავი შეიკავონ ყოველგვარი თავდასხმისაგან და ერთმანეთის მიმართ აგრესიული მოქმედებისაგან, არ შეიყვანონ თავისი შეიარაღებული ძალები სხვა ქვეყნე-

¹ მაგალითად, 1925 წელს სსრ კავშირმა დადო ხელშეკრულება „მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ“ თურქეთთან, 1926 წელს — ხელშეკრულება „ნეიტრალიტეტისა და ურთიერთთავდაუსხმელობის შესახებ“ ავღანეთთან.


ბის ფარგლებში. შემდეგი მუხლი ითვალისწინებს, რომ, თუ ხელშეკრულ მხარეს თავს დაესხმის ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო, მეორე მხარე ვალდებულია მთელი კონფლიქტის მანძილზე დაიცვას ნეიტრალიტეტი. ამასთანავე მუხლში საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ ქვეყანამ, რომელსაც თავს დაესხნენ, თავის მხრივ არ უნდა დაარღვიოს ეს ნეიტრალიტეტი, მიუხედავად ყოველგვარი სტრატეგიული, ტაქტიკური ან პოლიტიკური მოსაზრებისა ან უპირატესობისა, რომელიც შეიძლება მან ამით მიიღოს². ამ მუხლის შინაარსის იურიდიული ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, მეტყველებს იმაზე, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნეიტრალიტეტი დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მეორე მხარე ჩათრეულია თავდაცვით ომში. ნეიტრალიტეტის გარანტია კარგავს ძალას, თუ ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარე შეეცდება ჩაიდინოს აგრესიული აქტი მესამე ქვეყნის მიმართ. სწორედ ეს განასხვავებს ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებს ე. წ. „ნეიტრალიტეტისა და თავდაუსხმელობის“ ხელშეკრულებებისაგან, რომელსაც კაპიტალისტური ქვეყნები მიმართავენ. იქ ხელშეკრულებებს ნეიტრალიტეტისა და თავდაუსხმელობის შესახებ იყენებენ სტრატეგიული მიზნებისათვის, როგორც კვამლბ ფარდას, რათა მოიპოვონ თავდაუსხმელობის გარანტია ერთ-ერთი ქვეყნისაგან, თვითონ კი თავს დაესხან სხვა ქვეყანას, გაუსწორდნენ თავის მსხვერპლს და შემდეგ ვერაგულად დაარღვიონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი, როგორც ეს გააკეთა ფაშისტურმა გერმანიამ მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირე ქვეყნების მიმართ.

ამგვარად, ნეიტრალიტეტი, რომელიც ხელშეკრულების მეორე მუხლშია გათვალისწინებული, ხელს ვერ შეუწყობს აგრესიული ხასიათის რაიმე ავანტიურას. მას არ შეუძლია აცდუნოს ხელშეკრულების მონაწილენი ჩაიდინონ აგრესიული აქტი მესამე ქვეყნის მიმართ იმის იმედით, რომ მისი ფლანგი დაცულია ხელშეკრულების მეორე მონაწილის ნეიტრალიტეტით.

ხელშეკრულების მეორე მუხლის მთავარი მიზანი მართლოდენ ის არის, რომ დაიცვას და განამტკიცოს მშვიდობა და ნეიტრალიტეტი სსრ კავშირსა და ირანს შორის. გარანტიის პირობები იურიდიულად განმტკიცებულია ხელშეკრულების მესამე მუხლში, რომლითაც მხარეები ვალდებულებას კისრულობენ არ მიიღონ მონაწილეობა არც ფაქტობრივად და არც ფორმალურად პოლიტიკურ კავშირებსა და შეთანხმებებში, რომლებიც მიმართულია მეორე ქვეყნის უშიშროების, მთლიანობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მიმართ, აგრეთვე თავი შეიკავონ ეკონომიკურ ბოიკოტებსა და ბლოკადებში მონაწილეობისაგან, რომლებსაც მესამე სახელმწიფოები მიმართავენ ერთ-ერთი ხელშეკრული ქვეყნის წინააღმდეგ.

ვალდებულებები ერთმანეთის შინაგან საქმეებში ჩაურევლობის შესახებ გადმოცემულია ხელშეკრულების მეოთხე მუხლში, რომლის თანახმად მხარეებმა არ უნდა დაუჭირონ მხარი თავის ტერიტორიაზე: 1) ისეთი ორგანიზაციების ან ჯგუფების შექმნასა და საქმიანობას, რომლებიც მიზნად ისახავენ მეორე მხარის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლას ძალმომრეობით, აჯანყებით ან სხვა რაიმე სახის ხელყოფით; 2) ისეთი ორგანიზაციების ან ჯგუფების შექმნასა და საქმიანობას, რომლებიც ითვისებენ მეორე ქვეყნის ან მისი ტერიტორი-

² См. «Советско-Иранские отношения в договорах, конвенциях и соглашениях», М., 1946, стр. 99.



ის ნაწილის მთავრობის როლს, აგრეთვე რომლებიც მიზნად ისახავენ ზემოაღნიშნული ხერხებით ებრძოლონ მეორე მხარის მთავრობას, დაარღვიონ ამ მხარის მშვიდობა და უშიშროება ან მისი მთლიანობა. ამის შემდეგ მუხლში ლაპარაკია იმაზე, რომ, ამ პრინციპიდან გამომდინარე, ორივე მხარე თანაბრად კისრულობს ვალდებულებას აკრძალონ თავის ტერიტორიაზე შეიარაღებულ ძალების, იარაღის, საბრძოლო მასალების და ყოველგვარი სახის სამხედრო მასალების შემოზიდვა, რომლებიც ზემოაღნიშნული ორგანიზაციებისთვისაა განკუთვნილი.

ამ მუხლის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს არა მხოლოდ ორი მეზობელი ქვეყნის მისწრაფებას არ ჩაერიონ საშინაო საქმეებში და არ გასწიონ მისი მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა ან ბრძოლა, არამედ იგი მიმართულია არაპირდაპირი აგრესიის წინააღმდეგაც.

ოციანი წლების საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით, როდესაც იმპერიალისტური ქვეყნები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას, ცდილობდნენ მოსაზღვრე ქვეყნების ტერიტორიებზე განსაკუთრებით ირანი, გადაეჭყიათ ანტისაბჭოთა აგრესიის პლაცდარმად. ამ მუხლს, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა.

საბჭოთა მთავრობა სხვა ქვეყნებთან სახელშეკრულებო ურთიერთობებში ყოველთვის ცდილობს განამტკიცოს ორმხრივი ვალდებულებანი ჩაურევლობის შესახებ; გადააქციოს ისინი სხვა ქვეყნებთან თავისი ურთიერთობის სამართლებრივ ფორმად და ამით საერთაშორისო სამართალში დაამკვიდროს ჩატრევლობის პრინციპი მისი ახალი თვისებებითა და შინაარსით. ხელშეკრულების მე-2, მე-3, და მე-4 მუხლებით განმტკიცებულმა მხარეთა ვალდებულებებმა — თავი შეიკავონ თავდასხმისაგან და არ მიიღონ მონაწილეობა აგრესიულ სამხედრო კავშირებში — თავისი შემდგომი განვითარება ჰპოვა მე-5 მუხლში, რომელიც ადგენს მხარეთა ურთიერთვალდებულებას — მშვიდობიანი გზით მოაწესრიგონ ყოველგვარი უთანხმოება, რომელიც შეიძლება მათ შორის წამოიჭრას. ამგვარად მე-5 მუხლი შეიცავს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს — მშვიდობიანი გზით გადაჭრას საერთაშორისო სადავო პრობლემები.

მჭიდრო კავშირი თავდაუსხმელობისა და საერთაშორისო დავების მშვიდობიანად გადაჭრის პრინციპებს შორის აშკარაა. პროფესორი გ. ტუნკინი თავდაუსხმელობისა და საერთაშორისო დავების მშვიდობიანად გადაწყვეტის პრინციპების თანაფარდობის დახასიათებისას სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ორივე ეს პრინციპი გარკვეულ წილად წარმოადგენს ერთი მედლის ორ მხარეს. თუ სახელმწიფოებს ეკრძალებათ მიმართონ ძალას სხვა სახელმწიფოსთან ურთიერთობაში და მათსადავო, ამ სახელმწიფოსთან დავების გადაჭრის შემთხვევაშიც, ეს იმას ნიშნავს, რომ ღია რჩება მხოლოდ ამ დავათა გადაჭრის მშვიდობიანი გზა. მეორე მხრივ, დავების მშვიდობიანად გადაჭრის პრინციპი იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება ძალის გამოყენება მათი მოწესრიგებისათვის“.³

საბჭოთა სახელმწიფო თავისი არსებობის პირველივე დღიდან ცდილობდა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში დაემკვიდრებინა დავების გადაჭრა

³ См. Г. И. Тункин, Вопросы теории международного права, госюриздат, 1962, стр. 32.

შვიდობიანი მოლაპარაკების გზით. და როცა ბურჟუაზიული ქვეყნები ჩვენი ქვეყნის არსებობის პირველ წლებში ამ წინადადებას არ აქცევდნენ ყურადღებას, საბჭოთა მთავრობამ ორმხრივი ხელშეკრულებების დადების გზით (მეზობელ ქვეყნებთან — ირანთან, თურქეთთან, ავღანეთთან) დაიწყო ამ მნიშვნელოვანი პრინციპის დანერგვა საერთაშორისო სამართალში.

მე-6 მუხლში ნათქვამია: „იმ ვალდებულებათა გარეთ, რომლებიც ორმა ხელშემკვრელმა მხარემ აიღო თავის თავზე ხელშეკრულების ძალით, მხარეები საერთაშორისო ურთიერთობებში ინარჩუნებენ მოქმედების სრულ თავისუფლებას“. როგორც ვხედავთ, ეს მუხლი გამოდის საერთაშორისო ურთიერთობებში მხარეთა სუვერენიტეტისადმი პატივისცემის და მათი დამოუკიდებლობის პრინციპიდან და არ არის მიმართული რომელიმე მესამე მხარის წინააღმდეგ.

როგორც ნეიტრალიტეტის, ისე თავდაუსხმელობის ვალდებულება, რომელიც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, წარმოადგენს ნეგატიურ ვალდებულებათა გარკვეულ ჯამს, ე. ი. ვალდებულებებს — თავი შეიკავონ გარკვეული მოქმედებისაგან. ნეგატიური, ამკრძალავი ხასიათი ვალდებულებებისა, რომლებსაც ხელშეკრულება შეიცავს, განასხვავებს მას იმპერიალისტური ქვეყნების ე. წ. „საგარანტიო“ ხელშეკრულებისაგან.

გარანტიის ცნება, ამ სიტყვის იურიდიული მნიშვნელობით, გულისხმობს რაღაცის გამო აიღო თავის თავზე პასუხისმგებლობა, დაუდგე ვიღაცას თავდებად. საერთაშორისო სამართალში, როგორც ამას საბჭოთა იურისტი ი. პერეტერსკი აღნიშნავდა, ტერმინი „გარანტია“ ნიშნავს, სახელმწიფოს ვალდებულებას დაამყაროს ან დაიცვას საერთაშორისო ხასიათის გარკვეული მდგომარეობა.⁴ საბჭოთა კავშირ-ირანის 1927 წლის ხელშეკრულებაში ასეთი გარანტიის ობიექტია ხელშემკვრელმხარეთა დამოუკიდებლობა და ტერიტორიული ხელშეკრულება.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულების სახელწოდება „გარანტიისა და ნეიტრალიტეტის შესახებ“ არ პასუხობს მის იურიდიულ შინაარსს და გარკვეულ წილად — ხელშეკრულების მიზანს. ალბათ უფრო სწორი იქნებოდა ამ ხელშეკრულებას ერქვას „ხელშეკრულება ნეიტრალიტეტისა და ურთიერთთავდაუსხმელობის შესახებ“, ეს სახელწოდება უფრო შეესაბამება იმ ვალდებულებათა ხასიათს, რომლებიც ხელშეკრულებითაა დადგენილი. საბჭოთა იურისტებმა (ლ. მოჯორიანი, გ. შერმაზანაშვილი) თავიანთ ნაშრომებში სავსებით სამართლიანად აყენებენ საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულებას ერთ რიგში ნეიტრალიტეტისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულებებთან. რა თქმა უნდა, ეს ფორმალური მხარეა; მთავარი იმ უფლებათა და ვალდებულებათა შინაარსში და ერთიანობაშია, რომელთა პრაქტიკაში კეთილსინდისიერად შესრულება ამართლებს ამ ხელშეკრულების მიზანს.

მე-7 მუხლში ნათქვამია, რომ ეს ხელშეკრულება იღება სამი წლის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება ჩიათვლება ავტომატურად გაგრძელებულად ყოველთვის ერთი წლის ვადით, მანამ ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარე მეორეს არ გააფრთხილებს მისი დენონსაციის შესახებ.

ხაზი უნდა გაესვას იმ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს, რომ, თუმცა ხელშე-

⁴ См. И. С. Перетерский, Понятие гарантии в международном праве, журнал «Советское государство и право» № 9, 1956, стр. 46.

კრულების დადებიდან ნახევარი საუკუნე გავიდა, დღემდე არც ერთ მხარეს არ გამოუთქვამს მისი დენონსირების სურვილი. ეს პირველ რიგში იმაზე მიუთითებს, რომ ხელშეკრულებაში ასახული მხარეთა უფლება-ვალდებულებანი სავსებით აკმაყოფილებს მათ. ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონებში იმპერიალისტური ქვეყნების ხრიკების გამო დღეს ამ ხელშეკრულებამ კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებისათვის ამ რაიონებში.

საბჭოთა კავშირ-ირანის 1927 წლის ხელშეკრულების შინაარსი ცხადყოფს, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ომისა და შეიარაღებული კონფლიქტების აცილების იდეა ყველა სახელმწიფოს მშვიდობისა და დამოუკიდებლობის დაცვა, მათს სამინაო საქმეებში ჩაურევლობა წარმოადგენს საბჭოთა კავშირ-საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად წარმართველ იდეას. საბჭოთა სახელმწიფოს შექმნამ, მის მიერ მშვიდობის შესახებ დეკრეტში აგრესიული ომის როგორც უმძიმესი საერთაშორისო დანაშაულის გადაჭრით დაგმობამ, ხალხთა შორის მშვიდობის, ყველა ქვეყნის ხალხთა დამოუკიდებელი განვითარებისა და თავისუფლებისათვის საბჭოთა სახელმწიფოს თანმინდევრულმა ბრძოლამ გადაწყვეტი როლი შეასრულა საერთაშორისო სამართალში თავდაუსხმელობისა და მშვიდობიანი გზით საერთაშორისო დავების გადაწყვეტის პრინციპების თანდათანობით განმტკიცებაში.

საბჭოთა კავშირ-ირანის 1927 წლის ხელშეკრულებას საფუძვლად დაედო ამ ორ ქვეყანას შორის 1921 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულებით განმტკიცებული პრინციპები. სახელდობრ, ამაზე მიუთითებს 1927 წლის ხელშეკრულების პირველი მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ ირანისა და სსრ კავშირის ურთიერთობის საფუძველია 1921 წლის 26 თებერვლის ხელშეკრულება, რომლის ყველა მუხლი და დადგენილება ძალაში რჩება.

გარანტიისა და ნეიტრალიტეტის შესახებ ხელშეკრულების დადებისან მხარეებმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომელშიც მათ განაცხადეს, რომ არა აქვთ არავითარი საერთაშორისო ვალდებულება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულებას და რომ აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში არ იკისრებენ ამგვარ ვალდებულებებს. ამ ოქმის მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა დღეს, რადგან ირანის მთავრობამ ოქმის საწინააღმდეგოდ სენტოს სამხედრო პაქტში მონაწილეობით და ირან-ამერიკის 1959 წლის 5 მარტის სამხედრო შეთანხმებით იკისრა ისეთი ვალდებულებანი, რომლებიც ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირ-ირანის 1927 წლის ხელშეკრულებას.

მაგრამ, ამასთანავე უნდა ითქვას, რომ „უცხო სახელმწიფოთათვის ირანის ტერიტორიაზე რაკეტული ბაზებისათვის ტერიტორიის მიუცემლობის“ საკითხზე 1962 წლის 15 სექტემბერს ირანსა და სსრ კავშირის მთავრობას შორის ნოტების გაცვლისა და ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის იმ ზეპირი ოფიციალური განცხადების შედეგად, რომ ირანის მთავრობა არავის არასოდეს არ დატოვებს ნებას, გადააქციოს ირანი აგრესიის საშუალებად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მნიშვნელოვნად გაჯანსაღდა და განმტკიცდა საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობა და ახლა ის შესაბამება საბჭოთა კავშირ-ირანის 1927 წლის ხელშეკრულების სულისკვეთებას.⁵

საბჭოთა კავშირმა და ირანმა უნდა იცხოვრონ მშვიდობიანად და მეგობრულად. ეს არის ჩვენი დროის უცილობელი მოთხოვნა და იგი იურდიულად განმტკიცებულია საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულებაში. ირანის პარლამენტში გამოსვლის დროს 1963 წელს ლ. ი. ბრეჟნევემა განაცხადა: „ჩვენ ირანთან არა გვაქვს არავითარი ურთიერთპრეტენზია, არც ტერიტორიული, არც მატერიალური, რომელიც ხელს შეუშლიდა საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის ნორმალური ურთიერთობების განვითარებას. ვაცხადებთ რა ჩვენს სურვილს ვიცხოვროთ მშვიდობიანად და მეგობრულად, ჩვენ გამოვდივართ იქედან, რომ ეს მეგობრობა სჭირდება არა მარტო საბჭოთა კავშირს, არამედ თქვენს ქვეყანასაც. თვით ბუნებამ წინასწარ დააწესა, რომ ჩვენ ერთმანეთის გვერდით გვეცხოვრა და, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირისა და ირანის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს უპასუხებს მხოლოდ კეთილმეზობლური ურთიერთობა. ჩვენ გვესმის, რომ საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის ურთიერთობათა გაუმჯობესება ყველას არ მოსწონს. მაგრამ კარგი ურთიერთობის განვითარება ჩვენს ქვეყნებს შორის უპასუხებს როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ირანის ხალხთა ინტერესებს, უპასუხებს საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს“.⁶

საბჭოთა კავშირ-ირანის 1927 წლის ხელშეკრულების შინაარსი ასახავს ორი მეზობელი ქვეყნის მისწრაფებას ყოველმხრივ განავითარონ და განამტკიცონ მეგობრული კავშირი და ურთიერთთანამშრომლობა.

საბჭოთა კავშირისა და ირანის ხალხებმა აღნიშნეს გარანტიისა და ნეიტრალიტეტის თაობაზე ხელშეკრულების 50 წლისთავი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე საიუბილეო წელს, რომელმაც ახალი ერა შექმნა კაცობრიობის ისტორიაში და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ირანის სუვერენიტეტის აღორძინებაში.



სახელმწიფო და არასახელმწიფო პასუხისმგებლობის სუბიექტები

2. ზოგადი

იურიდიული პასუხისმგებლობის პრობლემა ერთ-ერთი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სამართალში. იგი ყოველთვის იყო იურისტ მეცნიერთა კვლევის საგანი. ამ ბოლო ხანს დიდძალი ლიტერატურა დაგროვდა პასუხისმგებლობის საკითხებზე¹. ს. ნ. ბრატუსის ნაშრომი იურიდიული პასუხისმგებლობის შესახებ², რომელიც ამასწინათ გამოქვეყნდა და ფაქტობრივად შეჯანებაა პასუხისმგებლობის დღემდე არსებული თეორიებისა, იმისი ნათელი დადასტურებაა, თუ როდენ გაცხოველებულია ინტერესი ამ პრობლემაში; ლიტერატურის სიმრავლე სრულიადაც არაა იმისი მაჩვენებელი, რომ საკითხი გადაჭრილია: პირიქით, ეს მიუთითებს პრობლემის სირთულეზე. გარდა ამისა გამოქვეყნებულ ნაშრომების უმრავლესობაში ერთი და იგივე აზრია³. ასე რომ, ჯერ კიდევ გაურკვეველია უამრავი საკითხი. პასუხისმგებლობის ზოგადთეორიული პრობლემები ძირითადად სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის კუთხითაა გაშუქებული. ალბათ, ამისი მიზეზი ისიცაა, რომ პასუხისმგებლობის ზოგადთეორიული საკითხებით უფრო მეტად ცივილისტები არიან დაინტერესებული. მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე დგას თვით სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ცივილისტები ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდნენ, შეიძლება თუ არა იყოს პასუხისმგებლობა, თუ არ არის ბრალი, ან კიდევ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა. ამაზე უკვე ბევრი დაიწერა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ვერ გაცდა სხვისი ბრალის გამო პასუხისმგებლობის მარწუხებს; რაც ფაქტობრივად ანშობს პასუხისმგებლობის ნამდვილ ბუნებას. ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხები იმითაცაა საინტერესო, რომ აქ პასუხისმგებლობა სახელმწიფოებო და არასახელმწიფოებო პასუხისმგებლობის სახით გვხვდება. შეცდომას დავუშვებდით, თუ ვიტყვიდით, რომ პასუხისმგებლობის ეს სახეები ცალ-ცალკე სათანადოდ არაა შესწავლილი. მაგრამ სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ მათ შორის თანაფარდობის პრობლემა ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მართალია, ამ

¹ См. И. С. Самощенко, М. Х. Фаркушин, Ответственность по Советскому законодательству, М., «Юридическая литература», 1971. О. С. Иоффе, Ответственность по советскому гражданскому праву. Изд-во ЛГУ, 1955; Г. К. Матвеев, Основания гражданско-правовой ответственности, М., «Юридическая литература», 1970; В. С. Антимонов, Основания договорной ответственности социалистических организаций, М., Госюриздат, 1962; Н. М. Малейн, Имущественная ответственность в хозяйственных отношениях, М., Изд-во «Наука», 1968; С. Н. Братусь, Юридическая ответственность и законность, М., «Юридическая литература», 1976.

² См. С. Н. Братусь, Юридическая ответственность и законность, М., «Юридическая литература», 1976.

³ ამას რატომაც მეცნიერული მემკვიდრეობისადმი პატივისცემით ხსნიან. ამათგან ჩვენ ვერც ახალ მემკვიდრეობას შევქმნივთ და შეიძლება ძველიც დავამახინჯოთ. მეცნიერულ მემკვიდრეობას პატივი უნდა ვსცეთ, გამოვიყენოთ ზომიერად, ახლით უნდა გავამდიდროთ.

საკითხზე მ. მ. აგარკოვმა, ე. ა. ფლეიშიცმა, ა. მ. ბელიაკოვან და სხვებმა გამოთქვეს თავისი აზრი, მაგრამ მათთვის ეს არ ყოფილა სპეციალური კვლევის საგანი⁴. საკითხი კი იმდენად აქტუალურია, რომ მის სწორ გადაჭრაზე ბევრად და მოკიდებული სასამართლოების საქმიანობა, რომელთაც ჯერ კიდევ მოსდით შეცდომები სახელმეკრულებო და არასახელმეკრულებო პასუხისმგებლობათა გამიჯვნაში! ეს ბევრ წინააღმდეგობას ქმნის, რასაც ზოგჯერ სარჩელთა კონკურენციით ხსნიან. ფაქტიურად აქ არავითარი კონკურენცია არ არის. მიზეზი ისევ ამ პასუხისმგებლობათა თანაფარდობის საკითხის დაუშუშავებლობა უნდა იყოს. ამდენად, იგი სპეციალური კვლევის ღირსია.

შეუძლებელია სახელმეკრულებო და არასახელმეკრულებო პასუხისმგებლობათა თანაფარდობაზე საუბარი თუ ვაკვრით მიხინჯ არ შევვებით მათ შესაბამის ვალდებულებებს. ამა თუ იმ მოვლენას ღრმად რომ ჩავწვდეთ, იგი უნდა განვიხილოთ განვითარების პროცესში, საიდანაც მომდინარეობს. ვერც სამართლის არსს გავიგებდით, თუ ბაზისურ ურთიერთობებს არ შევისწავლიდით. ამდენად, პასუხისმგებლობა ვალდებულებათაგან მოწყვეტილი როლია. პასუხისმგებლობა — ესეც განსაზღვრული ვალდებულებაა, თუმცა განსხვავდება იმ ვალდებულებისაგან, საიდანაც სათავეს იღებს. პასუხისმგებლობის ეს სახეები სწორედ სახელმეკრულებო და არასახელმეკრულებო ვალდებულებებს ეფუძნებიან. ამ უკანასკნელთაგან პირველი ხელმეკრულების საფუძველზე წარმოიშობა, მეორე კი ხელმეკრულების გარეშე — ზიანის ნართლსაწინააღმდეგო მიყენებით. ამ ორი სახის იურიდიულ ფაქტებს შორის ის განსხვავებაა, რომ ხელმეკრულება ნების ორმხრივი გამოვლენაა, დელიქტი კი ცალმხრივ ნებას ემყარება; ხელმეკრულება არის ის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომელიც ვალდებულებას წარმოშობს და რომლის განხორციელებასაც მხარეები ახდენენ. თავის მხრივ, დელიქტიც წარმოშობს ვალდებულებას. აქ სამართალდამრღვევი ვალდებულია ანაზღაუროს მიყენებული ზიანი. ნოცემული ვალდებულება აშკარად ცალმხრივია. სახელმეკრულებო პასუხისმგებლობის დროს თუ შედარებითი სამართალურთიერთობა ირღვევა, არასახელმეკრულებო პასუხისმგებლობა შედეგია პასიური (ბოლოლუტური) სამართალურთიერთობის დარღვევისა. ამ გაგებით მათ შორის სხვაობა ის არის, რომ თუ ერთ დროს ირღვევა შედარებითი უფლებები, რომლებიც გამომდინარეობს მხარეთა შორის არსებული ხელმეკრულებიდან, მეორე შემთხვევაში ირღვევა საკუთრების სამართლიდან გამომდინარე უფლებები⁵. არასახელმეკრულებო ვალდებულებებში პასუხისმგებლობას ქმნის არა თავისთავად ზიანის მიყენების ფაქტი, არამედ მისი ნებაყოფლობითი ანაზღაურებლობის ფაქტი. ზიანის მიყენება — პირველი რიგის ფაქტია, რომელიც წარმოშობს დაცვით ვალდებულებას, ხოლო მიყენებული ზიანის ნებაყოფლობითი ანაზღაურება — მეორე რიგის ფაქტია, რომელიც გამორიცხავს პასუხისმგებლობას; და ბოლოს, უარის თქმა ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურებაზე — მესამე რიგის ფაქტია, რაც იწვევს პასუხისმგებლობას. სახელ-

⁴ См. М. М. Агарков, К вопросу о договорной ответственности (Вопросы советского гражданского права», изд-во АН СССР, стр. 144—145) Е. А. Флейшиц, Обязательства из причинения вреда и из неосновательного обогащения. М., Госюриздат, 1951, стр. 103—106; А. М. Белякова, Возмещение причиненного вреда. Изд-во Московского университета, 1972, стр. 22—25.

⁵ См. Г. К. Матвеев, Основания гражданскоправовой ответственности, М., «Юридическая литература», 1970, стр. 47.



შეკრულები ურთიერთობებშიც პასუხისმგებლობა დგება ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგად. აქ ხელშეკრულება, როგორც იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, მიმართულია ისეთი ვალდებულებების წარმოშობისაკენ, რომელიც განსხვავდება დელიქტის როგორც იურიდიული ფაქტის, შედეგად დამდგარი ვალდებულებების შინაარსისაგან. აქ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შეუსრულებლობა მეორე რიგის ფაქტია, რომელიც მხარეებს ავალდებულებს ნებაყოფლობით აანაზღაურონ ზიანი; თუკი სამართალდამრღვევი ნებაყოფლობით აანაზღაურებს ზიანს, მაშინ ეს იქნება მესამე რიგის ფაქტი, რომელიც გამორიცხავს პასუხისმგებლობას: და ბოლოს, ამგვარ ნებაყოფლობითობაზე უარის თქმა — ეს მეოთხე რიგის ფაქტია, რაც იწვევს პასუხისმგებლობას. მაშასადამე სახელშეკრულებო ვალდებულებასა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას შორის არსებული მიჯნა უფრო დიდია, ვიდრე არასახელშეკრულებო ვალდებულებასა და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობას შორის. პირველ შემთხვევაში მხოლოდ მესამე რიგის ფაქტი იწვევს პასუხისმგებლობას, მეორეში კი მეოთხე რიგისა. ამგვარად, დელიქტური პასუხისმგებლობა სრულიადაც არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რომელიც ზიანის მართლსაწინააღმდეგოდ მიყენებას მაშინვე სდევს თან. ზიანი მხოლოდ პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას ქმნის; ხოლო მისი ნებაყოფლობითი აუნაზღაურებლობა სწორედ საკუთრივ პასუხისმგებლობას იწვევს. ამდენად, არ იქნებოდა სწორი თუ დელიქტური ვალდებულებისა და დელიქტური პასუხისმგებლობის შინაარსს გავაიგივებდით. ერთი ხომ ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურებაზეა დამყარებული, მეორე კი სახელმწიფოებრივ იძულებაზე. მაშასადამე, ისინი ერთმანეთისაგან ძირითადად ზიანის ანაზღაურების ფორმით განსხვავდება. საერთოდ, ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე ზიანის ანაზღაურება ხდება.

პასუხისმგებლობის სუბიექტი ყოველთვის სამართლის სუბიექტია. სამართლის ყოველი სუბიექტი კი არაა პასუხისმგებლობის სუბიექტი — ეს თავისებურება განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობაში. სამოქალაქო სამართალში სამართლის სუბიექტის ცნება დაკავშირებულია უფლებაუნარიანობასთან. მისი მქონე სუბიექტი შეიძლება ითქვას, პასიური სუბიექტია, მაშინ როდესაც ქმედუნარიანობა მას სამართლის აქტიურ სუბიექტად აქცევს. პასუხისმგებლობის სუბიექტობისათვის მხოლოდ უფლება-უნარიანობა არაა საკმარისი, იგი ქმედუნარიანობასაც მოითხოვს. მაშასადამე, მოქალაქეებთან მიმართებაში პასუხისმგებლობის სუბიექტები და სამართლის სუბიექტები წარმოშობის დროით არ ემთხვევიან ერთმანეთს. სამართლის სუბიექტი, რომ პასუხისმგებლობის სუბიექტი გახდეს, ამისათვის ღან 15 წელს უნდა მიაღწიოს. იურიდიულ პირების მიმართ ეს საკითხი სხვანაირადაა გადაჭირლი. იურიდიული პირი, როგორც სამართლის სუბიექტი, ყოველთვის შეძლება იყოს პასუხისმგებლობის სუბიექტი და პირიქით, პასუხისმგებლობის სუბიექტი ყოველთვის ნიშნავს სამართლის სუბიექტს. ამის მიზეზი ის არის, რომ იურიდიულ პირებს ერთდროულად წარმოეშობათ უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. ეს უკანასკნელი კი აუცილებელი კომპონენტებია არამართო სამართლის სუბიექტად ცნობისათვის, არანედ პასუხისმგებლობის სუბიექტად აღიარებისათვისაც. ე. ი. ერთ შემთხვევაში, მოქალაქეებთან მიმართებაში, სამართლის

სუბიექტი ყოველთვის არ ნიშნავს პასუხისმგებლობის სუბიექტს, ხოლო მეორე შემთხვევაში, იურიდიულ პირებთან მიმართებაში, სამართლის სუბიექტი ყოველთვის შეიძლება იყოს პასუხისმგებლობის სუბიექტი. ამ სხვაობის მიზეზი ნოქალაქებსა და იურიდიულ პირებს შორის არსებული განსხვავებაა.

ცნობილია, რომ სახელმწიფოებო ურთიერთობაში ერთ მხარეს ჰქვია კრედიტორი, მეორეს კი მოვალე. თითქოს აქედან ის დასკვნა უნდა გამომდინარეობდეს, რომ პასუხისმგებლობის სუბიექტი ყოველთვის მოვალე უნდა იყოს. ნაგრამ ეს ასე არ არის. ერთი მხარის აღიარება — კრედიტორად და მეორისა — მოვალედ ფაქტიურად პირობითია. თავის მხრივ ყოველი მხარე მოვალეცაა და კრედიტორიც. მათ მოვალეობებიც აკისრიათ და უფლებებიც აქვთ⁶. ამდენად, სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ სახელმწიფოებო ურთიერთობებში პასუხისმგებლობის სუბიექტია ნებისმიერი მხარე, რომელიც დაარღვევს ხელმწიფოებას. ასე, რომ ხელმწიფოება შეიძლება დაირღვეს როგორც კრედიტორის, ასევე მოვალის მხრივ. ზოგჯერ კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობის სუბიექტი შეიძლება აღმოჩნდეს არა უშუალოდ მოვალე, არამედ ის პირი, რომელიც არ იმყოფებოდა მასთან სახელმწიფოებო ურთიერთობაში. ასე ნაგალითად, უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის მყიდველის წინაშე პასუხს აგებს არა მიმწოდებელი (მაგალითად, საბითუმი ბაზა), არამედ დამამზადებელი, თუმცა მას შემსყიდველთან არა აქვს სახელმწიფოებო ურთიერთობა. ასეთი პირდაპირი პასუხისმგებლობა დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. ჩისი რიცხვი მცირეა. რთულ სახელმწიფოებო ურთიერთობაში უმეტესად პასუხისმგებლობის რეგრესული წესი გამოიყენება.

ერთგვარი თავისებურებით ხასიათდება არასახელმწიფოებო პასუხისმგებლობა. იგი არასახელმწიფოებო ვალდებულებიდან გამომდინარეობს. რამდენადაც ვალდებულების წარმოშობა აქ დაკავშირებულია ზიანის წარმოშობასთან, ამდენად, შეიძლება იმის თქმა, რომ კრედიტორი ის პირია, რომელსაც აქვს მხოლოდ ნოთხონის უფლება, ხოლო მოვალეს ეკისრება მხოლოდ ვალდებულება. ამდენად, აქ პასუხისმგებლობის როგორც შესაძლებელი, ასევე რეალური სუბიექტი მხოლოდ კრედიტორია.

ქონებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტს სამართალსუბიექტობაც უნდა ახასიათებდეს. სამართალსუბიექტობა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ძირითადად გაგებულია როგორც სამართალურთიერთობაში მონაწილეობის უნარი⁷. თ. ს. იოფეს შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: სამართალსუბიექტურობა — ესაა უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ერთიანობა; თავის მხრივ, როგორც უფლებაუნარიანობა, ასევე ქმედუნარიანობა სამართალსუბიექტურობის გამოვლენაა; არ შეიძლება უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის გაიგივება; იმისათვის, რომ პირი სამოქალაქო სამართლის სუბიექტი იყოს, საკმარისაა უფლებაუნარიანობა; რამდენადაც სამართალსუბიექტურობა მოითხოვს ქმედუნარიანობას, ამდენად, სრული არაქმედუნარიანობის და ნაწილობრივი

⁶ ცხადია, სამოქალაქო სამართალში არის ცალმხრივი ხელმწიფოებები, სადაც ერთ მხარეს მხოლოდ მოვალეობა აკისრია, მეორეს კი უფლება, მაგრამ ამათი წრე შედარებით მცირეა. ამიტომ ჩვენ, ზემოთ, ხელმწიფოებობა ძირითადი მასიდან ამოვიღებთ;

⁷ С. С. Алексеев, Общая теория социалистического права, выпуск второй, Свердловск, 1964. стр. 71.

ქმედუნარიანობის მქონე პირების სამართალსუბიექტურობა უზრუნველყოფილია მათს უფლებათუნარიანობაზე წმობლის, მეურვის, მზრუნველის ქმედუნარიანობის „მიერთებით“⁸.

ეს მოსაზრება საინტერესოა, მაგრამ ავტორს ყველაფერში ვერ დავეთანხმებით. როგორც ვნახეთ, იგი პირს სამართალსუბიექტურობის მქონედ თვლის უფლებათუნარიანობის მოპოვების მომენტიდან და ამის საფუძვლად აღიარებს მშობლების, მეურვეების და მზრუნველების ქმედუნარიანობას. უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს, სამართალსუბიექტურობის გაორებას იწვევს: ჯერ ერთი, სახეზე გვექნება სამართალსუბიექტურობა, რომელიც დამყარებულია მოცემული პირის ქმედუნარიანობაზე და მეორეც, სამართალსუბიექტურობა, რომლის შინაარსს შეადგენს მოცემული პირის უფლება-უნარიანობა და სხვა პირების ქმედუნარიანობა. სამართალსუბიექტურობის ანგვარი გაორება ხელოვნურია და ეწინააღმდეგება ქმედუნარიანობის შინაარსს, რომელიც მდგომარეობს პირის უნარში საკუთარი მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებანი, ასევე იკისროს სამოქალაქო მოვალეობანი. სამართალსუბიექტურობის შინაარსში ისევე როგორც ო. ს. იოფეს, ჩვენც უფლება-უნარიანობისა და ქმედუნარიანობის ერთიანობა გვესმის, მაგრამ არა მოქალაქის განვითარების ყოველ სტადიაზე (მხოლოდ უფლებათუნარიანობის პერიოდი), არამედ მაშინ, როდესაც იგი ქმედუნარიანობას მოიპოვებს. არც უფლებათუნარიანობისა და სამართალსუბიექტურობის გაიგივება შეიძლება, როგორც ამას აკეთებს ს. ნ. ბრატუსი⁹. სამართალსუბიექტურობა ხომ უფლება-მოვალეობათა რეალურ არსებობასთან არის დაკავშირებული. უფლებათუნარიანობა კი, როგორც თვით ს. ნ. ბრატუსი აღნიშნავს, ამ უფლება-მოვალეობის დადგომის აბსტრაქტული შესაძლებლობაა ცნობილი სახელმწიფოს მიერ. სამართალსუბიექტურობის ცნებით შესაძლებელი ხდება პირის უფლებათა რეალიზაცია. საწართალსუბიექტურობა დელიქტურ-უნარიანობასაც მოიცავს. დელიქტურუნარიანობა არის პირის უნარი იკისროს დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა ჩადენილი სამართალდარღვევისათვის (დელიქტისათვის). პირი დელიქტურუნარიანობის მქონეა 15 წლის ასაკიდან. მანამდე იგი მოკლებულია როგორც დელიქტურუნარიანობას, ასევე ქმედუნარიანობას. ამდენად, არაქმედუნარიანი პირი გამოირიცხულია სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტთა წრიდან. ნათ მეორ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებელი სუბიექტები არიან მათი მშობლები, მეურვეები. რაც შეეხება ნაწილობრივი ქმედუნარიანობის მქონე პირს, იგი დელიქტურუნარიანიც არის და, ამდენად, პასუხისმგებლობის სუბიექტიც შეიძლება იყოს. თუმცა, მათთან ერთად, ზოგჯერ წმობლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა. სასამართლოები ამ უკანასკნელთა პასუხისმგებლობას განმარტავდნენ ხშირად როგორც სოლიდარულს. ფაქტურად აქ მხოლოდ სუბსიდიარულ პასუხისმგებლობას აქვს ადგილი.

ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომ მცირეწლოვანისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სოლიდარული წესით დაეკისროს როგორც ზიანის უშუ-

⁸ См. О. С. Иоффе, Развитие цивилистической мысли в СССР (ч. I). Изд-во ЛГУ, 1975, стр. 119—126, С. С. Алексеев, Общая теория Социалистического права, выпуск второй, Свердловск, 1964, стр. 80.

⁹ С. И. Братусь, Субъекты гражданского права, М., Госюриздат, 1950, стр. 6.

აღო მიმყენებელს, ასევე დაზარალებულის მშობლებს, მეურვეს, რომელთაც ბრალი მიუძღვით მათზე არასათანადო ნეთვალყურეობაში. ო. ს. იოფე აღნიშნავს, რომ სასურველია სასამართლომ ზიანის მიმყენებელთან ერთად პასუხისმგებლობა დააკისროს ბრალეულ მშობლებს, მეურვეებს და სხვა პირებს, რომელთაც ევალეზობად დაზარალებულზე ნეთვალყურეობის გაწევა¹⁰. ვფიქრობთ, სწორად უნდა ჩაითვალოს ა. მ. ბელიაკოვას მოსაზრება, რომლითაც დამაჯერებლად არის უარყოფილი მშობლების სოლიდარული პასუხისმგებლობა მოცემულ შემთხვევაში. ა. მ. ბელიაკოვა პროცესუალური კუთხითაც გაუმართლებლად თვლის ამგვარ პასუხისმგებლობას: მაშინ ვის უნდა მიეცეს სარჩელის წარდგენის უფლება ზიანის ანაზღაურებაზე, თუკი მშობლები სოლიდარული პასუხისმგებლობის წესით მოპასუხებულ იქნებიან ცნობილი? თვითონ მცირეწლოვანი პროცესზე გამოსვლას ვერ შესძლებს. ასევე მშობლები. ყოველივე ეს ართულებს დაზარალებულის მდგომარეობას პროცესუალურ ურთიერთობაში¹¹.

მშობლების მიმართ ყოვლად გაუმართლებელია სოლიდარული პასუხისმგებლობა. ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ყოფილიყვნენ პასუხისმგებლობის სუბიექტები, როდესაც მცირეწლოვანი ჩაიდენდა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას. მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულის მოქმედება არავითარ უარყოფით შეფასებას არ იწვევს, რადგან მას ზიანი მიყენეს მისი ნებისაგან დამოუკიდებლად. იგი დაზარალებულია, ამდენად, არც იმისი თქმა იქნებოდა სწორი, რომ „სასურველია“ „სასამართლოები თავიანთი ინიციატივით“ დააკისრებდნენ — ზიანის მიმყენებელთან ერთად პასუხისმგებლობას მცირეწლოვანზე ნეთვალყურეობის გამწვევ პირებს¹². ზოგჯერ თვით ზიანის მიმყენებელი მცირეწლოვანის მშობლის ან მეურვის ბრალიც არასწორადაა ვაგებული. ხშირად მათი ბრალეულობის საფუძვლად არასათანადო ნეთვალყურეობა მოჰყავთ, ზოგჯერ კიდევ აღზრდა. უნდა ითქვას, რომ ამ ორ გარკვეულობათა (აღზრდისა და ნეთვალყურეობის) ერთმანეთისაგან მოწყვეტა არ არის გამართლებული. სწორად შენიშნავს ა. ი. პერგამენტი, რომ ნეთვალყურეობა მხოლოდ აღზრდის ფუნქციის ერთერთი გამოვლენაა¹³. აქედან გამომდინარე, აღზრდა ფართოდ უნდა ვავიგოთ. იგი მხოლოდ რჩევა დარიგების მიცემით, კეთილი საქმეებისაკენ მოწოდებით როდი გამოიხატება; ამავე დროს ის გულისხმობს მკაცრ კონტროლს აღსაზრდელის მოქმედებებზე. ამდენად, სათანადო აღზრდა ზედამხედველობასაც გულისხმობს. ასევე შეუძლებელია მარტოდენ არასათანადო ზედამხედველობას ჰქონდეს ადგილი და იქ არასწორი აღზრდა არ დაეინახოთ. არც ნეთვალყურეობა უნდა ვავიგოთ როგორც მცირეწლოვანის ნებისმიერ საქმიანობაზე ზედამხედველობა. შეუძლებელია ბავშვი დროს ყოველ მომენტში მშობლის ან მეურვის ნეთვალყურეობის ქვეშ იყოს. ამდენად, იქ სადაც მშობლის ბრალზეა საუბარი ყოველ-

¹⁰ ო. ს. იოფე. Обязательственное право, М., «Юридическая литература», 1975, стр 816.

¹¹ А. М. Белякова, Ответственность за вред причиненный малолетним и несовершеннолетним лицам. Изд-во Московского университета, 1963, стр. 15.

¹² ვლადიმირის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმმა თავის დადგენილებაში ერთერთ საქმესთან დაკავშირებით სწორად მიუთითა, რომ მცირეწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ ზიანის მიმყენებლის მშობლები და არა დაზარალებულის მშობლები (იხ. Бюллетень Верховного суда РСФСР, 1971, № 5, стр. 11—12).

¹³ А. И. Пергамент. К вопросу о правовом положении несовершеннолетних. Ученые записки ВЮОН, вып. III, Госюриздат, 1955, стр. 65.

თვის მხედველობაშია არასათანადო აღზრდა. ამიტომ ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია არასათანადო მეთვალყურეობის ცალკე გამოყოფა და არასათანადო აღზრდასთან დაპირისპირება;

როდესაც საქმე ეხება არასრულწლოვნების (მცირეწლოვანების) მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას დელიქტურ ვალდებულებებში შედარებით ადვილად ვწყვეტთ საკითხს: მცირეწლოვნები პასუხისმგებლობის სუბიექტებს არ წარმოადგენენ. ამდენად, მათს მოქმედებაზე პასუხს აგებენ მშობლები, მეურვეები; არასრულწლოვნები პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი სუბიექტებია; ზოგჯერ მათთან ერთად მშობლებსაც შეიძლება დაეკისროთ სუბსიდიალური პასუხისმგებლობა. შედარებით რთულად დგას საკითხი სახელშეკრულებო ურთიერთობებში. აქ მცირეწლოვანებთან ურთიერთობაში ისევ მშობლები და მეურვეები რჩებიან პასუხისმგებლობის სუბიექტად, რამდენადაც უშუალოდ ისინი დებენ გარიგებებს. რაც შეეხება არასრულწლოვნებს, აქ სხვანაირად დგას საკითხი; ისინი სამართალურთიერთობის მხარეებად ითვლებიან და ამდენად პასუხისმგებლობის სუბიექტებიც არიან. ამასთან, აქ კუურადღება უნდა მიექცეს იმას, გარიგებას დამოუკიდებლად სდებენ თუ მშობლების თანხმობა საჭირო. თუკი არ არის საჭირო თანხმობა და სწორედ ამგვარი გარიგების დარღვევიდან განომდინარეობს პასუხისმგებლობა, მაშინ ის მხოლოდ არასრულწლოვანს უნდა დაეკისროს. თუკი საჭიროა მათი თანხმობა, მაშინ — მშობელს, მზრუნველს, როგორც ლ. გ. კუზნეცოვს აღნიშნავს, შეიძლება დაეკისროთ არასრულწლოვანი კონტრაგენტის მოქმედებათა შედეგად ზიანის ანაზღაურების სუბსიდიალური მოვალეობა, რამდენადაც ასეთი ხელშეკრულება მათი თანხმობით დაიდო!¹⁴ ლ. გ. კუზნეცოვას აქ მხედველობაში აქვს ისეთი თანხმობა, რომლის მიცემისას დაშვებული იქნა გაუფრთხილებლობა, უყურადღებობა. ცხადია, თუკი ამას არ ექნება ადგილი ვერც პასუხისმგებლობას დავაკისრებთ მათ. (მშობლებს, მზრუნველებს).

მაშასადამე, როგორი სახისაც არ უნდა იყოს პასუხისმგებლობა — დელიქტური თუ სახელშეკრულებო, კანონმდებელი ძირითადად ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან ამოდის.

ზოგჯერ ლიტერატურაში გამოთქვამენ აზრს სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივ დელიქტურუნარიანობათა შორის წინააღმდეგობების არსებობაზე. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება 16 წელს მიღწეულ პირს, ხოლო ცალკეული სახის დანაშაულისათვის 14 წლის პირს. ამგვარად, თუკი პირი 14 წლის ასაკში ჩაიდენს ისეთ დანაშაულს, როგორიცაა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება ან ქონების განზრახ განადგურება (დაზიანება) მძიმე შედეგებით და სხვა, მაშინ მას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი სასჯელი, მაგრამ გათავისუფლებული იქნება ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულებიდან. ემყარება რა მოცემულ ფაქტს, ნ. ს. მალეინი მოითხოვს ამ „შეუსაბამობის“ გამოსწორებას — „სამოქალაქო კანონმდებლობაში ცვლილებების“ შეტანით!¹⁵

ერთი შეხედვით, მართლაც შეუსაბამობაა: თუკი არასრულწლოვანი ზე-

¹⁴ А. Г. Кузнецова, Я. П. Шевченко, Гражданско-правовое положение несовершеннолетних, М., «Юридическая литература», 1968, стр. 32.

¹⁵ Н. С. Малейн, Понятие и основание имущественной ответственности. «Советское государство и право», 1970, № 12, стр. 41.

მთა აღნიშნულ შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტი ხდება, ეს გამომდინარეობს ბრალეულობის პრინციპიდან მას უკვე შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებებს, შეათასოს მათი საზოგადოებრივი, საშიშროება, ამ მოქმედების შედეგი და ა. შ., ე. ი. აქ ბრალი პასუხისმგებლობის საფუძველი ყოფილა. სამოქალაქო სამართალში კი ნ. ს. მალენინის ნათქვამიდან განმდინარე, ვამტკიცებთ, რომ იგივე საზოგადოებრივად საშიშ, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებათა ჩადენაში პირს (მცირეწლოვანს) ბრალი არ მიუძღვის. გამოდის, რომ ერთი და იგივე, საზოგადოებრივად საშიში მოქმედებისადმი ერთი და იგივე პირი (მცირეწლოვანი) სხვადასხვაგვარ ფსიქიკურ დამოკიდებულებაში იმყოფება მოქმედებისა და შედეგისადმი, იმასთან დაკავშირებით თუ როგორი სახის პასუხისმგებლობა (სისხლის სამართლებრივი თუ ქონებრივი) დაეკისრება მას. ე. ი. ერთ შემთხვევაში ბრალეულია, მეორეში კი არა. გარდა ამისა, თუ საქმე ეხება სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ვამტკიცებთ, რომ მცირეწლოვნების მოქმედებაში მშობლებს მიუძღვით ბრალი და მათ ვაკისრებთ პასუხისმგებლობას. ეს პრინციპი რომ სისხლის სამართალში გადაგვეტანა, მაშინ მცირეწლოვნების ნაცვლად მშობლებს უნდა ეგოთ პასუხი, რაც ყოველად გაუმართლებელია. ან კიდევ, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპებით რომ გვეხელნძღვანელა სამოქალაქო სამართალში, მაშინ მიყენებული ზიანისათვის, პასუხი უნდა ეგოთ მცირეწლოვანებს. მათ ამისათვის სათანადო ქონება არ გააჩნიათ. ისევ მშობლები უნდა მოქცეულიყვნენ პასუხისმგებლობის ცენტრში, ან, საერთოდ უარი უნდა გვეთქვა ზიანის ანაზღაურებაზე, რაც დაუშვებელია.

როგორც ვხედავთ, თითქოს მთელ რიგ წინააღმდეგობებს აქვს ადგილი. ფაქტობრივად, აქ არავითარ შეუსაბამობას არა აქვს ადგილი. ნ. ს. მალენინის მიერ აღმოჩენილი წინააღმდეგობა ქონებრივი პასუხისმგებლობის კრიმინალიზაციაში უნდა ვეძიოთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქონებრივი პასუხისმგებლობა მთელი რიგი სპეციფიკურობით ხასიათდება. თუ სისხლის სამართალში ბრალი გადამწყვეტია პასუხისმგებლობისათვის, სამოქალაქო სამართალი ბრალის გარეშე დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოვალეობასაც იცნობს. ამასთან, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოქმედების ობიექტი თვით პიროვნებაა, სამოქალაქო სამართლებრივისა კი ამ პიროვნების ქონებრივი მდგომარეობა — ქონება; გარდა ამისა, სისხლის სამართლებრივი ნორმები ხორციელდება სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში მხოლოდ სამართალდარღვევის შემდეგ, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების ბუნება კი, როგორც წესი, ნორმალური ურთიერთობის მოწესრიგებაა. სისხლის სამართალში პირის ფსიქიკური დამოკიდებულების შესახებ კითხვა დაისმის მხოლოდ ნართლსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენის შემდეგ. აქ ყურადღების ცენტრშია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებები. სამოქალაქო სამართალში ფსიქიკური დამოკიდებულება საინტერესოა არა მარტო მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასთან მიმართებაში, არამედ ნართლზომიერ მოქმედებასთან ურთიერთობაშიც. ეს უკანასკნელია მთავარი. ამდენად, უფრო ადვილია რაიმე მოქმედების ჩადენისაგან თავის შეკავება, ვიდრე რომელიმე ნართლზომიერი მოქმედების განხორციელება; თუ სისხლის სამართალში დელიქტურუნარიანობის კრიტერიუმია საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებებთან (აკრძალულ მოქმედებებთან) პირის ფსიქიკური დამოკიდებულების, ე. ი. მათი საშიშრო-

ების შეცნობის უნარი, სამოქალაქო სანართალში დელიქტუზარიანობა ხასიათდება ორგვარი ნიშნით: ჯერ ერთი, პირის უნარი განახორციელოს დადებით მოქმედებები (დადოს გარიგება), და მეორეც, მისი უნარი თავი შეიკავოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებათა ჩადენისაგან. ნ. ს. მალეინი თავისი „შეუსაბამობის“ დროს სწორედ ამ მეორე სახის მოქმედებებზე ამახვილებს ყურადღებას და მხედველობიდან უშვებს პირველი სახის მოქმედებებს. მართლაც, ამ გავებით ფსიქიკური დამოკიდებულების გაორება შეუძლებელია. მაგრამ სამოქალაქო სამართლის არსი მდგომარეობს სწორედ დადებით, მართლზომიერ მოქმედებათა რეგულირებაში. პირის უნარი დამოუკიდებლად განახორციელოს ეს მოქმედებანი შედარებით გვიან ყალიბდება, რაც ერთგვარ გავლენას ახდენს პასუხისმგებლობაზეც. პასუხისმგებლობის კრიტერიუმში ზდება ქმედუნარიანობა, რომლის ერთ-ერთი ელემენტიცა დელიქტუზარიანობა. ეს უკანასკნელი ქმედუნარიანობისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს.

ვერც ო. ს. იოფე ხედავს აქ რაიმე შეუსაბამობას. იგი აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლებრივი სასჯელის ზომები დამნაშავეს პიროვნებაზე უშუალოდ მოქმედებს, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები კი — სამართლადამრღვევის პიროვნებაზე, მის ქონებაზე ზემოქმედებით. ამის გამო სავსებით დასაშვებია, რომ არ დაემთხვეს ერთმანეთს სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი, ამასთან, თუკი ასეთი დამთხვევა ნამდვილად მოხდება, მაშინ აღნიშნული მიზეზების გამო სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი როგორც წესი, უნდა იყოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკზე მაღალი¹⁶. ამდენად, სრულიადაც არ ყოფილა საჭირო სამოქალაქო კანონმდებლობაში ცვლილების შეტანა. გაუგებრობის მიზეზი ისევ და ისევ ქონებრივი პასუხისმგებლობის კრიმინალიზაციის მოთხოვნაა.

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი როგორც ითქვამს, შეიძლება იყოს იურიდიული პირიც. ამ საკითხზე ჩვენ გაბატონებული აზრისაგან რამდენადმე განსხვავებული შეხედულებები გვაქვს. როგორც ცნობილია, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის დასაბუთებისას მეცნიერები ახდენენ მისი „ნების“ ანალიზს. იურიდიულ პირს საკუთარი ნება გააჩნია. სწორად შენიშნავს პროფესორი ს. ნ. ბრატუსი, რომ იურიდიული პირის ნება სწორედ მისი ნებაა, მართალია იგი ფსიქოლოგიურად ყალიბდება და ვლინდება მისი ორგანოების, ე. ი. ცოცხალი ადამიანების მიერ¹⁷. იურიდიული პირის ნება ერთი პირის ნება როდია, იგი მთელი კოლექტივის ნებაა; თუნდაც, რომ შემუშავებული და გამოვლენილი იყოს ერთი პირის მიერ. მაშასადამე, ეს კოლექტიური ნებაა, რომლის უარყოფა მცდარ დასკვნებამდე მიგვიყვანდა. იურიდიული პირის ნება პირის ან პირთა ნებაა, რომელიც მთელი კოლექტივის ინტერესებს გამოხატავს. გენეტიკური თვალსაზრისით, იგი ყალიბდება როგორც ინდივიდუალურ პირთა ნება, ხოლო როდესაც სათანადო რეზოლუციას მიიღებს მთელი კოლექტივის მხრივ იგი იქცევა კოლექტიურ ნებად. ინდივიდუალური და კოლექტიური ნება არ არიან იგივეობრივნი. იურიდიული პირი როგორც პასუხისმგებლობის სუბიექტი კოლექტიური ნე-

¹⁶ О. С. Иоффе, Ответственность по Советскому гражданскому праву, Изд-во ЛГУ, 1955, стр. 59.

¹⁷ С. Н. Братусь, Юридические лица в советском гражданском праве, М., 1948, стр. 67.

ბის სუბიექტია. პასუხისმგებლობის დაკისრების დროს სწორედ კოლექტიური ნებიდან უნდა ამოვიდეთ. იურიდიული პირი უნდა განვიხილოთ როგორც მთელი (ორგანიზმი) და არა როგორც დაქუცმაცებული ცალკეულ ინდივიდუალურ პირთა სახით. ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს პასუხისმგებლობა ამ მთელისა და არა მისი შემადგენელი ნაწილებისა. ცალკეული პირების პასუხისმგებლობა, სრულიადაც არაა მთელი კოლექტივის პასუხისმგებლობა. კონკრეტული მუშაკის ბრალი იურიდიულ პირთან ნიშნობაში, შეიძლება ითქვას, არ არსებობს (გამონაკლისის სახით ჩვენ ვუშვებთ მხოლოდ მაშინ როდესაც მოქალაქის მხრივ განზრახვას აქვს ადვილი). ესაა მთელი კოლექტივის ბრალი. კოლექტივი, ავალებს რა მუშაკს ამა თუ იმ ამოცანათა განხორციელებას, თავიდანვე კისრულობს მართლსაწინააღმდეგოდ მისი განხორციელების შედეგებსაც. წინააღმდეგ შენთხვევაში საქმე იურიდიული პირის პასუხისმგებლობასთან არ გვექნებოდა. ვინაიდან აქ მთელი კოლექტივის ბრალთან გვაქვს საქმე, იურიდიული პირის მიერ კონკრეტული პირის ნიშნობა რეგრესის გამოყენება საერთოდ ათავისუფლებს იურიდიულ პირს პასუხისმგებლობისაგან¹⁸. საბოლოოდ, ისე გამოდის, თითქოს იურიდიული პირი სესხის სახით იღებდეს კონკრეტული პირებისაგან პასუხისმგებლობას მისი აუცილებელი დაბრუნების პირობით. ამდენად, აქ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა დროებითია, ფორმალურია, იგი ეწინააღმდეგება პასუხისმგებლობის ნამდვილ ბუნებას: როგორც ცნობილია, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ იგი იწვევს არასასურველ სანართლებრივ შედეგებს პასუხისმგებელი პირის ქონებრივ სფეროში. იმისათვის, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა გვექნდეს, საჭიროა მისი და არა სხვისი ქონება იყოს ამგვარი ზემოქმედების ობიექტი. ამასთან ზემოქმედება უნდა იყოს საბოლოო და არა დროებითი, როგორც ეს სინამდვილეში ხდება. აქ არც სხვისი ბრალის გამო პასუხისმგებლობაა. ფაქტიურად თვალსა და ხელს შუა გვიჭრება იურიდიული პირის პასუხისმგებლობა და მთელი კოლექტივის (ორგანიზაციის) პასუხისმგებლობის სუბიექტად გვევლინება არა თვით იურიდიული პირი, არამედ კონკრეტული მოქალაქე. ნამდვილი კოლექტიური პასუხისმგებლობა იქ არის, სადაც მთელი კოლექტივი განიცდის სამართალდარღვევის არასასურველ შედეგს.

ვფიქრობთ, პასუხისმგებლობის „სესხების თეორია“ (სახელწოდება ჩვენია) უნდა უარყოფთ, რამდენადაც იგი ეწინააღმდეგება კოლექტიური პასუხისმგებლობის ნამდვილ ბუნებას.

¹⁸ თვით სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობაში რეგრესის გამოყენებას ჩვენ არ უარყოფთ.



კოლმეურნეობაში საკარმიდამო ნაკვეთებით სარგებლობის უფლების შესახებ

ა. ლაბარტაშაძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა უდიდესი რევოლუციური მნიშვნელობის მოვლენა იყო. მან ბოლო მოუღო წვრილ, დაქუცმაცებულ მეურნეობას და სოფლად კერძომესაკუთრულ ფსიქოლოგიას, გლენთა ექსპლოატაციას და სილატაკეს. შეიქმნა სოფლის მშრომელთა ცხოვრების წესისა და მსოფლმხედველობის ძირეულად შეცვლის რეალური პირობები. საკოლმეურნეო მშენებლობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს კოლმეურნეობებში პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების სწორად შეხამებას. ამის გათვალისწინებით კოლმეურნეებს უფლება აქვთ შექმნან პირადი დამხმარე მეურნეობა.

სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში „საკარმიდამო ნაკვეთი“ ნახმარი არ არის. მე-13-ე მუხლში მითითებულია, რომ მოქალაქეებს აქვთ მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება, რაშიც იგულისხმება საკარმიდამო, სანოსახლო, სასამსახურო მიწის ნაკვეთები.

თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივ სოფლის მეურნეობას ჯერ კიდევ არ ძალუძს სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების მთლიანად დაკმაყოფილება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით, ხოლო მოსახლეობისა საკვები პროდუქტებით. ამ ხარვეზებს მნიშვნელოვანწილად ავსებს სოფლის მშრომელთა პირად და დამხმარე მეურნეობებში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ამიტომ არის, რომ საბჭოთა საზოგადოებაში ჯერ კიდევ მიზანშეწონილად არის მიჩნეული და ეკონომიურადაც აუცილებელი კოლმეურნეთა დამხმარე მეურნეობების შენარჩუნება და ამ გზით საკვები პროდუქტების წარმოების გადიდება. მომავალში სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების განვითარების კვლობაზე, საკოლმეურნეო კომლის დამხმარე მეურნეობა თანდათანობით დაკარგავს თავის მნიშვნელობას. როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაშია ნათქვამი, „გარკვეულ ეტაპზე კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა მიიღწევს განვითარების ისეთ დონეს, როცა შესაძლებელი გახდება მისი რესურსებით სავსებით დაკმაყოფილდეს კოლმეურნეთა მოთხოვნილებანი. ამ საფუძველზე პირადი დამხმარე მეურნეობა თანდათანობით დრომოკმული გახდება ეკონომიურად“¹.

საბჭოთა კავშირში ამის სოციალურ-ეკონომიკური წინამძღვრები თანდათანობით იქმნება და აჩქარებამ მხოლოდ ზიანი შეიძლება მოგვიტანოს. პარტიამ სავსებით სამართლიანად უარყო ამ საკითხში სამოციან წლებში დაშვებული შეცდომები, როცა დაუსაბუთებლად შეამცირეს კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების და პირად სარგებლობაში მყოფი პირუტყვის ნორმები, ზოგან კი

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961 წ. გვ. 92.

საერთოდ უარი თქვეს პირად დამხმარე მეურნეობებზე. ცხოვრებამ დაადასტურა, რომ ამ გაუმართლებელმა და მანკიერმა კურსმა შეაფერხა იმ პერიოდში საკვები პროდუქტებით ჩვენი ქვეყნის მშრომელთა უზრუნველყოფა.

პარტიამ აღმოთხვრა საკარმიდამო ნაკვეთებით სარგებლობის საკითხში დაშვებული უხეში შეცდომები და მოაწესრიგა ეს საქმე საბჭოთა სახელმწიფოსა და მშრომელთა ინტერესების შესაბამისად.

ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური პირობები ჯერ კიდევ, მოითხოვს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის პარალელურად კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე პირად დამხმარე მეურნეობების არსებობას, რაც განმტკიცებულია საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონით — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით და საკოლმეურნეო ცხოვრების მომწესრიგებელი უპირველესი ნორმატიული აქტით — კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებით. კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე პირადი მეურნეობები მხოლოდ დამხმარე ხასიათს უნდა ატარებდნენ. სამუხებროდ ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი კონსტიტუციურ და საკოლმეურნეო-საწესდებო მოთხოვნათა პრინციპების დარღვევებს. ვხვდებით ფაქტებს, როცა ცალკეულ კოლმეურნეთა დამხმარე მეურნეობებს ძირითადი მეურნეობების ხასიათი აქვთ მიცემული. არიან ისეთი კოლმეურნენი, რომლებიც არ მონაწილეობენ საკოლმეურნეო საზოგადოებრივ წარმოებაში და საკარმიდამო ნაკვეთებით, სოფლის ყველა სიკეთით კი სარგებლობენ.

ზოგიერთი კოლმეურნე, სოფლისათვის, კოლმეურნეობისათვის თითქმის არაფერს აკეთებს, მთელ ენერჯიას, ძალას და დროს თავის საკარმიდამო ნაკვეთზე მუშაობას ახმარს, პირად დამხმარე მეურნეობას ძირითად სახეობად აქცევს, ფაქტიურად გაწყვეტილი აქვს კოლმეურნეობასთან შრომითი კავშირი. ისინი კოლმეურნეობის ფაქტიური წევრები არიან და მამასადამე, უფლება არა აქვთ ისარგებლონ კოლმეურნეობის მიერ გამოყოფილი საკარმიდამო ნაკვეთით. რესპუბლიკაში 1975 წელს ყაზბეგის, დმანისის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, საგარეჯოს და სხვა რაიონებში კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილეობა არ მიუღია შრომისუნარიან კოლმეურნეთა გარკვეულ ნაწილს.

კოლმეურნეების ნაწილი თვალისასახვევად, ფორმალურად მონაწილეობს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ წარმოებაში, დროის მეტ ნაწილს კი თავის პირად მეურნეობას ახმარს, უსაზღვროდ აფართოებს მას. მაგალითად, 1976 წელს, რესპუბლიკაში 36 ათასმა შრომისუნარიანმა კოლმეურნემ არ შეასრულა საზოგადოებრივ წარმოებაში შრომითი მონაწილეობის სავალდებულო მინიმუმი. სავალდებულო მინიმუმში არ გამოუმუშავებათ დუშეთის, ყვარლის, ყაზბეგის, ლაგოდეხის, ასპინძის და ა. შ. რაიონებში, შრომისუნარიან კოლმეურნეთა ერთი ნაწილი არასრული დატვირთვით მუშაობს საზოგადოებრივ მეურნეობაში, რითაც კოლმეურნეობებში ხელოვნურად იქმნება მუშახელის ნაკლებობა, ფერხდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად და ხარისხიანად შესრულება, მოსავლიანობის გადიდების დავალება, კოლმეურნეობათა სამეურნეო ორგანიზაციული განმტკიცება და ეკონომიურად გაძლიერება, კოლმეურ-

ნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობაში პატიოსნად მომუშავე ოჯახების ცნობების პირობების ამაღლება. მაგალითად ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის კოლმეურნეობაში 1975 წელს არ დახარჯეს გეგმით გათვალისწინებულ 58 ათასი კაცდღე, სოფელ ჭიკაიანის კოლმეურნეობაში 4.010 კაცდღე, საჩხერის რაიონის სოფელ ჭალის კოლმეურნეობაში სიმინდის კულტურაზე გათვალისწინებული 2.015 კაცდღე. ყვარლის რაიონის სოფელ ბაღოჯიანის კოლმეურნეობაში დაუმუშავებელი დატოვეს 4 ჰექტარი ლობიოს ნათესი, 61 ჰექტარი სიმინდის ხათესიდან მეორედ გაითოხნა მხოლოდ 5 ჰექტარი. დიდი რაოდენობით დაჩა დაუმუშავებელი ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურები, ჭიკაიანისა და გავაზის კოლმეურნეობებში, გარდა ყურძნისა, არცერთი სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გეგმა არ შესრულებულა.

ასეთი უღისციპლინობა და უპასუხისმგებლობა უარყოფითად მოქმედებს კოლექტიურ მეურნეობებში კეთილსინდისიერად მომუშავე ადამიანებზე. მათ გული უტრუხდებათ, კოლმეურნეობებში სუსტდება შრომის დისციპლინა, შრომის ნაყოფიერება არ იზრდება. საკოლმეურნეო წარმოებაში მოჩვენებითა მონაწილეობა აქვეითებს კოლმეურნეობათა ეკონომიკურ მაჩვენებლებს, ამცარებს საზოგადოებრივი მეურნეობის რენტაბელობას. მაგალითად, 1975 წელს რესპუბლიკის 872 კოლმეურნეობიდან 114 არარენტაბელური, წამგებიანი იყო. ჩვენი პარტიის აგრარული პოლიტიკა, ქვეყნის ინტერესები მოითხოვს აღმოიფხვრას კოლმეურნეთა მიერ საზოგადოებრივი შრომისაგან თავის არიდება, უღმობღად ვებრძოლოთ უღისციპლინობას.

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების 28-ე მუხლით „კოლმეურნეობის წევრებს, რომლებმაც საპატიო მიზეზების უქონლად ვერ შეასრულეს საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომითი მონაწილეობის მინიმუმი, აგრეთვე ჰქონდათ გაცდენები, კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება ნაწილობრივ მიეცეთ ან სულაც არ მიეცეთ დამატებითი საზღაური და მატერიალური წახალისების სხვა სახეობანი“. მაგრამ საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომითი მონაწილეობის მინიმუმის შეუსრულებლობაც არის და შეუსრულებლობაც. ზოგჯერ კოლმეურნეთა ნაწილი საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომითი მონაწილეობის მინიმუმს არ ასრულებს.

საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომითი მონაწილეობის მინიმუმის გამოუმუშავებლობისათვის რეაგირების ზომები, ე. ი. დასჯა, ყველასათვის ერთნაირი არ შეიძლება იყოს. კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების 28-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციები გამოყენებული უნდა იქნას იმ კოლმეურნეთა მიმართ, ვინც შრომადღების მინიმუმს 10-30 პროცენტით, უკიდურეს შემთხვევაში 40 პროცენტით ასრულებს. მინიმუმის 50, ან უფრო მეტი 60-90 პროცენტით შეუსრულებლობისათვის საჭიროა უფრო მკაცრი ზომის გამოყენება, სახელდობრ საკარმიდამო ნაკვეთის შემცირება. ეს ხელს შეუწყობს კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, საზოგადოებრივ წარმოებაში კოლმეურნეთა სისტემატურ, კეთილსინდისიერ მონაწილეობას, საბოლოო ან-

გარიშში კი კოლმეურნეობათა და კოლმეურნე ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და განმტკიცებას.

შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობას ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა მაგალითად საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 27 მაისის დადგენილებით „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მიწების განვითარებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ მე-14 მუხლის ბოლო ნაწილით, შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის შეუსრულებლობისათვის კოლმეურნე ითვლებოდა კოლმეურნეობიდან გასულად და კოლმეურნის ყველა უფლებას კარგავდა. ამ მეტად მკაცრი სანქციის დაწესება გამოწვეული იყო ჩვენი ქვეყნისათვის რთული საშინაო და საგარეო მდგომარეობით.

დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სწრაფი განვითარების პირობებში, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის კვალობაზე სულ უფრო ზუსტდებოდა კოლმეურნეთა შრომითი კანონმდებლობა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის დადგენილებით „შრომისუნარიანი კოლმეურნეებისათვის სავალდებულო მინიმუმის შესახებ“ კოლმეურნეთა ოჯახებს, რომლის ცალკეული შრომისუნარიანი წევრები არ გამოიმუშავებდნენ კოლმეურნეობის საერთო კრების მიერ დაწესებული შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს, სასოფლო სამეურნეო გადასახადი უდიდდებოდათ 50 პროცენტით. შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის შეუსრულებლობისათვის ასეთი სანქციის მისადაგების უშედეგობა მოკლე დროში ნათელყო საკოლმეურნეო წარმოების პრაქტიკამ. კოლმეურნეობებში საგრძნობლად შესუსტდა შრომის დისციპლინა, კოლმეურნეთა ნაწილი არ მონაწილეობდა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ წარმოებაში, მეტ დროს პირად დამხმარე მეურნეობაში შრომას ახმარდა, კოლმეურნის ყველა შედეგით კი სარგებლობდა. ეს ხელს უშლიდა საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას და კოლმეურნეთა ეკონომიკის განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 მარტის დადგენილებით — „სასოფლო სამეურნეო არტელის წესდების და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და არტელის საქმეთა მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ“ კოლმეურნეობებს რჩევა მიეცათ გაეძლიერებინათ პასუხისმგებლობა შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის შეუსრულებლობისათვის. ამ დადგენილებით დაკანონდა, რომ ოჯახებს, რომელთა შემადგენლობაში არიან შრომისუნარიანი კოლმეურნეები, არ მუშაობენ კოლმეურნეობაში ან საკმაო შრომითს მონაწილეობას არ იღებენ საზოგადოებრივ მეურნეობაში, უფრო ნაკლები საკარმიდამო მიწა ჰქონდეთ, ვიდრე იმ კოლმეურნეთა ოჯახებს, რომლებიც კეთილსინდისიერად მუშაობენ კოლმეურნეობაში. საკარმიდამო ნაკვეთებით სარგებლობისადმი ასეთმა მიდგომამ ხელი

შეუწყო საზოგადოებრივ წარმოებაში კოლმეურნეთა აქტიურ ჩაბმას და კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე საჭიროა მტკიცედ დავიცვათ საკოლმეურნეო მშენებლობის უმთავრესი კანონის — კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების მოთხოვნა საკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობისას კოლმეურნეობის საზოგადოებრივ წარმოებაში კოლმეურნის ოჯახის შრომისუნარიან წევრთა პირადი შრომითი მონაწილეობის შესახებ. კოლმეურნის ოჯახის შრომისუნარიანი წევრი თუ თავს არიდებს საკოლმეურნეო საზოგადოებრივ შრომას, ზარმაცობს, აქტიურად არ მონაწილეობს კოლმეურნეობის საზოგადოებრივ წარმოებაში, მათ ოჯახებს შესაბამისად უნდა შეუძციოდეთ საკარმიდამო ნაკვეთები. თუ ისინი შემდეგ აქტიურად ჩაებმებიან საკოლმეურნეო საქმიანობაში და რეგულარულად იშრომებენ საზოგადოებრივ წარმოებაში, მაშინ კოლმეურნის ოჯახს შესაბამისად უნდა გაუდიდდეს საკარმიდამო ნაკვეთი. ეს აზრი გამომდინარეობს კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების 42-ე მუხლის იმ ნაწილიდან, სადაც ლაპარაკია კოლმეურნის ოჯახისათვის საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფისას ოჯახის შრომისუნარიან წევრთა კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომითი მონაწილეობის გათვალისწინებაზე.

საკოლმეურნეო მშენებლობის ეს უმნიშვნელოვანესი დებულება განუხრებლად უნდა შესრულდეს. კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების 42-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად კოლმეურნის ოჯახების საკარმიდამო ნაკვეთების შემცირება-გადიდება პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს — კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, მისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს შრომისუნარიან კოლმეურნეთა აქტიურად ჩაბმას საზოგადოებრივ წარმოებაში, სოფლად შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ამასთან ერთად საჭიროა უზრუნველყოთ შრომის სწორი ორგანიზაცია და სრულყოთ ანაზღაურების სისტემა, სრულად გამოვიყენოთ კოლმეურნეთა მატერიალური და მორალური წახალისების ფორმები.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებრივი წარმოების და პირადი დამხმარე მეურნეობების ურთიერთობის საკითხს. ყრილობაზე აღინიშნა, რომ ცენტრალური კომიტეტი პირადი დამხმარე მეურნეობის წინააღმდეგ არ არის, თუ მისი მასშტაბი ხელს არ შეუშლის საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობას. პირიქით, ის მხარს უჭერს იმ კოლმეურნეებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ შრომაში და ამასთან თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთზეც აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას. ყრილობაზე ითქვა, რომ სოფლის მცხოვრები, რომელსაც საკარმიდამო ნაკვეთზე 10-15 ტონა მანდარინი მოჰყავს და კილოგრამს 5—6 მანეთად ჰყიდის, ერთ სეზონში დაახლოებით 50—60 ათას მანეთს იღებს. ასეთი იოლი გამდიდრება ხრწნის მას, აღვივებს მათში კერძომესაკუთრულ ინსტიქტებს, რაც პატიოსან მშრომელთა საძმართლიან პროტესტს იწვევს. ეს ასეა, როცა კოლმეურნის ოჯახები თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთების უკანონოდ გადიდებით ზრდიან პირადი დამხმარე მეურნეობიდან შემოსავალს, როცა ოჯახის შრომისუნარიანი წევრები მთელ

დროს თავიანთ მეურნეობებში მუშაობას ახმარენ, ხოლო კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ წარმოებაში ნაწილობრივ, ან საერთოდ არ მონაწილეობენ.

კოლმეურნეობის შრომისუნარიანი წევრი თუ სისტემატურად, პატიოსნად მოხაწილეობს კოლმეურნეობის საზოგადოებრივ წარმოებაში, განუხრელად იცავს კოლმეურნეობის წესდებასა და შინაგანაწესის მოთხოვნებს, უწინარეს ყოვლისა შრომითი ურთიერთობის სფეროში, მტკიცედ იცავს დისციპლინას, მათი პირადი დამხმარე მეურნეობიდან მიღებული ყოველწლიური შემოსავალი რა ოდენობისაც არ უნდა იყოს ის, კანონიერია. საბჭოთა კონსტიტუციით და კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებით მათ უფლება აქვთ ისარგებლონ საკარმიდამო ნაკვეთებით, დათესონ, გააშენონ ამ ნაკვეთებზე ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო კულტურა, ნარკოტიკული და შხამიანი მცენარეების გარდა.

კანონი იმითომ არის კანონი, რომ მას უმაღლესი ძალა აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი რიგითი მოქალაქე და ხელმძღვანელი ვალდებულია დაემორჩილოს კანონის მოთხოვნებს, პატივი სცეს მას და შეასრულოს იგი. თუ ჩვენი რესპუბლიკის მაღლიანი მიწა საუკეთესოა ძვირფასი ტექნიკური კულტურების მოსაყვანად და ამით მიღებული შემოსავალი დიდია, ამისათვის, ვფიქრობთ, საკოლმეურნეო წარმოებაში აქტიურად მონაწილე პატიოსანი მშრომელი გლახობა არ უნდა დაზარალებდეს. პარტიის უპირველესი მიზანია მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ჩვენი ქვეყნის დევიზია: „ყველაფერი ადამიანისათვის, მთელი ხალხის კეთილდღეობისათვის!“

ჩვენი რესპუბლიკის ყველა რეგიონში მიწები ერთნაირად ნოყიერი არ არის. მაშასადამე, პირადი დამხმარე მეურნეობებიდან კოლმეურნეთა ოჯახების შემოსავალი ერთნაირი ვერ იქნება. რესპუბლიკაში ყველგან ძვირადღირებული მანდარინი როდი მოჰყავთ. მიწების ნაყოფიერება სხვადასხვანაირია ცალკეული რაიონების ფარგლებშიც. ეს იმას მომწობს, რომ საჭიროა რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებში და მის ფარგლებშიც საკარმიდამო ნაკვეთების დიდფერენცირებული ნორმების დაწესება, რაც უნდა მოხდეს ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატური პირობების და მიწების ნაყოფიერების გათვალისწინებით. ეს ხელს შეუწყობს კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას, კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეს სექტორი დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების სასოფლო-სამეურნეო ნედლეულითა და მშრომელი მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგებაში. სწორედ ამას ითვალისწინებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენარალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, როცა 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამბობდა: „ნაადრევია აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შეკვეცა კოლმეურნეთა, მუშა-მოსამსახურეთა პირად საკარმიდამო მეურნეობებში. პირად მეურნეობებს მეტი ყურადღება უნდა დაეუთმოს და ვიზრუნოთ მათზე“. ამ მითითების შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ნოემბრის პლენუმმა დაავალა პარტიის რაიონულ კომიტეტებს, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, ხელი შეუწყონ მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებას. ამ მიზნით შეძლებისდაგვარად გამოყონ მინერალური სასუქები, შხამქიმიკატები, პირუტყვისა და ფრინველის საკვები. მოსახლეობას შეუქმნან

მაქსიმალურად მოსახერხებელი პირობები მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ნამატი პროდუქციის რეალიზაციისათვის. პლენუმმა მოუწოდა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო ორგანოებს და სოფლის კომუნისტებს თანმიმდევრულად ებრძოლონ ყოველგვარ დამახინჯებებს, კანონების დარღვევებს, პარაზიტობას, ისეთ ტენდენციებს, რომლებიც აღვივებენ კერძომესაკუთრულ ინსტიტუტებს რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქის მოსახლეობის ჩამორჩენილ ნაწილში, ნიადაგი გამოაცალონ სპეკულაციას, იოლი გამდიდრების ცდებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმზე აღინიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო მოცულობაში სულ უფრო მატულობს საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წილი და მათე ხუთწლედის ბოლოს ის 63,5 პროცენტს მიაღწევს, მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო მოცულობაში პირადი სექტორის ხვედრითი წილის შემცირებას, შეზღუდვას. პირიქით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება საკარმიდამო ნაკვეთებზე საჭიროა და მათი დამზადება კიდევაც უნდა მოვაწესრიგოთ კარგად დახვეწილი დამზადების სისტემის მეშვეობით. პლენუმზე ითქვა, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უნდა ცდილობდნენ, რათა სოფლის მოსახლეობა მაქსიმალურად იყენებდეს საკარმიდამო ნაკვეთის ყოველ მტკაველ მიწას, ჰყავდეს მალაპროდუქტიული პირუტყვი—ძროხა, ღორი, ფრინველი, ამ ნაკვეთზე მოყავდეს ბოსტნეული და გააშენოს სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები.

ჩვენს რესპუბლიკაში საკარმიდამო ნაკვეთებით სარგებლობის საკითხის მოწესრიგება კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების მოთხოვნათა მიხედვით, რაიონების, სოფლების ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, პარტიული, საბჭოთა, სოფლის მეურნეობის ორგანოების, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების უპირველესი ამოცანაა. მისი განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს სოფლის მშრომელთა აქტიურად ჩაბმას საზოგადოებრივ წარმოებაში და პარტიის XXV ყრილობის მიერ რესპუბლიკის წინაშე სოფლის მეურნეობის დარგში დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებას.

რისკუსია, პორეპიკა, ჰუპრიკა

იურიდიული პასუხისმგებლობის ცნება*

რ. შ. ცინცაძე

საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში ჯერ კიდევ დაუდგენელია იურიდიული პასუხისმგებლობის ერთიანი ცნება, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმით, რომ დიდი ხნის განმავლობაში სამართლის ზოგადი თეორიის სპეციალისტები არ უთმობდნენ ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას და იგი მუშავდებოდა სამართლის ცალკეული დარგების მიხედვით.

ეს საკითხი ყველაზე მეტად დამუშავებულია სისხლის სამართალში, შედარებით ნაკლებად ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალში. იურიდიული პასუხისმგებლობაც ძალზე ხშირად განიხილებოდა, როგორც გარკვეული ერთობა სისხლის-სამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისა. მართალია, უფრო მოგვიანებით, ავტორთა ნაწილმა იურიდიული პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ სახედ გამოყო დისციპლინური პასუხისმგებლობა¹, სხვებმა შრომის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა² ხოლო ცალკეულმა სპეციალისტმა დამოუკიდებელ ფორმად — საკოლმეურნეო სამართლებრივი პასუხისმგებლობაც³ კი და ა. შ., მაგრამ მათთვის, ჯერ ერთი, მხარი არ დაუჭერია სპეციალისტების დიდ უმრავლესობას, მეორეც, ამ გარემოებას არ უთამაშია არსებითი როლი იურიდიული პასუხისმგებლობის ცნების ჩამოყალიბებაში.

იურიდიული პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის სახელმძღვანელოებში, აგრეთვე ცალკეული ავტორების შრომებში განიხილება, როგორც სამართლის ნორმის მოთხოვნის დამრღვევ პირთა მოვალეობა აგონ პასუხი, ანდა როგორც სახელმწიფოს მიერ იძულების ღონისძიების გამოყენება სამართალდამრღვევთა მიმართ.⁴ იურიდიული პასუხისმგებლობის ასეთ განსაზღვრებაში უფრო მეტად აისახა ის ნიშნები, რომლებიც გააჩნია სისხლის-სამართლებრივ და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამ გარემოებაზე სამართლიანად მიუთითა ს. ნ. ბრატუსმა, რომელიც თვლის, რომ

* იბეჭდება განხილვის წესით.

¹ См. напр. И. С. Самощенко, М. Х. Фарушкин, сущность юридической ответственности в советском обществе, М., 1974, стр. 32—37; Теория государства и права (под ред. К. А. Мокичева) ю/л, М., 1970, стр. 590 и др.

² См. Л. А. Сыровитская, Ответственность по советскому трудовому праву, ю/л, 1974, стр. 39—40.

³ См. напр.: М. С. Сахипов, Проблема ответственности в колхозном праве, Изд-во «Наука» Казахско ССР, Алма-Ата, 1972, стр. 81.

⁴ См. Теория государства и права, Изд-во ю/л, М., 1968, стр. 576; Теория государства и права, Изд-во ю/л, М., 1970, стр. 586; Основы теории государства и права, Изд-во ю/л, М., 1971, стр. 355; Теория государства и права, Изд-во МГУ, 1972, стр. 499; Марксистско-Ленинская общая теория государства и права (социалистическое право), ю/л, М., 1973, стр. 585; Е. И. Маркова, К вопросу о юридической ответственности — «Проблемы государства и права на современном этапе», вып. 7, М., 1973, стр. 208; ლ. ა. სირვატსკაია, მითითებული ნუმრობი 33, 23; В. Н. Хоменко, Ответственность в хозяйственном праве, Издательское объединение Вища школа» при киевском государственном университете, Киев, 1975, стр. 39.

მოხდა პასუხისმგებლობის „კრიმინალიზაცია“, ე. ი. იურიდიული პასუხისმგებლობის ცნებაში არ აისახა ის სპეციფიკური, რაც გააჩნია სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას — „შეუსრულებელი მოვალეობის აღდგენა“.⁵ უკვე ამ მიზეზით იურიდიული პასუხისმგებლობის შემოთავაზებულ ცნებებს სრულყოფილად ვერ ჩავთვლით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იმ ნიშნების შეერთება, რომლებიც პასუხისმგებლობის ცალკეულ სახეებს ახასიათებს, არ შეიძლება მოხდეს მექანიკურად. უფრო მეტიც, ეს არც არის საჭირო.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ იურიდიული პასუხისმგებლობის რომელი ნიშნებია არსებითი და საერთო ყველა სახის პასუხისმგებლობისათვის, ჯერ უნდა ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა არის პასუხისმგებლობა საერთოდ.

პასუხისმგებლობა საერთოდ ყოველთვის იყო დამოკიდებული თავისუფლებისა და აუცილებლობის თანაფარდობაზე, ე. ი. იმის გადაწყვეტაზე, თავისუფალია თუ არა ადამიანის ნება. ეს პრობლემა ძალზე ძნელი გადასაწყვეტია, თუ მივიჩნევთ, რომ ადამიანის ნება თავისუფალია, მაშინ უნდა მივიდეთ დააკვანამდე, რომ შეუძლებელია ადამიანთა ურთიერთობების მოწესრიგება და უსამართლოა პიროვნებას დევაკისროთ პასუხისმგებლობა მისი ნების ნებისმიერი გამოვლინებისათვის; იმავე დროს, თუ მივიჩნევთ, რომ ადამიანის ნება მთლიანად გარეშე ფაქტორებით არის განპირობებული, ისევე აღარ გვექნება საფუძველი პირს პასუხისმგებლობა დევაკისროთ მის მიერ ჩადენილი ბოროტებისათვის. ამ პრობლემის გადაჭრა ვერ შესძლევს სოციალურმა მეცნიერებებმა, რომლებიც მარქსიზმს ეწინააღმდეგებიან. ზოგიერთმა (მაგ. ანტროპოლოგიური და ნეოანტროპოლოგიური მიმართულებები) უარი თქვა ბურჟუაზიული სამართლის ელემენტარულ პრინციპებზე⁶, ზოგმა ადამიანის პასუხისმგებლობა უსაზღვროდ განაცხადო და ერთ პიროვნებას დააკისრა პასუხისმგებლობა ყველას, მთელი წსოფლიოს ადამიანთა მოქმედებებისათვის (ეკსისტენციალიზმი), ზოგმა შეუძლებლად მიიჩნია პასუხისმგებლობის დაკისრება⁷ (ფსიქოანალიზი), ხოლო ნაწილმა საერთოდ უარი თქვა თვით ტერმინზეც „მორალური პასუხისმგებლობა“⁸.

თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემა მხოლოდ მარქსისტულმა ფილოსოფიამ გადაწყვიტა. იგი თავისუფლებას განიხილავს, როგორც აუცილებლობის არსებობის, განვითარებისა და გამოვლინების ერთ-ერთ ფორმას.

პიროვნება აუცილებლობის შეცნობისა და თავის მოქმედებებში ამ აუცილებლობით ხელმძღვანელობის დროს კი არ სპობს თავისუფლებას, არამედ პირიქით, უზრუნველყოფს თავის ბატონობას ბუნების ძალებზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ძალებზე, თავის თავზე.

პიროვნებამ მთელი საზოგადოების ინტერესების თვალსაზრისით სწორად უნდა შეაფასოს და შეარჩიოს თავისი მოქმედება. უფრო მეტიც, პიროვნებამ შეიძლება იარსებოს და იმოქმედოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის ითვი-

⁵ См. С. Н. Братусь, Спорные вопросы теории юридической ответственности, «Советское государство и право», 1973, № 4, стр. 30.

⁶ იხ. თ. ვ. წერეთელი, აუცილებლობისა და თავისუფლების დიალექტიკა და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება, „მნათობი“, 1955, № 10, გვ. 177.

⁷ См. Современный экзистенциализм, критические очерки, М., 1966, стр. 18—19.

⁸ См. А. Ф. Плохотный, Свобода и ответственность, Изд-во харьковского ун-та, Харьков, 1972, стр. 18—19.

⁹ См. А. П. Черменина, Проблема ответственности в современной буржуазной этике, «Вопросы философии», 1965, № 2, стр. 79.



სებს და თავის საქმიანობაში იყენებს ურთიერთობათა იმ ფორმას, რომელაც ამ კონკრეტულ საზოგადოებას ახასიათებს.

თავისუფლების მეორე მხარეა პასუხისმგებლობა; პასუხისმგებლობა გამოხატავს იმას, თუ როგორ შეესაბამება ადამიანის ქცევა ობიექტური ქვეშაობის მოთხოვნებს. ნებისყოფის თავისუფლებას აზრი აქვს პასუხისმგებლობასთან კავშირში, ისევე როგორც პასუხისმგებლობას — თავისუფლებასთან კავშირში. რაც უფრო უკეთ აქვს შეგნებული პიროვნება ბუნებისა და საზოგადოების კანონები, სოციალურ-ეკონომიკური პირობები, მით უფრო სრულად ითვისებს მათ თავის პრაქტიკულ საქმიანობაში, მით უფრო შეგნებულად და პასუხისმგებლობით იქცევა.

ადამიანის საქმიანობა სტრუქტურულად განიხილება როგორც სუბიექტური წანამძღვრებისა და ელემენტების (მოთხოვნილებები, ინტერესები, მოტივი, ღირებულებები, მიზნები, ნებისყოფა, გრძობა, გონება), საქმიანობისა და საშუალებების, შესაძლო შედეგების და ა. შ. ერთობა.

ამ სტრუქტურის თითოეულ ელემენტს გააჩნია თავისუფლების, აუცილებლობისა და პასუხისმგებლობის თანაფართობის თავისებურებები.

ამავე დროს, ფასეულობითი ორიენტაციები, მოტივაციური სტრუქტურა ინფორმირებულობა, წარმოადგენს რა პასუხისმგებლობის ცნობილ საფუძვლებს, თვითონ იცვლებიან ამ პასუხისმგებლობის ზრდის ზეგავლენით. ე. ი. აქ არსებობენ არა მარტო პირდაპირი, არამედ უკუ კავშირები¹⁰.

იმის გამო, რომ პირს აქვს შეგნებული, მიზანდასახული ზემოქმედების უნარი, შესაძლებელი ხდება სასჯელის მუქარის მოტივაციური ზეგავლენა¹¹, ზემოქმედება პასუხისმგებლობით.

პასუხისმგებლობა ზეგავლენას ახდენს პიროვნებაზე საქმიანობის სხვადასხვა სტადიაზე.

ჯერ პასუხისმგებლობა ზეგავლენას ახდენს არჩევის შემეცნებით მხარეზე, იმიტომ, რომ ნამდვილი თავისუფლება და საზოგადოებრივად ღირებული შესაძლებლობები გულისხმობენ სინამდვილის სწორ შემეცნებას.

შემდეგ პასუხისმგებლობა გავლენას ახდენს პიროვნებაზე ამა თუ იმ ფასეულობათა და შესაძლებლობათა არჩევის დროს.


პასუხისმგებლობა გავლენას ახდენს პიროვნებაზე მაშინაც, როცა ხდება უკვე დასაბუთებულად არჩეული შესაძლებლობების კორექტირება საზოგადოებრივად (სამართლებრივად) ყველაზე უფრო ოპტიმალური საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით.

და, ბოლოს, პასუხისმგებლობა ზეგავლენას ახდენს პიროვნებაზე მისი მოქმედების ან უმოქმედობის გარკვეული შედეგებით.

აქედან ჩანს, რომ მოვალეობის შესრულება მნიშვნელოვანი ზომით ხორციელდება პასუხისმგებლობის საშუალებით. პასუხისმგებლობა, ეყრდნობა რა თავისუფლების მეცნიერულ გაგებას, წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს და სტიმულს პიროვნების სურვილების, მისწრაფებებისა და მოქმედე-

¹⁰ См. Б. П. Шубников, В. М. Злотников, Л. В. Злотникова, Свобода выбора и ответственность при социализме (Вестник Ярославского ун-та), 1974, выпуск 6, 73—91.

¹¹ იხ. გ. ტ. ტყეშელაძე, ლენინური მოძღვრება აუცილებლობისა და თავისუფლების შესახებ და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება (კრებულში — მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური და სამართლებრივი თეორიის საკითხები), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1970, გვ. 182.



ბების წარმართვისათვის იმ მიმართულებით, რომელიც ყველაზე უფრო მისაღებია საზოგადოებისათვის.

პასუხისმგებლობა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს, ე. ი. გამოხატოს თავისუფლებისა და აუცილებლობის, შეგნებისა და ობიექტური შესაძლებლობის, გაგებისა და მოვალეობის სხვადასხვა ხარისხი¹². იგი შეიძლება იყოს მორალური, პოლიტიკური, იურიდიული და ა. შ.

იურიდიული პასუხისმგებლობა, ეს არის პასუხისმგებლობა, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამისი ორგანოების მიერ დადგენილი ან სანქციონირებული იურიდიული კანონების და სხვა ნორმატიული აქტების დაცვასთან.

როგორც პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახეს, იურიდიულ პასუხისმგებლობას გააჩნია ყველა ის ნიშანი, რომელიც ახასიათებს პასუხისმგებლობას საერთოდ. ამიტომ, ზემოთ თქმულის საფუძველზე იურიდიული პასუხისმგებლობა ჯერ უნდა განვიხილოთ როგორც პიროვნებაზე შემოქმედება სამართლის ნორმის მოთხოვნათა შესრულების მიზნით. ამ შემოქმედებას იძულების ხასიათი აქვს. შემოქმედების იძულებითი ხასიათი განპირობებულია თვით სამართლებრივი ნორმის ბუნებით. სამართლის ნორმა, როგორც ცნობილია, ქცევის სხვა ნორმებისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ ის კი არ მოუწოდებს, რეკომენდაციას კი არ უწევს, კი არ სთავაზობს, არამედ მოითხოვს პირისაგან გარკვეულ ქცევას. სწორედ ამ მოთხოვნის საშუალებით ხორციელდება იძულება. ამ იძულების მიზანი კონკრეტული პირის გარკვეული მოვალეობის შესრულებაა.

ამრიგად, პასუხისმგებლობის მარქსისტული გაგებიდან გამომდინარეობს, რომ იურიდიული პასუხისმგებლობა უპირველეს ყოვლისა არის პირის იძულება გარკვეული მოვალეობის შესრულების სტიმულირების მიზნით.

ამ გარემოებას, სხვადასხვა ზომით, ავტორთა ერთმა ნაწილმა უკვე მიაქცია ყურადღება. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ მ. მ. აგარკოვი, რომელიც ჯერ კიდევ 40-იან წლებში ნიუთითებდა, რომ „მოვალეობა და პასუხისმგებლობა ვალდებულების სხვადასხვა და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ელემენტები კი არ არის, არამედ ერთი და იმავე უთრეერთობის მხოლოდ ორი ასპექტია“¹³. მეორე ცივილისტი ვ. ა. რახმილოვიჩი მიუთითებს, რომ პასუხისმგებლობის ცნებაში შედის შემოქმედების ზომები, რომლებიც აიძულებენ მოვალეს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებები¹⁴. მ. გ. მასევიჩს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობად გაგებული აქვს სახელმწიფო იძულება ნებისმიერი ზომით; იგი პასუხისმგებლობად თვლის ვალდებულებით გათვალისწინებული მოქმედების იძულებით შესრულებას, ხოლო თუ ვალდებულება არაჯეროვნად არის შესრულებული, არაჯეროვნად შესრულებულის ჯეროვნად შესრულებულით შეცვლასაც¹⁵.

ზოგიერთი ავტორის პოზიცია არ არის მკაფიოდ გამოხატული, მაგრამ

¹² См. Б. С. Волков. Детерминистическая природа преступного поведения, Изд-во Казанского ун-та, 1975, стр. 62—63.

¹³ См. М. М. Агарков. Обязательства по советскому гражданскому праву, М., 1940, стр. 44.

¹⁴ См. В. А. Рахмилович. Основные вопросы договорной ответственности по советскому гражданскому праву (автореферат канд. диссертации) М., 1955, стр. 2.

¹⁵ См. М. Г. Масевич. Договор поставки и его роль в укреплении хозяйственного расчета, Алма-Ата, 1964, стр. 267-269.

ისინიც საბოლოო ანგარიშით თვლიან, რომ ადგილი აქვს პირის იძულებას გარკვეული მოვალეობის შესრულების მიზნით.¹⁶

აღსანიშნავია, რომ ისეთი ავტორებიც კი, რომლებიც აიგივებენ პასუხისმგებლობასა და სანქციას გვერდს ვერ უვლიან იმ გარემოებას, რომ პასუხისმგებლობა ამავე დროს არის იძულებაც სამართლის ნორმების დაცვის მიზნით¹⁷.

ის, რომ იურიდიული პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, არის პირის იძულება გარკვეული მოვალეობის შესრულების სტიმულირების მიზნით, კარგად აქვს გარკვეული ს. ნ. ბრატუსს. ამაზე დაყრდნობით იგი მოითხოვს, რომ პასუხისმგებლობის ეს ნიშანი, როგორც ყველა სახის იურიდიული პასუხისმგებლობისათვის საერთო შეტანილ იქნას იურიდიული პასუხისმგებლობის ცნებაში¹⁸.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვიზიარებთ ს. ნ. ბრატუსის ამ მოსაზრებას. იურიდიული პასუხისმგებლობის რომელი სახეც არ უნდა იყოს — სისხლის სამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი თუ სამოქალაქო-სამართლებრივი, ყველა შემთხვევაში პირი მოვალეა დაიცვას და შეასრულოს ის, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის ნორმით, ადმინისტრაციული აქტით, სამოქალაქო სამართლის ნორმით და ა. შ. ამდენად, იურიდიული პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა უნდა განისაზღვროს, როგორც პირის იძულება, შეასრულოს ის, რაც გათვალისწინებულია სამართლის ნორმით.

იურიდიული პასუხისმგებლობა, გარდა იმისა, რომ არის პირის იძულება შეასრულოს ის, რაც გათვალისწინებულია სამართლის ნორმით, ყოველთვის გულისხმობს გარკვეული უარყოფითი შედეგების დადგომის შესაძლებლობას ამავე პირისათვის.

ეს უარყოფითი შედეგები განსხვავებულია. ასეთი შეიძლება იყოს სისხლის-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სასჯელი, დიპლომინარტული, ქონებრივი ხასიათის ზემოქმედება და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ არის არსებითი განსხვავება იმ შედეგებს შორის, რომლებიც დგება ვთქვათ სისხლის-სამართლებრივი აკრძალვის დარღვევის დროს, ერთის მხრივ და ვალდებულების შეუსრულებლობის დროს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში, მეორეს მხრივ, ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს გარკვეულ უარყოფით შედეგებთან. ეს უარყოფითი შედეგები გათვალისწინებულია თვით სამართლის ნორმით ან სადაც ეს დაშვებულია — მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, წინასწარ არის განსაზღვრული რა სახის უარყოფითი შედეგი დგება და რა მოცულობით; თუ მოცულობა არ არის ზუსტად განსაზღვრული — მათითებულია მისი მინიმუმისა და მაქსიმუმის ფარგლები.

რა შემთხვევებში აბის გათვალისწინებული ამ უარყოფითი შედეგის დადგომა? — მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა პირი არ შეასრულებს ან არააქვარვნად შეასრულებს სამართლის ნორმის მოთხოვნას.

¹⁶ См. В. Г. Смирнов, Уголовная ответственность и уголовное наказание, «Правоведение», 1963, № 4, стр. 79; С. С. Алексеев, Социальная ценность права в советском обществе, ю/л, М., 1971, стр. 111.

¹⁷ См. напр. О. С. Иоффе, Ответственность по советскому гражданскому праву, Изд-во ЛУ, 1955, стр. 17; О. С. Иоффе, М. Д. Шаргородский, Вопросы теории права, Изд-во ю/л, М., 1961, стр. 314.

¹⁸ ს. ნ. ბრატუსი, მითითებული ნაშრომი, გვ. 30; Юридическая ответственность и законность (очерк теории) ю/л, М., 1976, стр. 85.



ეს საკითხი იურიდიულ ლიტერატურაში დამუშავებულია და სპეციალისტები არ დაობენ იმის თაობაზე, რომ ხსენებული შედეგები ყოველთვის უარყოფითია, არასასურველია დამრღვევისათვის. უფრო მეტიც, როგორც სამართლიანად აღინიშნა, საბჭოთა სამართლებრივ ლიტერატურაში იურიდიული პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს ძირითადად ხაზი ესმევა პასუხისმგებლობის მხოლოდ ნეგატიურ ასპექტს, მის რეტროსპექტიულ ხასიათს¹⁹.

ყოველივე ზემოთ თქმული, საფუძველს იძლევა იურიდიული პასუხისმგებლობა ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: იურიდიული პასუხისმგებლობა არის პირის იძულება შეასრულოს სამართლის ნორმით დადგენილი მოვალეობა; მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში — წინასწარ განსაზღვრული უარყოფითი შედეგებით დამრღვევისათვის.

უწყების მიზნად აღიარების ჩათვლისათვის


ბ. ლომოჯავაძე

„საბჭოთა სამართლის“ 1976 წლის მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა მ. ლეკვეიშვილის საინტერესო წერილი „მკვლელობა, ჩადენილი ძლიერი ადვოკატების საფუძველზე“. საკითხი ავტორის მიერ მრავალმხრივ არის განხილული და მოცემული დასკვნები ჩვენი აზრით, ძირითადად სწორია. მიგვაჩნია, რომ წერილის მხოლოდ ერთ ნაწილშია არაზუსტი მსჯელობა და გამოტანილია არასწორი დასკვნა.

სწორია მ. ლეკვეიშვილი, როცა წერს — „სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ ზედმეტად აფართოებენ იმ შინაარსს, რომელიც შეურაცხყოფაშია ჩაქსოვილი და მძიმე შეურაცხყოფად თვლიან ისეთ მოქმედებასაც, როდესაც ფაქტიურად ადგილი არა აქვს პიროვნების ღირსების განზრახ დაზიანებას. სრულიად გაუმართლებელია ისეთი პრაქტიკა, როდესაც დაზარალებულის ქმედობა არ არის კანონსაწინააღმდეგო, მაგრამ ამისდა მიუხედავად, მას შეურაცხყოფად მიიჩნევენ“¹. ეს მსჯელობა სწორია, მაგრამ ავტორისეული მაგალითი მისი დასაბუთებისათვის არ გამოდგება. მ. ლეკვეიშვილი თვლის, რომ ცოლქმრული ღალატის (ადიულტერის) შემთხვევაში, კერძოდ, როცა დაზარალებულს ფაქტზე წაასწრეს, ადგილი არა აქვს ისეთ შეურაცხყოფას, რომელსაც შეუძლია ნალალატევი პიროვნებაში გამოიწვიოს აფექტი. ავტორს მიაჩნია, რომ მსგავს შემთხვევებში ჩადენილ მკვლელობებს უსწოროდ აკვალიფიცირებენ 106-ე მუხლით, ნაცვლად სსსრ სსკ 105-ე მუხლისა. „ასეთ შემთხვევაში (ე. ი. როცა ქმარი შეუსწრებს ცოლს სხვა მამაკაცთან) არ ხდება დაზარალებულის მიერ დამნაშავეს მძიმე შეურაცხყოფა იმ გაგებით, რაც კანონმდებლის მიერ ამ ცნებაშია ჩაქსოვილი“ — გვარწმუნებს ავტორი.

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, საკითხი, არის თუ არა ქმედობა მძიმე შეურაცხყოფა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გამოკვლევასა და მტკიცებას მოითხოვს. კანონმდებელი არ ჩამოთვლის, თუ რას გულისხმობს მძიმე შეურაცხყოფად, ყველა მძიმე შეურაცხყოფას და მათ შორის ადიულტერს აქცევს 106 მუხლის დისპოზიციაში. კანონმდებელს არ შეეძლო და არც შეუძლია ყველა სახის მძიმე შეურაცხყოფის ჩამოთვლა. არის თუ არა ადიულტერი ნალალატევი პიროვნებისათვის მძიმე შეურაცხყოფა? — როგორც წესი, ობიექტურად არის. დაზარალებული ბრალდებულის ღირსების მიმართ შეიძლება მოქმედებდეს ევენტუალური ან პირდაპირი განზრახვით. ორივე შემთხვევაში ადიულტერს შეუძლია გამოიწვიოს აფექტი, რასაც თავის ნებრით შეიძლება მოჰყვეს მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია 106-ე მუხლით. შევეცდებით ამის დასაბუთებას.

კანონმდებელს შეურაცხყოფის ცნება არ შეიძლება სხვანაირად ესმოდეს



ვიდრე მისი - ლექსიკურ-სემანტიკური მნიშვნელობაა. შეურაცხყოფა მას და-ახლოებით ისე ესმის, როგორც ისტორიულად ესმოდათ და დღესაც ესმის შერაცხად ადამიანს. სიტყვა „შეურაცხყოფა“ - ს ვხვდებით საბას ლექსიკონში — „შეურაცხება“ - ს ფორმით და განიმარტება: მიუჩნევლობა, თუ ანგარიში არ ჩააგდოს.² ხოლო ჩვენი დროის ლექსიკონში განიმარტება შეურაცხყოფა — უპატიოდ, უხეშად, არასაკადრისად მოქცევა, მოპყრობა, დამდაბლება, დამცი-რება³. ხოლო სემანტიკურად „შეურაცხყოფა“ ნიშნავს შეურაცხად მდგო-მარეობაში ჩაგდებას ან შეურაცხადად მიჩნევას. შეურაცხპყო ე. ი. შეურაც-ხად აქცია.

ადიულტერს ყველა დროში თვლიდნენ სწორედ მძიმე შეურაცხყოფად. ძველი საბერძნეთის ცნობილი ლოგოგრაფოსის ლისიას მიერ დაწერილ სიტყ-ვაში „ერატოსთენეს მკვლელობის გამო“ ნათქვამია... ერატოსთენემ შეურაცხ-ყოფა მიაყენა არა ღარტო მას (ეფეიალტეს, რომელმაც მოჰკლა ის თავის სახლში) ოჯახში შეჭრით და ქალის გადაბირებით, არამედ შეარცხვინა მისი შვილები და სხვა⁴.

საქართველოში ქმრის მიერ ცოლის მკვლელობა მძინე დანაშაულად ითვლებოდა, მაგრამ არსებობდა ერთი გამონაკლისი, კერძოდ, როცა ქალს მრუშობაზე წაასწრებდნენ. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 42-ე მუხლი გვამცნობს „თუ კაცმან თავისი ცოლი ბოზობაზე დაახელოს და მოკლას, არა ძმისაგან. არა ნათესავისაგან სისხლი არ ეთხოვების“. იმავე მუხლით ყმას უფლება ეძლევა მოკლას თავისი ბატონი თუ იგი ცოლთან მწოლარეს მიუხ-წრებს მას.⁵ ფეოდალური სამართალი ყმას ასეთ დიდ უფლებას არ მის-ცემდა ბატონის მიმართ, ცოლქმრული დალატი პიროვნების სულიერი წო-ნასწორობის, ოჯახის საფუძვლის შემარყვევლ — გამანადგურებელ მოქ-მედებად რომ არ მიეჩნია.

გადმოვინაცვლოთ ჩვენს დროსთან უფრო ახლოს. ლ. ტოლსტოის უთ-ქვამს, როცა მას „კრეიცეოის სონატაზე“ ესაუბრებოდა მ. გორკი: „ადამიანი უძლებს მიწისძვრებს, ებიდემიებს, ავადმყოფობათა საშინელებებს და სუ-ლის ყოველგვარ ტანჯვებს, მაგრამ ყველა დროში მისთვის ყველაზე მაწამე-ბელი ტრადედია იყო, არის და იქნება საქინებლის ტრადედია“.

ჩვენ არ შევჩერდებით მსოფლიო ლიტერატურის მრავალ შედეგზე, სადაც სხვადასხვა ფორმით მოცემულია ადიულტერით გამოწვეულ ტრადედიათა მიზეზი და დაგნობილია იგი ავტორისეული ტენდენციებით. გავისხენებთ მხო-ლოდ ა. პრევოს რომან „მანონ ლესკოს“ გმირს შევალიე დე გრიეს, რომე-ლიც ეგუება ქალის მრავალჯნის დალატს, ფ. ენგელსი ამ ე. წ. მამაკაცს, შევალიე დე გრიეს მწარედ დასცინას და მიუთითებს, რომ იგი მისმა ხასიათ-მა აქცია შულერად და სუტენიორად⁷.

მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა. ამგვარად, სადავო არ არის ის, რომ ისტორიულად ადიულტერი მიჩნეული იყო მძიმე შეურაცხყოფად და

² სულხან საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“, 1949 წ., გვ. 414.

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, 1962 წ. სვეტი 1216.

⁴ იხ. პ. ქავთარაძის თარგმანები ბერძენი და რომაელი ავტორებისა, 1962 წ., გვ. 112.

⁵ გ. ნაღარევილი, „ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან“, თბილისი, 1965 წ.,

⁶ М. Горький, «Портреты», из серии ЖЗЛ, М., 1963 г., стр. 131.

⁷ Н. Маркс и Ф. Энгельс о литературе, М., 1958 г., стр. 147.

ორაფერია გასაკვირი თუ ღღევანდელი სასამართლო პრაქტიკაც იმავე გზას ადგას.

მ. ლეკვეიშვილი იმოწმებს ს. ბოროდინის ნაშრომს და გვიქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ს. ბოროდინიც იმავე აზრისა იყო, რასაც თვითონ გვიმტკიცებს. მას მოჰყავს ს. ბოროდინის სწორი აზრი „საზოგადოება არ არის დაინტერესებული იმ პირთა ხვედრის შემსუბუქებით, რომლებიც თავს უფლებას აძლევენ ჩაიდინონ დანაშაული მცირემნიშვნელოვანი შეურაცხყოფის პასუხად. მით უმეტეს ისეთი საშიში დანაშაული როგორც ზველელობა“⁶. მაგრამ ს. ბოროდინს ეს აზრი მოჰყავს ჩვეულებრივი სიტყვიერი შეურაცხყოფის საილუსტრაციოდ (როცა ერთმა პიროვნებამ მეორეს უწოდა „ღორი“ და ამის გამო შეურაცხყოფილმა მოჰკლა იგი) და არა ცოლქმრული დალატის შემთხვევისათვის. ს. ბოროდინს კი ცოლქმრული დალატი ისევე მიაჩნია მძიმე შეურაცხყოფად ნადალატევი წხარისთვის, როგორც ამას თვლის სასამართლო პრაქტიკა. იმავე ნაშრომში, რომელსაც მ. ლეკვეიშვილი იმოწმებს, ს. ბოროდინი წერს: „იურადიულ ლიტერატურაში სადავოდ ითვლება საკითხი იმის შესახებ, ჩათვლილ იქნეს თუ არა მძიმე შეურაცხყოფად ცოლქმრული ერთგულების დარღვევა ერთ-ერთი მეუღლის თანდასწრებით. ამ საკითხზე, ჩვენი აზრით, პასუხის გაცემა ყველა შემთხვევისათვის შეუძლებელია. მკვლელობის საქმეებში გვხვდება სხვადასხვა გარემოებები, რომლებიც მხედველობაში მიიღება სასამართლოების მიერ... რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა მძიმე შეურაცხყოფად ჩათვალა ქალის მოქმედება; რამაც მეუღლე სულიერად ძლიერ აღელვა და მოკლა ის თავის ოთახში, სადაც შეუსწრო უცნობ კაცთან. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ აფექტის მდგომარეობა მსჯავრდებულს შეუქმნა დაზარალებულის მიერ ცოლქმრული გრძნობის მძიმედ შეურაცხყოფამ“⁷. სხვა საქმეზე ლ-ი მსჯავრდებულ იქნა ცოლის მკვლელობისათვის და მძიმე შეურაცხყოფად არ იქნა ჩათვლილი დაზარალებულის შესწრება, მის ამხანაგ მამაკაც ს-სთან, ვინაიდან მსჯავრდებულის ქნარი ორი კვირის გასული იყო ოჯახიდან და ცდილობდა შეექმნა ახალი ოჯახი. ცოლის ოთახში მოხვდა შემთხვევით, ცოლქმრული ურთიერთობის აღდგენის განუზრახავად⁸.

როგორც ჩანს ს. ბოროდინი ეთანხმება ზემო მოყვანილ გადაწყვეტილებებს. არსებითად ასეთივე აზრისაა პროფესორი ბ. ხარაზიშვილიც. ის წერს: „სასამართლო პრაქტიკა მრავალ მაგალითს გვაძლევს იმისას, როცა ძლიერი სულიერი აღელვების გამოწვევად თვლის ერთ-ერთი მეუღლის დალატს მეორის თანდასწრებით...“ და მას სადავოდ არ მიაჩნია, რომ მოლატე წხარის მოქმედება მძიმე შეურაცხყოფას წარმოადგენს ნადალატევი პირისათვის⁹.

რაც შეეხება დაზარალებულის დამოკიდებულებას ნადალატევი პირის ღირსების მიმართ, საკითხი ნამდვილად სადავოა. მ. ლეკვეიშვილს ვეთანხმებით იმაში, რომ მრავალ შემთხვევაში დაზარალებული პირდაპირი განზრახვით არ მოქმედებს. ადიულტერი, როგორც წესი, გულისხმობს ვენეტუალურ განზრახვას, როცა დადგენილი არ არის, რომ დაზარალებული მოქმედებდა პირ-

⁶ См С. Бородин, «Квалификация убийства по действующему законодательству», М., 1966 г., стр. 132—133.

⁹ См. В. Харaziшвили, «Вопросы мотива поведения преступника в советском праве», Тб., 1963 г., стр. 83.

დამირი განზრახვით, ღირსების დამცირების მიზნით. ევენტუალურ განზრახვასთან ყოველთვის გვექნება საქმე, ვინაიდან ღალატის ფაქტი ადრე თუ გვიან ნაღალატევი პირისათვის ცნობილი ხდება. მოღალატე მხარე უშვებს იმ გარემოებას, რომ ადრე თუ გვიან მის გაუგებს მეწყვილე, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობს, რომ პატიებას მიიღებს, ან, უარეს შემთხვევაში, საქმე განქორწინებამდე მივა. ღალატის ფაქტი, მიუხედავად დაზარალებულის მიზნისა, თავისთავად არის შეურაცხყოფელი და მკვლელობის ჩამდენს აფექტში ჩავარდნის გამო ხომ არ რჩება იმის გააზრების დრო, თუ რა მიზნით უღალატებს მას.

რაც შეეხება ადიულტერის კანონსაწინააღმდეგობას, გარდა იმისა, რომ ის, როგორც წესი, არის მძიმე შეურაცხყოფა, ყოველთვის მოიცავს აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევის შემადგენლობას, ვინაიდან ადიულტერის ფაქტი შეურაცხყოფს არა მარტო მეუღლეს, არამედ ახლო ნათესავებსა და მეზობლებსაც. სხვა საკითხია, რომ მას ასეთად არ თვლის საგამომიებო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკა. განა საზოგადოებრივი წესრიგის ცნება არ მოიცავს საოჯახო სამართლის კანონებით დამტკიცებული და მორალით აღიარებული ცოლქმრული ერთგულების, ოჯახური სიწმინდის დაცვასაც? განა სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების უხეში დარღვევა არ არის, ერთ-ერთმა მეუღლემ უცნობი პიროვნება ოჯახში მიიყვანოს და მასთან კოიტუსის მდგომარეობაში დახვდეს მეუღლეს? — უდავოდ არის. ჩვენი საოჯახო კანონმდებლობა არავის ბოჭავს სამუდამო ქორწინებით, არავის აიძულებს შეასრულოს „მუდმივი ქმრის“ ან „მუდმივი ცოლის“ სვეგამწარებული როლი. ვისაც საფუძველი აქვს და არ შეუძლია მეუღლესთან ცხოვრება, მას უფლება აქვს აირჩიოს კანონით დაშვებული განქორწინების გზა, რის მიღწევის შემდეგ შეუძლია მოიქცეს სურვილისამებრ.

და ბოლოს, როცა დგას საკითხი ადიულტერის აფექტის მოტივად ჩათვლაზე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვადასხვა ფაქტიური გარემოებები, რომ ჩვეულებრივი მკვლელობა არ იქნეს ჩათვლილი აფექტში ჩადენილად. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, განსაკუთრებული ნნიშვნელობა აქვს მეუღლეთა ღალატამდელ ურთიერთობას — მიაჩნდათ თუ არა ერთმანეთი მორალურად უმწიკლოდ, თუ ერთმანეთი ან ერთ-ერთი მეორეს უფლებას აძლევდა თავისუფალი ქცევისას, გარკვეული პირობით, გარკვეულ ადგილას და ა. შ. იცოდა თუ არა ნაღალატევი, რომ მას ადრეც ღალატობდა დაზარალებული, ჰქონდა თუ არა ეჭვი, სად და რა გარემოებაში ღალატობდა დაზარალებული? ფაქტიურ გარემოებათა გათვალისწინებისას, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოვყოთ სხვადასხვა ხარისხით შეურაცხყოფელი ადიულტერის სამი ჯგუფი: პირველი — ნაღალატევი პირს ეგონა, რომ არ ღალატობდნენ, ჰქონდა სანიმუშო ოჯახი და თავადაც იყო სპეტაკი მორალური თვისებებისა. ასეთი პირი შემთხვევით წაასწრებს ნეუღლეს უცხო პირთან და კლავს მას. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნება აფექტის დროს ჩადენილ მკვლელობასთან და „ზოგიერთ ძველ მტკიცედ ფეხმოკიდებულ მავნე ტრადიციებზე“ მითითება არაფრის მთქმელია; ვინაიდან ამ ტრადიციას, ცოლქმრული ერთგულების დაცვას, ქმნიდა ხალხი, მათი საუკეთესო შვილები და სანამ აფექტში ჩადენილ მკვლელობას ჩვეულებრივ მკვლელობად ჩავთვლიდეთ, მანამ საჭიროა კაცობრიობამ შეწყვიტოს წარსულისგან სწავ-


ლა და აღიარებულ იქნას თავისუფალი სქესობრივი კავშირი. მაშინ ნამდვილად არ იარსებებს ადიულტერისა და მის შედეგად ჩადენილი მკვლელობის ცნებები.

მეორე — ნაღალატევეს ეჭვი ჰქონდა, მაგრამ არ იყო დარწმუნებული, დარჩეული ხმები მხოლოდ ავი ჭორები ეგონა და იმის გამო, რომ შეუღლისა სჯეროდა, არ გამოსდევნებია სისწორის დადგენას. მაგრამ ნოულოდნელად წააწყდა მეუღლის უცნობ პირთან კავშირს და აფექტის დროს ჩაიდინა მკვლელობა. როგორც წესი, ასეთი მკვლელობაც აფექტში ჩადენილად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ პირველ ჯგუფთან შედარებით ამ მკვლელობის ჩამდენი პირები უფრო მკაცრად უნდა დაისაჯონ, ვინაიდან ვალდებული იყვნენ შეემოწმებინათ ეჭვის საფუძველი მეუღლის მიმართ ტაქტის დაცვით. და თუ სიმართლეს დაადგენდნენ, ნკვლელობა არ უნდა ჩაედინათ.

მესამე — ნაღალატევემა იცოდა, რომ სისტემატურად ღალატობდა დაზარალებულს, მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო, ცდილობდა მასზე ზეგავლენა მოეხდინა და ჩაეყენებინა იგი ნორმალურ კალაპოტში. დაზარალებულმა განაგრძო არჩეული გზა, არ უგდო რა ყური ბრალდებულის შეგონებებს ბრალდებულმა განქორწინების ნაცვლად აირჩია მკვლელობის გზა. ასეთ პირობებში ჩადენილი მკვლელობა, რა თქმა უნდა აფექტში ჩადენილად არ ჩაითვლება, თუმცა მასზე გავრცელდება საქართველოს სსრ სსკ 38-ე მუხლი. ვინაიდან საზოგადოება სრულფასოვნად არ მიიჩნევს დანცირებულ აშკარა მრუშის მეუღლეს, მის სასოწარკვეთილებასა და სულიერ ტანჯვაზე რომ აღაზარაფერი ვთქვათ.

ამგვარად, ადიულტერი ნაღალატევი მხარისათვის მძიმე შეურაცხყოფად ითვლება და გარემოებისდა მიხედვით მის შედეგად აფექტის დროს ჩადენილი მკვლელობა 106-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს, ოღონდ უნდა შეიცვალოს 106-ე მუხლის დისპოზიცია, აუცილებელია მასში აისახოს ადიულტერის შედეგად აფექტში ჩადენილი ნკვლელობაც.

ცხადია, სანამ არ შეცვლილა საზოგადოების ზნეობრივი სახე, აფექტის დროს ჩადენილი მკვლელობით ასეთად მიუჩნევლობა და სასჯელის სიმკაცრე ოდნავადაც არ შეამცირებს დასახელებულ დანაშაულობათა რიცხვს.



ქრთამი — მოსყიდვა და ქრთამი — გასამარჯლო

ბ. კვიციანი

სკვპ XXV ყრილობამ მთელ ჩვენს საზოგადოებას დაუსახა ამოცანა, რომ შექმნას ზნეობრივი სიწმინდის ისეთი ატმოსფერო, რომელიც სავსებით შეეფერება სოციალიზმის ღიად მონაპოვრებს.

„რაც უფრო მეტად ვითარდება ჩვენი საზოგადოება, — ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი სკვპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, — მით უფრო შეუწყნარებელი ხდება სოციალისტური ზნეობის ნორმებიდან გადახვევა“¹...

ისეთი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც მექრთამეობა, აუცილებელია არა მარტო შეუირიგებლობის ატმოსფეროს შექმნა ამ უარყოფითი მოვლენის ირგვლივ და სამართალდამცემი ორგანოების პრაქტიკული საქმიანობის გაძლიერება, არამედ საჭიროა აგრეთვე სრულყოფა კანონმდებლობისა, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის.

მექრთამეობის შემადგენლობის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს ამ დანაშაულის ობიექტური მხარის სირთულეს, რამაც გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა მისი ცალკეული ნიშნების შეფასების საკითხში. განსაკუთრებით შეიმჩნევა აზრთა სხვაობა იმ ნიშნების განმარტებისას, რომლებიც ქრთამის ამღების მოქმედებას ახასიათებენ. ხადავია აგრეთვე მიზეზობრივი კავშირის საკითხი ქრთამსა და მისი აღრესატის მოქმედებას შორის. ამ პრობლემატიკაში უნდა გამოვეყო ქრთამის განპირობებულობისა და მისი ქრთამი-მოსყიდვად და ქრთამი — გასამარჯლოდ კლასიფიკაციის საკითხი ამ საკითხის სწორად გადაწყვეტაზე დამოკიდებული მექრთამეობისათვის დაწესებუ-

ლი პასუხისმგებლობის მოცულობა და შესაძლებელი ხდება უფრო მიზანსწრაფული დიფერენციაცია სისხლისსამართლებრივი რეპრესიის იმ ქმედობათა საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით, „ქრთამის მიღების“ ზოგადი ცნებით რომ არის მოცული.


კანონის ფორმულირება (საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხ.) — ქრთამის აღება „ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის ამა თუ იმ ქმედობის შესრულებისა ან შეუსრულებლობისათვის“ სისხლის სამართლის თეორიაში სხვადასხვაგვარად არის გაგებული.

ზოგიერთი კრიმინალისტი ამაში გულისხმობს როგორც ქრთამ-მოსყიდვას, ისე ქრთამ-გასამარჯლოს. ერთი სიტყვით, აღნიშნული მუხლი თითქოს მოიცავს ისეთ შემთხვევასაც, როცა გასამარჯლო მიღებული იყო მას შემდეგ, რაც თანამდებობის პირმა უკვე შეასრულა მისი მიმცემი პირისათვის რაიმე სასურველი მოქმედება, რის თაობაზეც მათ შორის არავითარი წინასწარი შეთანხმება არ ყოფილა, ე. ი. გასამარჯლოს მიღება წინასწარ არ იყო შეიარბული². ამ თვალსაზრისის სასამართლო პრაქტიკაც იზიარებს³. ძირითადი საბუთი, რომელიც მოჰყავთ მის სასარგებლოდ, ის არის რომ კანონში თითქოსდა არ გვაქვს თანამდებობის პირის მოქმედების ქრთამით განპირობებულობის საგანგებო მოთხოვნა და, მაშასადამე, ქრთამი — მოსყიდვა და ქრთამი — გასამარჯლო იურიდიულად ერთნაირად უნდა შეფასდეს. მხოლოდ აუცილებელია — როგორც ამას ბ. ჯღრაგომისლოვი აღნიშნავს — ის, რომ ქრთამის მიცემასა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკვპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1976 წ. გვ. 106;

² См. Курс Советского уголовного права, т. VI, с. 62—63; В. В. Степанов, Актуальные вопросы борьбы со взяточничеством (в сб. «Вопросы предупреждения преступности», Томск, 1967, с. 51—52); Г. Волиженкин, Вопросы Ответственности за взяточничество, «Советская юстиция», 1967, № 7, с. 10.

³ «Вопросы уголовного права и процесса в практике Верховных Судов СССР и РСФСР 1938—1969, М., 1971, стр. 213—214;



შორის უშუალო კავშირი არსებობდეს, ე. ი. ქრთამი მიღებული იყოს ღამნაშავის მიერ იმ მოქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც ჩაიდინილა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, იმის მიუხედავად, იყო თუ არა ამის შესახებ წინასწარი შეთანხმება და განაპირობა თუ არა ქრთამმა ქრთამის ამღების მოქმედება⁴.

სრულიად საწინააღმდეგოდ ესმის ეს საკითხი ვ. მენშაგინს, ბ. კრინოვს და სხვა კრიმინალისტებს⁵. მათი აზრით, გასამარჯელოს მიღება თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მოქმედების შესრულების შემდეგ, როცა ამის შესახებ წინასწარი მოლაპარაკება არ ყოფილა, მიუხედავად არ არის დაკავშირებული სხენებულ მოქმედებასთან. ამ გასამარჯელოს აღარ შეუძლია რაიმეგვარად ზემოქმედების მოხდენა თანამდებობის პირზე, რამდენადაც ქრთამის მიმცემის სასარგებლო მოქმედება უკვე შესრულებულია გასამარჯელოს გადაცემამდე. მექრთამეობის საშიშროება კი სწორედ ის არის, რომ ხდება მოსყიდვა თანამდებობის პირისა, რომელიც თავის სამსახურებრივ მოვალეობებს ასრულებს ქრთამის საფუძველზე.

აზრთა ეს სხვადასხვაობა სხენებულ საკითხზე გარკვეული ზომით იმის შედეგად არის რომ ხაქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სსსხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების დისპოზიცია არ არის მთლად ზუსტად ფორმულირებული. ამას ისიც ემატება, რომ სხენებული მუხლების დისპოზიციის ზოგიერთი კრიმინალისტი სწორად არ განმარტავს. მაგრამ თუკი ჩვენ ამ ნორმის შინაარსს უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, ცხადი გახდება, რომ კანონმდებელს მხედველობაში აქვს მხოლოდ ქრთამი — მოსყიდვა.

საქმე ის არის, რომ ქრთამი (ან მისი შეიარება) კანონის თანახმად მიცემული უნდა იყოს იმ მოქმედების შესრულების ან შესრულებლობისათვის, „რომელიც თანამდებობის პირს უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“. მასხადავამ, კანონი ლაპარაკობს მისი მიღების ან


შეპირების შესახებ იმ მოქმედებისათვის, რომელსაც თანამდებობის პირი მომავალში შეასრულებს და რომელიც, ამრიგად, განპირობებულია ქრთამით. მაგრამ სასამართლო პრაქტიკა და ნაწილი თეორეტიკოსებისა საკითხის ასეთ გადაწყვეტას არ ეთანხმებიან, რაც აიხსნება, ჯერ ერთი, მოქმედების ქრთამით განპირობებულობის დამტკიცების სირთულით, პრაქტიკაში რომ ძლიერ ხშირად გვხვდება და კარგად რომ არის შენიღბული ორივე მხარის მიერ, რადგანაც კანონი ქრთამის მიმცემსაც და ქრთამის ამღებსაც საკმაოდ მკაცრად სჯის.

მეორედ ის რომ, — და ეს კილევ უფრო მნიშვნელოვანია — შეუპირებელი გასამარჯელოც გარკვეულ საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია. ასეთი მოქმედების დასჯის სურვილით თეორეტიკოსთა ნაწილი და სასამართლო პრაქტიკა მას უთანხაობებენ ქრთამ-მოსყიდვას, რითაც ნებისთ თუ უნებლიედ აფართოებენ კანონის შინაარსს, რაც არსებითად ანალოგიის პრინციპისკენ შემობრუნებას მოასწავებს. მართლაც, შეუპირებელი გასამარჯელო, საჩუქრის მიღება წარმოადგენს მოქმედებას, რომელიც ძლიერ ახლოს დგას მექრთამეობასთან, თუმცა ამ უკანასკნელთან შედარებით მცირე საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება. ამიტომ იურიდიული შეფასებაც ქრთამი მოსყიდვისა და ქრთამი — გასამარჯელოსი არ უნდა იყოს ერთნაირი.

მაგრამ ჩვენ არ ვიზარებთ იმ მეცნიერთა აზრს, რომლებიც სხენებულ მოქმედლებს მორალურად გასაკაცს ან დისციპლინური წესით დასასჯად მოქმედებათა წრეს მიაკუთვნებენ. საქმე ისაა, რომ თანამდებობის პირებს, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ თავის სამსახურებრივ მოვალეობებს „საჩუქრები“ post factum საბოლოოდ ხრწნიან და მიმავთ ექამდე, რომ ისინი ფაქტურად ყველას ხელში შესცქებიან. რაღა თქმა უნდა ეს მათ საქმიანობა უარყოფით დაღს ასვამს და არც თუ იშვიათად ქრთამის გამოძღვის წინაპირობებსაც ქმნის.

ასე, მაგალითად, ერთ-ერთი საშუალო

⁴ Б. В. Здравомыслов, Должностные преступления, М., 1975, стр. 138.
⁵ См. А. А. Пионтковский, В. Д. Меньшгин, В. М. Чхиквадзе, «Курс Советского уголовного права», Особенная часть, т. 2, М., 1959, стр. 141—146.
⁶ Г. А. Куринов «Применение судами уголовного закона о взяточничестве, «Советское государство и право», 1974, № 5, стр. 137—138.
⁷ См. С. Бакланев, Существенный признак взятки — ее обусловленность, «Соц. законность», 1971, № 6, стр. 66; М. Ковалев, Г. Шелковник «Взятничество — тягчайшее преступление», «Советская юстиция», 1961, № 24, стр. 10.



სკოლის მასწავლებელმა თ.-მ., რომელიც არ კმაყოფილებოდა მცირე საჩუქრებით, მოსთხოვა თავის მოსწავლის დედას ნ.-ს ბროლის ვაჭა სკოლის დამთავრებისას შეიღოს სიმწიფის ატესტატში მაღალი ნიშნის დაწერისათვის.

ხდება ხოლმე, რომ არა მარტო იღებენ, არამედ მოითხოვენ კიდევ. — „იქნებ მაშაშენმა (იგი მფრინავია) შემდეგ რეისზე ჩამოიტანოს ქოლგა“, — განუცხადა მასწავლებელმა თავის მოსწავლეს⁸.

საზოგადოებრივი საშოშრობება ამ ქმედობისა ისეთია, რომ აუცილებელია მის ჩამდენ პირებზე შემოქმედების გარკვეული ზომების, მათ შორის სისხლისსამართლებრივი შემოქმედების გამოყენებაც. ამ საკითხზე კანონის უწყულობას მოხდევს არა მარტო აზრთა სხვადასხვაობა სისხლის სამართლის თეორიაში, არამედ გარკვეული სირთულეც სასამართლოების პრაქტიკაში.

ვ. ე. ლენინის სისხლისსამართლებრივი სახელეო მექანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან, თუმცა არც თუ ძირითად, საშუალებად მიაჩნდა. ჯერ კიდევ რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე, განიხილავდა რა სისხლისსამართლებრივი სახელეის შემოქმედებას საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, იგი აღნიშნავდა, რომ ქუჩას ანტირეესებს არა მარტო ის და არა იმდენად ის, სახელეის რა სახე და ზომა დაენიშნება დამნაშავეს მოცემული ქმედობის ჩადენისათვის, რამდენადაც ის, „რომ ძირფესვიანად გამოაშკარავებულ და საჭაროდ გარკვეულ იქნას დანაშაულის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძაფები და დანაშაულის მნიშვნელობა, რათა ამ გასამართლებიდან შეიძლებოდეს საზოგადოებრივი მორალისა და პრაქტიკული „გაკვეთილის გამოტანა“⁹.

საბოლოოდ როგორც ერთი, ისე მეორე თვალსაზრისის მომხრეები მაინც იმ დასკვნამდე მიდიან, რომ საზოგადოებრივი საშოშრობება ქრთამი — მოსყიდვისა და თანამდებობის პირისათვის წინასწარშეუპირებელი გასამარჯვლოს მიცემა ერთნაირი არ არის. ამიტომ ლიტერატურაში სახეებით დასაბუთებულად გვთავაზობენ წინადადებას, რათა გამოვეყოთ კანონში მეორე შემთხვევა დამოუკიდებელ შემადგენლობად. ერთი სიტყვით, აუცილებელია კანონში ცვლილების შეტანა.

ჩემის აზრით, ქრთამის აღების შემადგენლობაში პირდაპირ უნდა იქნეს გავთვალის-

წინებული ქრთამის განპირობებულობის ნიშანი. ამ მიზნით კანონის დღევანდელ ფორმულირებაში შეტანილი უნდა იქნეს დამატება და ზემოთ მოყვანილი დისპოზიცია ასე უნდა ჩამოყალიბდეს „ქრთამის აღება... რომელიმე ქრთამით განპირობებული (საზგასმა ჩემია) ქმედობის შესრულების ან შეუსრულებლობისათვის...“


გარდა ამისა, საჭიროა შეიქმნას დანაშაულის ახალი შემადგენლობა, რომლითაც გავთვალისწინებულნი იქნება თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ფულის, საჩუქრის ან სხვა მატერიალური გამორჩენის მიღებისათვის რაიმე სამსახურებრივი მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობის შემდეგ, თუკი ამაზე წინასწარ არავითარი შეთანხმება არ ყოფილა; თანაც თუ აღნიშნული მოქმედება ან უმოქმედება სასარგებლო აღმოჩნდა საჩუქრის მიმცემისათვის. სახელეო ამ მოქმედებისათვის მნიშვნელოვნად მცირე უნდა იყოს, ვიდრე ქრთამი — მოსყიდვის მიღებისას. საწესიაში თავისუფლების აღკვეთასთან ერთად შეიძლება ალტერნატიული გათვალისწინებული იქნეს სახელეო გამასწორებელი სამუშაოების სახით, ხოლო ძირითად და დამატებით სახელად — გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, შესაძლებელია აგრეთვე ისეთი სახელეის დაწესებაც, როგორცაა საზოგადოებრივი გაკაცება.

მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ამ უარყოფითი მოვლენის მიმართ გამასწორებელი იქნეს საზოგადოებრიობის ყურადღებაც, კერძოდ, თანამდებობის პირთა მიერ გასამარჯვლოს მიღების წვრილმანი შემთხვევები შეტანილ იქნას იმ ანტისაზოგადოებრივ გადაცდომათა რიცხვში, რომლებიც უნდა განიხილონ ამხანაგურმა სასამართლოებმა (წვრილმანი საყოფაცხოვრებო ქურდობის, სოციალისტური ქმენების წვრილმანი გატაცების მსგავსად და ა. შ.).

განსახილველ საკითხთან მჭიდრო კავშირშია აგრეთვე სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაც, როგორც ცნობილია, მომსახურების სფეროში ფესვადგმულია ე. წ. „ფეხის ქირა“ („ყახახე“) რესტორნის მიმტანის, შვეიცარის, ტაქსის მძღოლისათვის და სხვ. ერთი შეხედვით ეს თიოქოს წვრილმანია, რადგან ამ სფეროს მუშაკები არ არიან თანამდებობის პირები და

⁸ Литературная газета, № 12, 24. 3. 76 г.

⁹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 483.



ამდენად სახელმწიფო აპარატსაც არავითარი საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ „ფუნის ქირის“ მიცემა უთუოდ ამორალური ქცევაა. იქმნება ურთიერთობათა სტერეოტიპი, რომლის დროსაც მუშაეი თავის სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისათვის აუცილებლად უნდა „ღავასაჩუქროთ“. ეს მოვლენა ხელს არ უწყობს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას და ღიასავს მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს.

გარდა ამისა, უკანასკნელი წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ვაჭრობაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში და სხვ. ფართოდ გავრცელებულ წვრილმან „გამოძალდასთან“ ბრძოლა საკმარისად არ წარმოებს, ხოლო რესტორნების და საზოგადოებრივი კვების სხვა დაწესებულებათა, მაღაზიების, ტექსტილური ბარაკების, სამკერვალოების და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატების თანამდებობის პირები ხისტემატურად მიმართავენ გარკვეული თანხის შეგროვებას მიმტანების, მძღოლების, მეგარდეროებების და ამ სფეროს სხვა თანამშრომლებისაგან, იღებენ რა მათ-

გან ფუნის ქირად მიღებული ფულის ნაწილს და ამით უბიძგებენ მათ დაადგენენ გამოძალდვის, კლიენტის გაქურდვის ან სახელმწიფო ქონების გატაცების გზას.

ამრიგად, მექრთამეობა უნდა გავმიჯნოთ მომსახურების სფეროში ანტისაზოგადოებრივი გადაცდომებისაგან ე. წ. „ფუნის ქირისაგან“, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროფილაქტიკურ საშუალებას სხვა დანაშაულთა, კერძოდ, მექრთამეობის ასაცილებლად. ამიტომაც მიზანშეწონილია ჩავრთოთ ამხანაგური სასამართლოები და სხვა საზოგადოებრივი ორგანოები ამ ანტისაზოგადოებრივი გადაცდომების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კანონმდებლობის სრულყოფა, რომელიც მექრთამეობასა და მასთან დაკავშირებულ სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენებთან ბრძოლას აწესრიგებს, მათი სწორი, რეალური საზოგადოებრივი საშიშროების შესაბამისი სამართლებრივი და სოციალურ-პოლიტიკული შეფასება ხელს შეუწყობს მათ წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლას.



უფრო მეტი ყურადღება დავუთმოთ პროკურატურის ორგანიზაციის საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიკისადმი

პროკურატურის ორგანიზაციის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ არის ძირეულ რგოლებში ორგანიზებული საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიკა. მუშაობის ეს უბანი მჭიდროდ უკავშირდება საპროკურორო ზედამხედველობის ყველა სფეროს. იგი ეხმარება პროკურორებსა და გამომძიებლებს საბჭოთა კანონების ზუსტ ცოდნაში, იმაში, რომ სწორად იყენებდნენ ამ კანონებს პრაქტიკაში.

სამწუხაროდ, პროკურატურის ზოგიერთი მუშაკი საკმაოდ არ აფასებს საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიკის მნიშვნელობას. ამის გამო დაბალია ზოგიერთი მუშაკის სამართლებრივი კულტურა, ცალკეული სამსახურებრივი საბუთი უხარისხია, დოკუმენტებში ყოველთვის არ არის დაცული სისუსტე, სათანადო დასაბუთება.

საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიკის სწორი ორგანიზაციის წყალობით პროკურორი თუ გამომძიებელი ყოველდღიურად იღებს ცნობას კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ, ამომწურავ და ზუსტ მონაცემებს მისთვის საინტერესო ნორმატიული აქტის თაობაზე. ამას გარდა სამსახურებრივი საბუთები სამართლებრივი თვალსაზრისით გამართულად და დასაბუთებულად დგება, ხოლო პროკურორთა და გამომძიებელთა ლექციები თუ ინფორმაციები უფრო დამაჭრებელი და შთამბეჭდავი.

რესპუბლიკის პროკურატურის ცენტრალურ აპარატში ეს მუშაობა წლების განმავლობაში შემოფარგლული იყო იურიდიული ლიტერატურის მიღება-გაცემით. სისტემატიკური კარტოთეკა დგებოდა მხოლოდ მიმდინარე კანონმდებლობის ბიულეტენების მონაცემების მიხედვით, არ იყო ზუსტი აღრიცხვა, რამაც გამოიწვია ბევრი ნორმატიული აქტის დაკარგვა. ეს იწვევდა სიძინელებს ამ აქტების დაძებნასა და სათანადო ცნობების მიღებაში.

რამდენიმე წელია ყველა ზომას ვხმარობთ მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის. არსე-


ბული მთელი იურიდიული ლიტერატურა, ნორმატიული თუ საკანონმდებლო აქტები მოყვანილია სრულ წესრიგში. შესაბამისად ქრონოლოგიურად და თემატიკურად არის დალაგებული და ყველას აქვს სათანადო წარწერა, რაც აადვილებს მათს სწრაფად დაძებნას. აიწყო მაგილა-კარტოთეკა, დაიწყო და ხორციელდება საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიკაცია ახალ პერფორატებზე გადასვლით. იწარმოება საკონტროლო ეგზემპლარები.

პროკურორებისა და გამომძიებლებისათვის უფრო ქმედითი დახმარების აღმოჩენის მიზნით მოეწყო ვიტრინა — „ახალი წიგნები“. გვაქვს საუბრანლო სტატიების კარტოთეკა-საგაზეთო სტატიების შესანახად და სიგნალებზე დროული რეაგირებისათვის შემოდებულია საგაზეთო მასალების თემატიკური ხაჭალდეები და სიგნალებზე რეაგირების უზრუნველყოფა. საქალაქო და რაიონული პროკურატურებისათვის წარმოებს საცნობარო-საკონსულტაციო მუშაობა, მათ ეწევთ მეთოდური და პრაქტიკული დახმარება.

მაგრამ გაკეთებულია ჯერ კიდევ ცოტა. აუცილებელია ამ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრა, რაც დიდ დროსა და დამატებულ შრომას მოითხოვს.

რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის პროკურატურის შემოწმება და მათ მუშაკებთან საუბრები გვიჩვენებს, რომ ბევრი ამ საკითხის სათანადოდ ვერ აფასებს, ისინი ფიქრობენ, რომ ამ უბანზე ცუდმა მჩვეწებლებმა არ შეიძლება ზედგავლენა მოახდინოს საერთოდ საპროკურორო საქმიანობაზე. ეს მიცდარი აზრია. საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიკაცია მთელი საპროკურორო მუშაობის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია და სისტემატიკური ყურადღებას მოითხოვს.

შემოწმებული რაიონებიდან არასახარბიელო მდგომარეობა იყო ქ. გორის, აგრეთვე ბოლნისის, ჯავის, მარნეულის რაიონულ პროკურატურებში. მთელი მათი მუშაობა აქ იმაში გამოიხატა, რომ საკავშირო კანონმდებლობის საკარტოთეკო ბარათებს,



რომლებსაც მზა სახით იღებდნენ, ყუთებში აწყობდნენ, ან ამასაც არ აკეთებდნენ. გონივრულად და კარგად იყენებენ მიმდინარე კანონმდებლობას წინაურის რაიონისა და ქ. ცხინვალის პროკურატურები, მაგრამ აქაც არ იწარმოება საკონტროლო ეგზემპლარები. პროკურატურის შემოწმებულ ორგანოებს ჩაუტარდათ სათანადო ინსტრუქტაჟი, განმარტათ, თუ როგორ უნდა იმუშაონ, რათა კანონმდებლობის სისტემატიზაცია პასუხობდეს დღევანდელ მოთხოვნებს.

აუცილებელია, სისტემატური ყურადღება დაეთმოს საკონტროლო ეგზემპლარების წარმოებას. ყოველი შემოსული ნორმატიული თუ საკანონმდებლო აქტი ყურადღებით უნდა იქნას წაკითხული და თუ მასში მითითებულია, რომ რომელიმე აქტი ძალადაკარგულად არის ცნობილი ან შეცვლილი, აღნიშვნები სათანადო წესით მაშინვე გაკეთდეს დასახელებულ აქტში. სწორედ ის ეგზემპლარები, რომლებშიც ასეთი აღნიშვნები კეთდება, არის საკონტროლო. თუ ეს სამუშაო სისტემატურად და თანმიმდევრულად არ სრულდება, პროკურატურის მუშაკი ვერ იქნება კომპეტენტური და შეცდომასაც უფროსშირად დაუშვებს.

სადაო არ არის, რომ პროკურატურის თუ გამომიხედის ლექცია, მოხსენება, საუბარი, ინფორმაცია დამატებელი ვერ იქნება, ხოლო წარდგინება, პროტესტი და სხვა დოკუმენტი დასაბუთებული, თუ მუშაკმა ზუსტად არ იცის რომ კანონი, რომელსაც ის უთითებს, ძალაშია, გაუქმებულია, ან თუ შეცვლილია, სახელდობრ რა ცვლილება მასში შეტანილი.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად არანაკლები მნიშვნელობა აქვს საცნობარო მუშაობას. აუცილებელია პროკურატურაში არსებული საკანონმდებლო თუ ნორმატიული აქტები, იურიდიული ლიტერატურა თემატურად და ქრონოლოგიურად დალაგდეს, ახლდეს სათანადო წარწერები, რათა შესაძლებელი იყოს მათი სწრაფად და ოპერატიულად დაძებნა. შეესებულნი ბარათები უნდა იყოს სრული, ზუსტად ჩაიწყოს სისტემატურ კარტოთეკაში განყოფილებებისა და ქვეგანყოფილებების მიხედვით, სსრ კავშირის გენერალური პროკურატორის 1965 წლის 2 დეკემბრის № 114 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და კლასიფიკაციის შესაბამისად.

ის მუშაკი, ვისაც დავისრებული აქვს საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიზაცია, მუდმივად უნდა აღევნებდეს თვალყურს მიმდინარე კანონმდებლობას და მათში მომხდარი ცვლილებების პირველი ინფორმატორი იყოს.

ქალაქისა და რაიონის პროკურატურებმა საჭიროა კონტროლი გაუწიონ საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიზაციას, შექმნან სათანადო პირობები მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის. რეგულარულად, თვეში ერთხელ მაინც მოაწყონ ინფორმაციები მიმდინარე კანონმდებლობისა და მათში მომხდარი ცვლილებების შესახებ, აგრეთვე სხვა ღონისძიებები პროკურატურის მუშაკთა სამართლებრივი ცოდნის ასამაღლებლად. პროკურატურებმა კონტროლი უნდა გაუწიონ იურიდიული ლიტერატურის, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების დაცვას, ჰქონდეთ მათი ზუსტი აღრიცხვა და გააპირვონ მუშაკი, რომელიც პასუხს აგებს მათს შენახვაზე. მიმდინარე კანონმდებლობის შესახებ ყველა ინფორმაციის ერთ მუშაკთან თავმოყრა საშუალებას იძლევა უფრო ოპერატიულად და მიზანდასახულად გამოვიყენოთ ნორმატიული აქტები სამართლებრივ თემებზე წაკითხულ ლექციებზე, მოხსენებებზე და საუბარებში.

წ. თბლავაძემ,

საქართველოს სსრ პროკურატორის თანაშემწე კანონმდებლობის სისტემატიზაციის ხაზით, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი

რა დროს უნდა დაინიშნოს ავტოკინეზური ექსპერტიზა

სკკპ X XV ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულია სავტომობილო ტრანსპორტის მნიშვნელოვანი განვითარება. 1980 წლისათვის გამოშვებული იქნება 2,1-2,2 მილიონი ავტომობილი, მათ შორის 800-825 ათასი სატვირთო. ამის შესაბამისად ქუჩებსა და გზებზე გაიზარდება ავტომობილების მოძრაობის ინტენსივობა, რასაც თავის მხრივ ახლავს ავტოსაგზაო შემთხვევები. სტატისტიკით დადგენილია, რომ მათი უმრავლესობა გამოწვეულია გზებზე მოძრაობის წესების მოთხოვნათა შეუსრულებლობით.

გამომძიებლის ან სასამართლოს შეხედულებით ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე შესაძლოა დაინიშნოს ავტოტექნიკური ექსპერტიზა, ვინაიდან მძღოლთა ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტა უმეტესად სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. უკანასკნელ წლებში სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლებამ საგრძნობლად გაზარდა როლი სასამართლო ექსპერტიზისა, კერძოდ კი ავტოტექნიკური ექსპერტიზისა. ამასთან ერთად ნშირად გამოძიებელი, სასამართლო ექსპერტს სთხოვს ისეთი საკითხების გადაწყვეტას, რაც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას. ამის გამო მათი დავალება შეუსრულებელი რჩება და საქმე უკან უბრუნდება.

ამ წერილის მიზანია გაარკვიოს გამოძიებელი (სასამართლო) იმაში თუ რა დროს უნდა გამოიყენოს ავტოტექნიკური ექსპერტის სპეციალური ცოდნა, როდესაც გადასაწყვეტია საკითხი — დაარღვია თუ არა მძღოლმა გზებზე მოძრაობის წესები.

ჩვენს მსჯელობას დავიწყებთ ყველაზე სადავო და მთავარი საკითხიდან: შედის თუ არა სასამართლო ავტოტექნიკური ექსპერტის კომპეტენციაში საგზაო სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე მძღოლების მიერ გზებზე მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტის დადგენა.

ლიტერატურაში გამოთქმულია ორი დღამეტერიულად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება. ავტორთა ერთი ჯგუფი (ბ. ს. რაბინოვიჩი, კ. ე. ელინი, ვ. ნ. იანიჩი) თვლის, რომ აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყვიტოს

საგამომძიებო და სასამართლო ორგანოებმა; ხოლო მეორე ჯგუფი (ი. ვ. ვინოგრადოვი; გ. ი. კოჩაროვი, ნ. ა. სელივანოვი) თვლის, რომ აღნიშნული საკითხი (თუ კი ეს საკითხი გამოძიების ან სასამართლოსათვის) უნდა გადაწყვიტოს სპეციალისტმა, ავტოექსპერტმა.


სასამართლო ექსპერტიზის ტიპური ინტერპუტაციაში, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის მიერ და შეთანხმებულია სსრ კავშირის პროკურატურასთან, უმაღლეს სასამართლოსთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან 1974 წლის 18 ნოემბერს ავტოტექნიკური ექსპერტის კომპეტენციის საკითხი განმარტებულია შემდეგნაირად:

ავტოტექნიკური ექსპერტი იკვლევს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე მძღოლთა მოქმედებას, რათა დაადგინოს თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ისინი საგზაო შემთხვევის ვითარებაში, დაიცვეს თუ არა უსაფრთხო მოძრაობის მოთხოვნები, ტექნიკური ან ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესები (მე-10 პუნქტი);

ავტოტექნიკური ექსპერტი უფლებამოსილი არ არის უპასუხოს კითხვებზე აქვთ თუ არა დარღვეული გზებზე მოძრაობის წესები მძღოლებს და შეესაბამებოდა თუ არა მათი მოქმედება გზებზე მოძრაობის წესების მოთხოვნას (მე-18 პუნქტი).

ამ პუნქტების ანალიზით შეგვიძლია უფრო დაწვრილებით ვიმსჯელოთ ექსპერტის სპეციალურა ცოდნის საჭიროებაზე, გზებზე მოძრაობის წესების დარღვევის დროს.

ავტორები, რომლებიც უარყოფენ, რომ გზებზე მოძრაობის წესების დარღვევა უნდა გადაწყვიტოს ავტოტექნიკურმა ექსპერტმა, იმას ემყარებიან, რომ გზებზე მოძრაობის წესები მტკიცდება და მოქმედებს შემდგომი ორგანოების განკარგულებითა და ბრძანებით. აქედან გამომდინარე, აღნიშნული წესები კანონქვემდებარე აქტია და გამომძიებლის ან სასამართლოს მიერ ამ აქტის არ ცოდნა არ შეიძლება ვახდეს ექსპერტიზის დანიშვნის საბაზი. ი. ვ. კრილოვი სამართლიანად აღნიშნავს, „კანონის ცოდნა,



თუნდაც მათი გამოყენება ტექნიკაში არ შე-
ძლებს მივაკუთვნოთ, იმ საკითხებს, რო-
მლებზეც შესაძლებელია გამომძიებელმა ან
სასამართლომ მიმართოს ექსპერტს¹.

მაგრამ, ვახსიათებთ რა გზებზე მოძრა-
ობის წესებს, როგორც ერთიან დაკანონე-
ბულ აქტს, არ არის საფუძველი ისინი გა-
ვითანბართ სამართლებრივ ნორმებთან.
გზებზე მოძრაობის წესები, ტექნიკური ექს-
პლუატაციის წესები და სხვა ტექნიკური
ნორმებია, რომლებიც აწესებენ ადამიანის
დამოკიდებულებას ტექნიკასთან და ადა-
მიანთა ურთიერთ დამოკიდებულებას ამ ტექ-
ნიკის გამოყენების პროცესში.

უძველესია, რომ ტექნიკასთან სწორი ან
უსწორი დამოკიდებულების ფაქტის დასად-
გენად აუცილებელია ასე თუ ისე ვეუფ-
ლებოდეთ ამ წესებს, ვიცოდეთ ტექნიკური
თავისებურებანი.

ამგვარად, როდესაც გამოიძიება ან სასა-
მართლო მიმართავს ავტოტექნიკურ ექსპერ-
ტსას იმ საკითხის გადასაწყვეტად შეეხა-
ბამებოდა თუ არა შესაბამისად მძღოლის
მოქმედება გზებზე მოძრაობის წესების მო-
თხოვნებს, იგი გამომდინარეობს ტექნიკური
ნორმების ცოდნის აუცილებლობიდან.

გზებზე მოძრაობის წესები, როგორც ჩანს
ორმაგ ხასიათს ატარებს. ერთი მხრივ გან-
საზღვრავს ტექნიკურ ნორმას: ტრანსპორ-
ტის სწორი მართვა, მისი ექსპლუატაცია, რაც
შეიცავს მის ტექნიკურ ასპექტს; მეორე
მხრივ შეიცავს სამართლებრივ ნორმას: გან-
საზღვრავს თუ განსაზღვრულ პირს (მაგ.
მძღოლს) სავალ გზაზე ან თუ იმ ვითარება-
ში როგორი მოქმედება უნდა შეერსულები-
ნა.

მარველ შემთხვევაში, გზებზე მოძრაობის
წესების დარღვევისას, იგულისხმება მისი
ტექნიკური მხარე, მოძრაობის წესების ამა
თუ იმ მუხლის დარღვევა: მეორე შემთხვე-
ვაში კი საქმე გვქვს გზებზე მოძრაობის წე-
სების დარღვევის სამართლებრივ ასპექტთან.
აქ მართკ მოქმედების ანალიზი კი არ იგუ-
ლისხმება, არამედ სამართლებრივი შეფასე-
ბაც: მართლსაწინააღმდეგო ქმედობა და ავ-
ტოსავალი შემთხვევაში მონაწილის ბრალე-
ულობის დადგენა.

აქედან გამომდინარე იმ საკითხის გადაწყ-
ვეტა — დაარღვია თუ არა გზებზე მოძრა-
ობის წესები შემთხვევაში მონაწილე რომე-
ლამე მხარემ, სამართლებრივი ვაგებეთ საგ-

რძნობლად დიდი მოცულობისაა, ვიდრე იმა-
ვე საკითხის ტექნიკური მხარის გადაწყვეტა.

ავტომობილს მართვის დროს მძღოლი
მოქმედებს როგორც ოპერატორი, მაგრამ
როგორც ადამიანი იგი სოციალური არსე-
ბაა, ამიტომ მის მოქმედებაში გამოიყოფა
მეორე ასპექტიც — სოციალური ასპექტი,
რომელიც მოიცავს მის მოქმედებას, რომლის
შინაარსშიც იგულისხმება ადამიანის მოქმე-
დება საზოგადოების მიმართ; კარგი, ცუდი,
კანონიერი, კანონსაწინააღმდეგო და სხვა.

მაგალითად, ავტომობილის მძღოლი მოძ-
რაობს ქალაქის ქუჩებში და სწორად ირჩევს
მოძრაობის სიჩქარეს, გზებზე მოძრაობის წე-
სების მოთხოვნათა შესაბამისად კვეთს ყვე-
ლა მოწესრიგებულ და მოუწესრიგებელ
გაჯვარედინებს და სხვა. ერთი სიტყვით
მძღოლი მოქმედებს როგორც ოპერატორი.
მაგრამ იმავე მძღოლს თუ სახლში დარჩა
ავტომობილის მართვის მოწმობა, ამ შემთხ-
ვევაში რა თქმა უნდა მისი მოქმედება უს-
წოროა, ვინაიდან მას გზებზე მოძრაობის
წესების თანახმად უფლება არ ჰქონდა გა-
მოსულიყო ავტომობილით, ისე, რომ თან არ
ჰქონოდა მართვის მოწმობა.

ავტოტექნიკური ექსპერტიზა სატრანსპორ-
ტო საშუალების მძღოლის მოქმედებას უნდა
აანალიზებდეს და აფასებდეს ტექნიკური
ოპერაციების ჩატარების მხრივ, ვინაიდან
მხოლოდ ამის გამოკვლევისათვის არის
საჭირო ტექნიკური ცოდნა.

გამომძიებელი (სასამართლო), რომელიც
იხილავს მძღოლის მიერ გზებზე მოძრაობის
წესების დარღვევებს, როგორც კანონსაწი-
ნააღმდეგო მოქმედებას, აფასებს მძღოლის
მოქმედებას, რამდენადაც მოქმედების სამარ-
თლებრივი ანალიზი მოითხოვს მის სოცია-
ლურ-ფსიქოლოგიურ შინაარსში გარკვევას.
ავტოექსპერტის მიერ მძღოლის მოქმედე-
ბის ანალიზი გზებზე მოძრაობის წესების
მოთხოვნათა მიხედვით ამ შემთხვევაში თუმ-
ცა აუცილებელია, მაგრამ მაინც დამხმარე
ხასიათისაა. აღნიშნული ვითარებათა გამო
ავტოტექნიკური ექსპერტიზის პრაქტიკაში
ახლად შემოღებულია ტერმინები „შეესაბა-
მებოდა“ ან „არ შეესაბამებოდა“ „დაარღვია“
ან „არ დაარღვია“ ნაცვლად. ამასთან ვადა-
წყვეტია არა ტერმინოლოგიური განსხვავე-
ბა, არამედ არსებითია მათი განსხვავება მო-
ცულობისა და მძღოლის მოქმედების ანალი-
ზის მიხედვით.

საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში

¹ И. Ф. Крылов. Судебно-техническая экспертиза по делам о нарушении правил техники безопасности «Правоведение» 1960 г. № 3. с. 75.

ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის დროს იმ საკითხის გადასაჭრელად შეესაბამებოდა თუ არა ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილეთა მოქმედება გზებზე მოძრაობის წესების მოთხოვნებს ანაწილებენ გამოსავლევ ობიექტს: ავტოსაგზაო შემთხვევის შემდგენელი ელემენტების (მხარეების) მოქმედება; შემთხვევაში მონაწილე პირის მოქმედება ტექნიკური თვალსაზრისით; (ტექნიკური მოქმედება, ტექნიკური ოპერაცია) და სამართლებრივი მოქმედება.

აქედან გამომდინარე, უოველთვის აუცილებელი არ არის გამოძიებამ სასამართლომ მამართლის ზემოთ აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად ავტოტექნიკურ ექსპერტიზას.

შევხვით გამოძიებისა და სასამართლოს მიერ დასმული საკითხებიდან ყველაზე გავრცელებულ ფორმას: დაარღვია თუ არა ფენით მოსიარულემ გზებზე მოძრაობის წესები. ექსპერტი უოველთვის უთითებს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა არ შედის ექსპერტის კომპეტენციისა და იგი გადაწყვეტილი უნდა იქნას თვით გამოძიებისა და სასამართლოს მიერ. იგულისხმება, რომ ყველა მოქალაქე თვითონ არის ფენით მოსიარულე და ზედმიწევნით უნდა იცოდეს გზებზე მოძრაობის წესებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რაც ფენით მოსიარულეს ეხება და გადმოცემულია გზებზე მოძრაობის წესების III თავის 16-20 მუხლებში.

ლაბორატორიაში 1978 წელს სულ შემოსული სისხლის სამართლის საქმიდან იმის გამო, რომ ბევრი მათგანი არ მოითხოვდა სპეციალურ ცოდნას, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს შეუხსრულებლად დაუბრუნდა ორი მესამედი.

სისხლის სამართლის საქმეების უმრავლესობა დაბრუნებულია იმ მოტივით, რომ გამოძიების და სასამართლოს მიერ ექსპერტის წინაშე დისკვა საკითხი — „გზებზე მოძრაობის წესების რა მოთხოვნები აქვს დარღვეული მძღოლს“, რაც არ შედის ექსპერტის კომპეტენციასში.

გზებზე მოძრაობის წესები განსაზღვრავს გზებზე მოძრავე ამა თუ იმ მონაწილის სავალდებულო მოქმედებას სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის დროს და ათავალისწინებს იმ აუცილებელ მოქმედებათა შესრულებას (ან არ შესრულებას), რომელიც შეიძლება მოითხოვდეს სპეციალური ტექნიკური ხასიათის გარკვეულ მოქმედებას.

მაგალითად: გზებზე მოძრაობის წესების 78-ე მუხლის მოთხოვნათა მხედვით მძღოლს

ევალდება მოძრაობის ინტენსიურობის, გზის პირობების, მხედველობის, ატმოსფერული მდგომარეობის მიხედვით ისეთი სიჩქარე შეარჩიოს, რომ შესძლოს შეასრულოს ყველა მანევრი ტრანსპორტზე. იმის გადასაწყვეტად, შეასრულა თუ არა მძღოლმა ეს მოთხოვნა, საჭიროა ტექნიკურად შეფასდეს გზის მდგომარეობა, განსაზღვროს კონკრეტულ ვითარებაში რა მოქმედება უნდა შეესრულებინა მძღოლს და მოთხოვნა დაუპირისპირდეს შესრულებულს.

სატრანსპორტო საშუალებათა მართვა უოველთვის დიდად არის დამოკიდებული მძღოლის მიერ მართვის მოქმედებათა სწორ შერჩევაზე, რაზეც დამოკიდებულია მოძრაობის ხასიათი: სიჩქარის მომატება, ან შემცირება, მანევრირება, შეჩერება. გამომდინარე აქედან მძღოლის მოქმედების შეფასება განიხილება, როგორც ტექნიკური მხარე და მისთვის სპეციალური ცოდნა საჭირო.

გზებზე მოძრაობის წესებით გათვალისწინებული მოთხოვნები შესაძლებელია იქონოს არასპეციალური (ტექნიკური), არამედ საერთო ხასიათისა.

მაგალითად: გზებზე მოძრაობის წესებით მძღოლს ეკრძალება სატრანსპორტო საშუალებებს მართვა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალის დროს, ან საქის იმ პირისათვის გადაცემა, რომელსაც არ გააჩნია სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა და სხვა. ამასვე მიეკუთვნება ფენით მოსიარულეთა მოქმედება, როგორც გზებზე და ქუჩებზე მოძრაობის მონაწილისა. ამ შემთხვევაში, ავტოტექნიკური ექსპერტის პასუხი რა თქმა უნდა ერთნაირი იქნება და ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნას აზრი არა აქვს. იგი გამოიწვევს მხოლოდ და მხოლოდ საგამოძიებო ვადის გაჭიანურებას.

მაგალითად: 1977 წლის 20 იანვარს ქ. თბილისის საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამოძიების დადგენილებით ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩასატარებლად ლაბორატორიაში შემოვიდა სისხლის სამართლის საქმე № 9689. დადგენილებით გარკვეულია, რომ 1978 წლის 28 სექტემბერს საგარეჯოში, რუსთაველის ქუჩაზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ავტომობილ მშპ-555 02-09 ვახის მძღოლმა პაპუაშვილმა, ავტომობილი გადაიყვანა გზის უკიდურეს მარჯვენა მხარეს, გადავიდა ფენით მოსიარულეთა სავალ ტროტუარზე და შეეჯახა აღნიშნული ქუჩის № 178 სახლის ალაყაფის კარს და დობეს.

გამოძიება თხოულობდა იმ საკითხის გადაწყვეტას თუ გზებზე მოძრაობის წესების რომელი მუხლები აქვს დარღვეული მძღოლს? რა თქმა უნდა, ამის გადაწყვეტა არ მოითხოვს სპეციალურ ცოდნას. ამიტომ სისხლის სამართლის საქმე გამოძიებელს დაუბრუნდა შეუსრულებლად.

ამგვარად ავტოტექნიკური ექსპერტიზა არ უნდა წყვეტდეს იმ საკითხებს, რომლებიც მიეკუთვნებიან მძღოლის მოქმედების შეფასებას გზებზე მოძრაობის წესების მოთხოვნათა მიხედვით და არ საჭიროებენ სპეციალურ ტექნიკურ ცოდნას და მომზადებას. დარღვევის დადგენა ამ შემთხვევაში უნდა

მონდეს გამოძიების ან სასამართლოს მიერ, ექსპერტის დაუხმარებლად.

ავტოტექნიკური ექსპერტიზის კომპეტენციის სწორი გაგება და განსაზღვრა დიდ დახმარებას გაუწევს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს საგზაო სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე პირთა ბრალეულობის დროულად და სწორად დადგენაში.

ო. ჟღენტი,

სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის უფროსი

ბ. კოჯანაშვილი,

ავტოტექნიკური გამოკვლევების განყოფილების უფროსი



აგროკაპიუარი ექსპერტის უფლებამოსილების საკითხისათვის

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ 1975 წელს გამოსცა სპეციალური ინსტრუქცია სასამართლო ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე, რომელიც განსაზღვრავს ექსპერტის კვლევის ობიექტს და კომპეტენციის ფარგლებს.

ინსტრუქციით ავტოტექნიკური ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს ავტოსაგზაო შემთხვევის მექანიზმისა და სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის გამოსაკვლევად, შემთხვევის ადგილისა და საგზაო პირობების დასადგენად, საგზაო შემთხვევაში მონაწილე პირთა მოქმედებისა და იმ გარემოების განსაზღვრისათვის, რომელმაც ხელი შეუწყო ავარიას.

ყოველივე ეს სპეციალური ცოდნით უნდა გადაწყდეს.

ავტოექსპერტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევისათვის ადგენს:

უწყისიერობის წარმოქმნის დროსა და მიზეზს და ამ უწყისიერობის აღმოჩენის შესაძლებლობას შემთხვევის დადგომამდე;

მიზეზობრივ კავშირს აღმოჩენილ უწყისიერობასა და მომხდარ საგზაო შემთხვევას შორის;

შემთხვევის თავიდან აცილების ტექნიკურ შესაძლებლობებს;

გარემო პირობებსა და სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკურ მდგომარეობას, რამაც ხელი შეუწყო საგზაო შემთხვევის დადგომას;

ექსპერტი იკვლევს საგზაო პირობებს საჭირო კოეფიციენტების შესარჩევად და სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის ტრაექტორიის დასადგენად როგორც შემთხვევამდე, ისე მის შემდეგ და არაკვივს თუ როგორ უნდა ემოქმედნათ საგზაო შემთხვევაში მონაწილე პირებს მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის წესების მოთხოვნათა თვალსაზრისით.

ექსპერტს ევალება დაადგინოს ტექნიკური თვალსაზრისით მიზეზობრივი კავშირი მომხდარ საგზაო შემთხვევასა და მონაწილე პირთა მოქმედებას შორის, გამოიკვლიოს საგზაო შემთხვევის მექანიზმი, გამოძიებისა და სასა-

მართლოს მიერ დადგენილი მონაცემების მიხედვით განსაზღვროს შეჯახებული ტრანსპორტის ძალის მოქმედება და მიმართულება (ექსპერტ ტრასოლოგთან ერთად); სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის სიჩქარე, საშუალო და მთლიან გაჩერებისათვის საჭირო მანძილი, ალაღვიანოს სატრანსპორტო საშუალების ურთიერთგაწინააღმდეგობის სწორი სურათი საგზაო შემთხვევის სხვადასხვა ვარიანტში გამოძიებლის ან მოსამართლის მითითების საფუძველზე, გაარკვიოს საგზაო შემთხვევის თავიდან აცილების ტექნიკური შესაძლებლობა და მომენტი, როდესაც მძღოლს კიდევ შეეძლო შემთხვევის თავიდან აცილება.


ექსპერტის წინაშე შეიძლება კიდევ დაესვას სხვა მრავალი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტექნიკური ექსპლოატაციის წესებთან.

ექსპერტს ეკრძალება: თვითნებურად შეადგინოს დასკვნისათვის საჭირო ის მონაცემები, რომლებიც საქმეში არ არის; უპასუხოს სამართლებრივი ხასიათის კითხვებს, რომლებიც ენება მძღოლისა და შემთხვევაში მონაწილე სხვა პირთა მოქმედებას, ან მიზეზობრივ კავშირს მძღოლის მოქმედებასა და შემთხვევის შედეგს შორის.

ექსპერტს უფლება არა აქვს დაადგინოს მომენტი საშიშროების წარმოქმნისა, როცა მძღოლი ვალდებული იყო და შეეძლო გაეთვალისწინებია საფრთხე, ახვევ უპასუხოს იმ კითხვებს, რომლებიც მტკიცებათა შეფასებასა და დანაშაულის ოურიდიულ კვალიფიკაციას ენება.

ექსპერტი დასკვნას იძლევა თავისი სახელით, ეყრდნობა გამოძიებისა და სასამართლოს მიერ დადგენილ მონაცემებს და პირადად არის პასუხისმგებელი მის სისწორეზე.

ექსპერტი იუნებს გამოძიების ან სასამართლოს მონაცემებს, რაც მითითებულია დადგენილებაში ან განჩინებაში, აგრეთვე მონაცემებს, რასაც თვითონ აგროვებს (არ ჩვეს კოეფიციენტებს, კრფს ცნობარებიდან საჭირო მასალას) ატარებს საექსპერტო ექსპერიმენტებს, ათვლითერებს ტრანსპორტს და სპეციალური ცოდნის გამოყენებით სარგებლობს ამ მონაცემებით. მის მიერ მიღებული



მონაცემების სისწორეზე ექსპერტი პირადად აყვებს პასუხს, ხოლო საგამოძიებო ან ხასამართლის განჩინების მონაცემების სისწორეზე ექსპერტი პასუხს არ აცხადებს. თუ მონაცემები სწორი და ობიექტურია, მაშინ ექსპერტის დასკვნაც მართებული იქნება.

კანონით დადგენილებაში, განჩინებაში ექსპერტის დანიშვნის შესახებ შეტანილი უნდა იქნეს: ექსპერტის დანიშვნის საფუძველი, საექსპერტო დაწესებულების დასახელება ან ექსპერტის გვარი; ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხები და საწყისი მონაცემები, რომლებიც უნდა გამოიყენოს ექსპერტმა საკითხების გადაწყვეტის დროს; გზის საჯალი ნაწილის მდგომარეობა, სივანე, ფენილის სახეობა (ასფალტი, ბეტონი, უამროვანი და სხვა); დადმართის სიღრმე ვარაუდებში ან პროცენტში; ავარიის მოხდენის ბრანსპორტის სახეობა, მისი ტექნიკური მდგომარეობა, დატვირთულობა, ტვირთის სახეობა და ცნობები ძარაზე მისი განაწილების შესახებ. შემთხვევის ადგილმდებარეობის კოორდინატები; ქვეითად მოხიარულის მოძრაობის სიჩქარე დადგენილი ექსპერიმენტული გზით ან შერჩეული ცხრილის მიხედვით; სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის სიჩქარე, (თუ მისი გამოთვლა არ შეიძლება იგი უნდა დადგინდეს საგამოძიებო მოქმედების შესრულებით); სატრანსპორტო საშუალების მიერ დატოვებული კვლების სიგრძე და მისი ხასიათი (სამუხრუჭე და სხვა კვლები); მინის ნამსხვრევების, ჩამოყრილი მიწის, ზეთის ნაწილაკების ადგილსამყოფელი, მათი განლაგება და სხვა; სატრანსპორტო საშუალების გაჩერების ადგილი, დაზარალებულის, ცალკეული ავრგატებისა და სხვა საგნების ერთმანეთის მიმართ განლაგების შესახებ ცნობები ზომების ჩვენებით; გზის ბილულობა; — ცნობები იმის შესახებ, გამოიყენა თუ არა მძღოლმა სასწრაფო დაზუსტუქება და რამდენი მეტრი სიგრძის სამუხრუჭე კოვალი დატოვა დაჯახებამდე და მის შემდეგ სრულ გაჩერებამდე; რა ნაწილით დაეჯახა სატრანსპორტო საშუალება ქვეითად მოხიარულს (სხვა ხახის სატრანსპორტო საშუალებას სად, როგორ და რა კუთხით); საექსპერტო კვლევის ობიექტები (სატრანსპორტო საშუალება, მათი დეტალები, მექანიზმები და სხვა).

დადგენილებაში, განჩინებაში აუცილებლად უნდა განისაზღვროს მძღოლის წინაშე საშიშროების წარმოქმნის მომენტი. ამ მომენტის სწორად განსაზღვრას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც ექსპერტის სწორი დას-

კვნისათვის, ისე მძღოლის დანაშაულის ან უდანაშაულობის საკითხის გარკვევისათვის.

მძღოლს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა იმისათვის კი არ ეკისრება, რომ საშიშროების შექმნის მომენტში არ შესრულდა აუცილებელი მოქმედება, არამედ იმისათვის, რომ მან ეს აუცილებელი მოქმედება იმ მომენტთან არ შესრულა, როცა შეძლო გაეგო და ვალდებული იყო გაეგო, რომ საშიშროება რეალურად არსებობს.

მოდრაობის წესების 75-ე მუხლში პირდაპირ მითითებულია, რომ „მძღოლმა უნდა მიიღოს ზომები სიჩქარის შესამცირებლად ან უოველგვარ დაბრკოლებათა წინ გასაჩერებლად, რომელთა გათვალისწინება შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა“.

მომენტი, როდესაც იქმნება რაიმე საშიშროება და მომენტი, როდესაც მძღოლს შეუძლია და ვალდებულია გაითვალისწინოს ეს საშიშროება, სხვადასხვაა. ისინი დროის მიხედვით უოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა. რეალური საშიშროება შეიძლება არსებობდეს, მაგრამ მძღოლმა ეს არ იცოდეს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის განმარტებაში მითითებულია, რომ ავტოსავალი შემთხვევები გაუფრთხილებლობით ხდება. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მძღოლებს გაუფრთხილებლობის გამო მათი მოქმედების ან უმოქმედობის ისეთ შედეგებზე ეკისრება, რომლებიც მათ შეეძლოთ და ვალდებულიყვნენ გაეთვალისწინებინათ ან შეედეგზე, რომელიც გაითვალისწინებინა, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდნენ თავიდან აცილნათ იგი.

აქედან გამომდინარე, საშიშროების შექმნის მომენტი, როცა მძღოლს შეეძლო თუ ვალდებული იყო შეეფასებინა საჯალი მდგომარეობა, როგორც საშიშროება, შეიძლება დემთხვევს დანაშაულებრივი ქმედების დასაწყის მომენტს და შეიძლება არ ემთხვევს.

იმისათვის, რომ დავადგინოთ ეს მომენტი, აუცილებელია საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებათა შეფასება, რის შედეგადაც მივაღწეოთ შემდეგ დასკვნამდე: მძღოლი ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა, მაგრამ არ შეეძლო გაეთვალისწინებინა; მძღოლს შეეძლო გაეთვალისწინებინა, მაგრამ არ იყო ვალდებული გაეთვალისწინებინა; მძღოლმა არ გაითვალისწინა, არ იყო ვალდებული და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა; მძღოლმა არ გაითვალისწინა, მაგრამ შეეძლო და ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა; მძღოლმა გაითვალისწინა საშიშროება, მაგრამ სერიოზულად არ იფიქრა მის აცილებას შესაძ-

ლებლობაზე და გასწია გაუმართლებელი რისკი;

გამომძიებელი და მოსამართლე ავტოსაგზაო შემთხვევების საქმის გარჩევის დროს აუცილებლად უნდა აღგენდნენ:

მომენტს, როდის შეიქმნა საშიშროება, ე. ი. ავარიული სიტუაცია და მომენტს, როდის შეეძლო და ვალდებული იყო გაეგო მძღოლს ეს ავარიული სიტუაცია.

ინსტრუქციის თანახმად ამ მომენტის დადგენა არ შედის ექსპერტის კომპეტენციაში.

ექსპერტის დასკვნის შეფასება ხდება სამი გარემოებით:

უპირველესად უნდა შემოწმდეს არის თუ არა ექსპერტი კომპეტენტური საკითხის გადაწყვეტაში. თუ გამოირკვა, რომ ექსპერტი არ არის კომპეტენტური, ინიშნება ახალი ექსპერტიზა.

არის თუ არა სარწმუნო ექსპერტისათვის მიწოდებული საწყისი მონაცემები. თუ დადგინდება, რომ ექსპერტისათვის მიწოდებული საწყისი მონაცემები რეალური არ არის და შემდგომი გამოძიებით ახალი გარემოებანი დადგინდება ან მონაცემები ნაწილობრივ შეიცვლება, მაშინ ინიშნება ახალი დამოუკიდებელი ექსპერტიზა, რომლის ჩატარება და-

ევალება იმავე ან სხვა ექსპერტს. ეს არ არის განმეორებითი, როგორც მას ზშირად მიიჩნევენ საგამომძიებო და სასამართლო ორგანოები.

თუ მონაცემი სწორია, მაგრამ პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევე პირი ან სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას ამ მოტივით, რომ იგი სათანადოდ ნათელი ან სრული არ არის, შეიძლება დაინიშნოს დამატებითი ექსპერტიზა, რაც იმავე ან სხვა ექსპერტს დაევალება, ხოლო თუ ისინი ექსპერტის დასკვნას არ ეთანხმებიან დასკვნის დაუსაბუთებლობის მოტივით, ან მის ხისწორეში ექვის შეტანის გამო, შეიძლება დაინიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა, რაც სხვა ექსპერტს ან სხვა ექსპერტებს დაევალება. მაგრამ ეს მათ სათანადოდ უნდა დაასაბუთონ დადგენილებაში, განჩინებასა და განაჩენში (საქართველოს სსრ სსსკ 70 მუხლი). მაგრამ ამ შემთხვევაში საწყისი მონაცემები და გადასაწყვეტი კითხვები იგივე უნდა იყოს, რაც პირველ ექსპერტიზას ჰქონდა. ზშირად ამას არც გამომძიებელი აკეთებს და არც სასამართლო.

ნ. ბანცაძე,

უფროსი ავტოექსპერტი

სოცსლეს ფოროს მაშინარაზული

(გაგრძელება)*

— გამარჯობათ, სისხლის სამართლის სამ-
ებროდან ვარ. მინდოდა მომინადრებებს ვა-
საუბრებოდი...

— შემობრძანდით, — უთხრა მოხუცმა
მშვიდი და თავისი ასაკისათვის შეუფერე-
ბელი მუდრი ხმა ჰქონდა. იგი განზე გად-
გა, კორნილოვი გაატარა და სინათლე ჩართო.

დაიღი, მყუდროებას მოკლებული მისაღე-
ბი, გამოვსებული იყო ძველი კარადებითა
და კომოდებით, თეთრტილოვადკრული სკა-
მებით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თით-
ქოს ავეჯი გადასატანად გაემზადებინათ ან
ეს ეს არის მოუტანიათო.

— კაცმა რომ თქვას, მომინადრეთაგან
მხოლოდ მეღა ვარ დარჩენილი, — თქვა მო-
ხუცმა, როცა კორნილოვი ისეთხავე ხარახუ-
რით გამოქედით კორიდორში მიჰყავდა. —
სხვები აგარაკებზე არიან. მე კი უკვე გა-
მესაუბრნენ. ისინიც სისხლის სამართლის
მილიციიდან იყვნენ. აღმათ თქვენი შენის
თაობაზე ხართ მოხუცი?

როგორც იქნა მოხუცის ოთახს მიაღწიეს.
აქ უველაფერი მშით იყო გაჩახჩახებული.
ბილიარდითი უზარმაზარი მწვანე მალდ-
გადკრული საწერი მაგიდა წიგნებით დაზვა-
ვებულიყო. იქვე ჩამწკრივებინათ წითელი
ხის წიგნის კარადები. კორნილოვმა კარა-
დებს აღტაცებით შეავლო თვალი.

მოხუცმა მის მზერას შეასწრო თვალი და
ამოოხვრით თქვა:

— ეს არის ჩემი ცნობრების ორმოცი
წელი... ბლოკადსაც კი გაუძღეს. — იგი
სკამზე ჩამოჯდა მრგვალ სასადილო მაგიდას-
თან, რომლის ზედაპირის ახლოს ძველმო-
დური უცნაური ჭადი ეკიდა, და კორნილოვ-
საც სთხოვა დაჯექო.

— თქვენი სახელი...

— პეტრე ივანეს ძე ელისტრატოვი, —
მოხუცმა გაიღიმა და დაუმატა: — პენსიო-
ნერი. ყოფილი ისტორიის მასწავლებელი.

— პეტრე ივანეს ძე, ორშაბათს დილაღ-
რიან შინ თუ იყავით?

— მე ხომ უკვე... — დაიწყო ელისტრა-
ტოვმა, მაგრამ კორნილოვმა თავაზიანად შე-
აჩერა მოხუცი:

— მაპატიეთ, თუ უკვე მოგიხდათ ამ შე-
კითხვებზე პასუხის გაცემა.

მოხუცმა მხრები აჩინა.

— შინ ვიყავი. ბინიდან პირველად გველი
დაახლოებით ორ საათზე, რძის ბუფეტში.
ჩვენს სახლშივით.

— დილით არაფერი გავიგონათ? ან
სროლის ხმა ან შეკვივლება?

— არა. მივაქცევედი ყურადღებას. ჩვენს
სახლში დილაობით ხომ ისეთი სიჩუმეა...

— მაგრამ შვიდ საათზე აღმათ ჯერ კი-
დედ გეძინათ?

მოხუცმა გაიღიმა:

— უკვე დიდი ხანია, თხუთმეტი წელი
იქნება ზუსტად სუთ საათზე მეღვიძება და
მაშინვე ვდევები. სამუშაო ბევრი მაქვს,
დრო კი — გამოვრომილი.

კორნილოვმა უნებურად საწერ მაგიდას
შეხედა, მზერა ძველ წიგნებსა და დაფლეთილ
ყურნალებს მიაპყრო, რომლებშიც ხანისწე-
ები იდო.

— თქვენთან იმ დილით არავის დაურე-
კავს?

— ფოსტალიონმა დარეკა. შეკვეთილი წე-
რილი მოიტანა.

კორნილოვმა ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა.


— ხილკოვს იცნობდით?

— შენია ჩემთან სწავლობდა მეშვიდე და
მერვე კლასებში. მაგრამ ახლა ამას მარტო-
ოდენ თეორიული ინტერესილა აქვს, — ამო-
იხრა მოხუცმა.

— არა, რატომ? ჩვენთვის პრაქტიკუ-
ლიც...

— შენია არ იყო ცუდი ბიჭი. ნიჭიერიც
იყო...

* დასაწყისი ცხ. ყურნ. „საბჭოთა სამართლის“ 1975 წლის № 5, 1976 წ. № 2, № 3, № 4, № 5, № 6; 1977 წ. № 1, № 2, № 3, № 4, № 5, № 6.



კორნილოვი ელისტრატოვს უსმენდა და თან ანგარიშობდა, რამდენ წელს გაველო მას შემდეგ — თოხმეტი გამოვიდა.

— იგი ენერგიული ადამიანი იყო, მაგრამ ძალზე ცვალებადი. უცბათ აენთებოდა და უცბათვე მშვიდდებოდა. ვერაფერს მიაღწია.

— მოხუდიგნო ხომ არ იყო?

— არა. არც მოთავე იყო ხოლმე ბიჭებში, არც ცუდქობდა. მეტისმეტად მგრძნობიარეს შთაბეჭდილებას უფრო ახდენდა.

წყურნიასგან შეიძლო ატირებულყოფი. მეცხრე კლასში მკვეთრად შეიცვალა გულჩათხრობილი. უტიფარი გახდა. მასწავლებლები თავს იმტვრევდნენ, მე კი ვიცოდი მიზეზი — მამამ ოჯახი მიატოვა.

— მეგობრები ჰყავდა?

— ადრე ცოტა. სამი წლის წინათ კი ნიაღვარივით მოაწყუნდნენ. თითქმის უოველდღე ლოთობდნენ. გოგოები...

— რა გოგოები?

მე მგონია უწყობები... ეს ყველაფერი დედის სიკვდილის შემდეგ დაიწყო. — მოხუცი, უცებ ჩაფიქრდა და ფანჯრისკენ გაიხედა. — დიახ, დამავიწყდა მეთქვა, რომ შენიაზე ძალიან ცუდად იმოქმედა მამის დაბრუნებამ.

— მამის დაბრუნებამ?

— დიახ! შვიდიოდე წელი არაფერი ისმოდა მისგან. და უცბათ კი გამოჩნდა. შენია უკვე ჭარიდან იყო დაბრუნებული, მძლოლად მუშაობდა ქარხანაში.

— რით არის ცუდი, რომ მამა დაბრუნდა? გაციდა კორნილოვი.

— განა ვერ ხვდებით! — თქვა განაწყენებული მამა. — მამა სცემდა, ამცირებდა, მერე შვიდი წელი სადღაც დაეთროდა, ერთხელაც არ გახსენებია. შენია უკვე დაჯაყაცებული იყო და უცებ მოვიდა უცხრი კაცი. უცხო კი არა, უფრო მეტიც თქმის. დედად საჭიროდ არ მინიშნა შვილისათვის რჩევა ეკითხა. — მოხუცი ადვილად და სუნთქვა შეეკრა. ცოტათი რომ დაშვიდდა თქვა: — შენია სამწარეულოში ცხოვრობდა საწოლარზე ეძინა.

— და ამის შემდეგ დაიწყო ხილკოვმა ხმა?

— დიახ, რამდენჯერმე მთვრალი ვნახე. მაგრამ რაც მთავარია, ძალიან იშვიათად მოდიოდა შინ. აღარც კი ვხვდებოდა.

— თქვენ ბრძანეთ, რომ დედა გარდაეცვალა. მამა?

ნახევარი წლის შემდეგ...

— ბოლო დროსაც ბერის სვამდა ხილკოვი?

— არა. მგონი უფრო ნაკლებს. რამდენჯერმე შევხვდი ერთსა და იმავე ქალიშვილ-

თან. მეჩვენებოდა თითქოს უფრო დახერხონ უნდოდა. არც კი მესალმებოდა, როცა ამ ქალიშვილთან ერთად მოდიოდა. მგონია გალია ერქვა.

კორნილოვმა ელისტრატოვს ლავროვას ფოტოსურათი უჩვენა.

— ის არის, — თავი დაუქნია მოხუცმა. — ლამაზი ქალიშვილია. — მერე ამოიხარა და დაუმატა: — ძალზე მეცოდება უმარწილი. მე კი ძალზე ცოტა რამ გავაკეთე მის დასახმარებლად...

— ძმაბიჭები ძველებურად დადიოდნენ? — უფრო იშვიათად.

კორნილოვმა რამდენიმე ფოტოსურათი უჩვენა. მოხუცმა მსოფლოდ მაჭლაჭუნა ამოიცნო.

— უმეტესად კიბეზე შეერჩენება ხოლმე ადამიანი, — გაამართლა თავი. — ჩვენ კიბეზე კი ბნელა. თქვენ თვითონაც ნახეთ.

— ხილკოვი მანქანების გამტაცებლების ბანის წევრი იყო, — უთხრა კორნილოვმა.

— გამორჩენა, მომხვეჭელობა... — ყრულ წარმოთქვა მოხუცმა, — როგორ უნდა დავიცვა ახალგაზრდობა ამისაგან? — მან ჯიქურად შეხედა კორნილოვს, — როგორ ფიქრობთ, ამხანაგო, მეტისმეტად ბევრს ხომ არ ფიქრობს ახალგაზრდობა მატერიალურ კეთილდღეობაზე?

კორნილოვმა თავი დაუქნია.

— ო — ო! გააგრძელა გოცუბულმა მოხუცმა. — მაშასადამე, თქვენც ხვდებით ამას.

— პეტრე ივანეს ძე, ბოლო დღეებში ხომ არაფერი შეგინიშნავთ ხილკოვის საქციელში უჩვეულო?

მოხუცი დაფიქრდა. შემდეგ მხრები აჩჩინა. — თითქოს არაფერი.

კორნილოვი წამოდგა.

— ბოლოშს ვინდი შეწუხებისთვის, პეტრე ივანეს ძე, საქმეს მოგაცდინეთ...

— მზად ვარ გემსახუროთ, — მიუგო მოხუცმა მშრალად და ჰკითხა: — მითხარით, თუ საიდუმლო არ არის, სროლის შესახებ შემიყობსეთ. მაშასადამე, შენია პისტოლეტით არის მოკლული?

— კორნილოვმა თავი დაუქნია.

— ზო... სცადე ახლა და იპოვენ, თუ კი მეძებარმაც ვერ აიღო კვალი. — ეტყობოდა, მოხუცმა უკვე იცოდა, რომ სამსახურის ძალით იყვნენ აქ მოხულები.

— არაფერია, შევეცდებით, — მიუგო იგორ ვასილის ძემ.

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა ელისტრატოვი არიან ძალიან გამოცდილი კრიმინალისტები... თუცა წინათაც აყვნენ. აი

მკვლევებმა კენხარს ოცდასამი ჭრილობა
მააუენეს ცივი იარაღით. ძველმა რომაელმა
ეკიმმა ანტისტიუსმა შეამოწმა გვამი და გა-
მოიტანა დასკვნა, რომ მხოლოდ ერთი ჭრი-
ლობა იყო სასიკვდილო გულზე რომ ჰქონ-
და მიყენებული. ალბათ თქვენც წაგივით-
ხავთ ეს ამბავი...

— საინტერესოა, — უთხრა კორნილოვ-
მა. — არ წამივითხავს.

ოთახიდან გამოსვლისას კორნილოვმა კი-
დევე ერთხელ შეავლო თვალი წიგნის კა-
რადებს.

კარებში რომ იდგნენ, მოსუცს უცბად გა-
ასხენდა.

— თქვენ მკითხეთ, სომ არაფერი შემი-
ნიშნავს უჩვეულო... აი ახლა გამახსენდა. სა-
მი თვის წინათ უენია თეატრში ვნახე, დიდ
დრამატულ თეატრში. „მელა და ყურძენი“
გადიოდა. ეს უჩვეულო იყო... მისთვის.

— თავის სატრფოსთან ერთად?

— არა, კაცმა რომ თქვას, არც კი ვიცი,
ვისთან ერთად იყო. ფოიეში ესაუბრებოდა
ტანმალად წვეროსან კაცს.

— ახალგაზრდა იყო?

— ხანში შესული. თითქმის მოხუცი.

— შეგიძლიათ მისი ამოცნობა?

ედლისტრატოვი დაფიქრდა.

— დიახ, რა თქმა უნდა, დასახსომებელი
სახე აქვს.

კორნილოვი იცდიდა ვიდრე კარი არ მოი-
ხურა და ფლისტრატოვის ფეხის ხმა არ
მიწედა. მერე ასმეტიდმეტეში დარეკა, ხილ-
კოვის ბინაში. კარი სწრაფად გაიღო. ზღურ-
ბლზე მამაკაცი იდგა: სახე დაძაბული ჰქონდა,
მარჯვენა ხელი კი ჯიბეში ჩადებოდა. იგორ ვა-
სილის ძე კარვად იცნობდა ამ ინსპექტორს —
ვასილკინს. სახელიც კი ახსოვდა — ნიკოლოზ
ათანესეს ძე. კორნილოვი რომ დაინახა, მო-
ბოდიშებით გადიოდა და ჯიბიდან ხელი ამო-
იღო.

— მამატიეთ ამხანაგო პოლბოლკოვნიკო...
გავგაფრთხილდეს, რომ თუ ჩვენიათი ექნებო-
და, წინასწარ შეგვატყობინებდნენ ტელეფონ-
ით. თქვენ კი გაუფრთხილებლად დარეკეთ.
ჩვენ ვიფიქრეთ, ვინც თუა ამ ღოთებთან.

კორნილოვი ბნელ მისაღებში შევიდა. აქ-
ვე იდგა მეორე მუშაკიც. იგორ ვასილის ძე
მას არ იცნობდა. ეტყობა დიდი ხანი არ
იყო გასული, რაც სისხლის სამართლის სამ-
ძებროში დაეწყო მუშაობა.

— სინათლე არა გაქვთ? — იკითხა კორნი-
ლოვმა. ვასილკინმა ჩამრთველი გაჩნაყუნა. —
არავინ მოსულა, არც დაურეკავთ? კორნი-
ლოვი სამზარეულოში გვიდა, ახაზანაშიც
შეიხედა.

— არა. თითქოს უკაცრიელ კუხნულზე ვი-
ყოთ. არც ზარის ხმა, არც სტუმრები... —
მიუგო ვასილკინმა.

სამზარეულოს კარადაში თეთრწინწკლები-
ან წითელი ქილები, ბურღულხა და შქარში
არეული გაფანტული მაკარონი ეყარა.

— კეთილი, თქვენ თანამოწმებმა მოიწვი-
ეთ, მე კი ოთახში მოვიციდი, — უთხრა იგორ
ვასილის ძემ.

კორნილოვი ოთახში შევიდა. პირველი,
რაც თვალში ეცა, იატაკში ცარციით მოხა-
ზული ადამიანის ხილუეტი იყო. ეტყობა,
ოდნავ მოხრილი წოლილა და მარჯვენა ხელი
წინ ჰქონია გაწეული.


ოთახი დიდი იყო, მაგრამ მყუდროებას მოკ-
ლებული. ძირწილი მალალი ჭერი ჰქონდა.
დიდი ხნის გაუწმენდავ ვენციურ ფანჯარას
თითქმის ფარავდა შტორი. ამის გამო ოთახში
სანახევროდ ბნელოდა.

„ნეტავ ვინ დავახალა შენი ძმაკაცებიდან
კეფაში ტყავა?“ — გაიფიქრა კორნილოვმა
და ცარცის ხილუეტს დახედა. უცებ გაა-
ხსენდა, რომ ერთი საათის წინ თავი სტკიო-
და, ახლა კი სულ აღარფერს გრძნობდა.

ხილკოვის ოთახს მყუდროება აკლდა,
მაგრამ კარვად იყო გაწყობილი. კუთხეში
სამკარიათი ტანსაცმლის კარადა, მუქი სახა-
დილო მაგიდა და რამდენიმე ლურჯქსოვილ-
გადაკრული სკამი იდგა. კარბეგამოღებულ კა-
რადაში თაროებიდან ჩამოშვებული დაქმუქ-
ნილი პერანგები, რაღაც ჭინჭები, ალისფერ-
ზოლიანი ფართო ზალსტუხი მოჩანდა. ფანჯა-
რასთან მალაღფეხიანი შურნალების ძველე-
ბური მაგიდა იდგა, მის გვერდით — დიდი
ულაზათო სავარძელი; მარჯვნივ ფანჯრიდან —
ჭურჭლიანი სერვანდი, დიდი ლურჯი ფერის
დავანი. მის ახლოს — ხაოიანი ნაღიჩა.
კორნილოვმა კიდევ ერთხელ მოავლო თვალი
ოთახს — იხსიდა არცერთი წიგნი. მხოლოდ
შურნალების მაგიდაზე ეწყო რამდენიმე გა-
ზეთი. არც ტელევიზორი, არც რადიომიმ-
ლები...

კორნილოვს უსიამოვნო გრძნობა არ შორ-
დებოდა. ახალი ავეჯი ძალზე მალად ჭერთან
შედარებით მომცრო და ერთი ციციქა მო-
ჩანდა. იხიცი იგრძნობოდა, რომ ოთახში არა-
ვინ ცხოვრობდა. ავეჯი, გარდა შურნალების
მაგიდისა და ორი სავარძლისა, სულ ახალი
იყო. „ხილკოვს მთელი ფული არ გაუნა-
ვებია“, — გაიფიქრა კორნილოვმა. — ავეჯი
ახლად ნაყიდა მალაზიიდან... მაჯალაქუნა კი
ყველაფერს დევნოში ფანტავდა. ეს რაღაც-
რაღაცეებს მაინც ძეძნდა. შეხაძლოა ცოლის
შერთვას აპირებდა?

იგორ ვასილის ძე დიდხანს იჯდა, ალბათ



ნახევარი საათი გავიდა, ცდილობდა ყველაფერი შეენიშნა, რაც დაეხმარებოდა ხილკოვის პიროვნების გაგებაში. დამნაშავე ისე მოულოდნელად გაუხსნტა ხელიდან გამოძიებას! იქნებ ახლა აქ მიეგნო მცირეოდენი, მაგრამ დამაჯერებელი დეტალისათვის, რაც ამოხსნიდა ხილკოვის სულიერ მდგომარეობას სიკვდილის წინ, მის წუხილს, შიშს, თავის დაძვრენის სურვილს. კორნელოვი ყოველთვის ცდილობდა წარმოესახა ადამიანის ჩვეულებები, ხასიათი, მიდრეკილება, შემდეგ კი მის საქციელში ეპოვნა გარემოებათა სრლაც ისეთი შეუსაბამობა, რაც მისი ხასიათისა და ჩვეულებების საწინააღმდეგო იქნებოდა. შემდეგ დაესვა თავისი თავისათვის კითხვა: რატომ მოიქცა იგი თავისი ჩვეულებების საწინააღმდეგოდ.

და ეს გამოუცნობი მკვლელი. იქნებ დატოვა რაღაცა ოთახში, თუნდაც ძალზე მცირე რამ, რაც მის აქ ყოფნას დაადასტურებდა, გარდა ნაგანის ტყვიისა და პაპიროსებისა.

იგორ ვასილის ძეს უცნაურად მოეჩვენა, მაგრამ ხილკოვის საცხოვრებელში ვერაფერი ნახა ისეთი რამ, რაც უჩვენებდა პატრონის ინდივიდუალობას, მის მიდრეკილებებსა და ინტერესებს. თავისი მრავალწლიანი პრაქტიკით მან იცოდა, რომ ადამიანის საცხოვრებელს. ისევე როგორც პიროვნებას, ტანსაცმელს, შეუძლია ბევრი რამ გაუწყობს პატრონზე.

მხოლოდ ერთი რამ ხვდებოდა კაცს თვალში — სისუფთავე და წესრიგი. კიდევ — მღუმარე ტელეფონი და შესასვლელი კარის დაღუმებული ზარი. ოთხი დღე და დამეა ადამიანი ცოცხალი თაქო იყო და არავინ თავს არ იწუხებდა, თითქმის არც ეცხოვროს მას ამ ქვეყანაზე. მხოლოდ სისხლის სამძებროს მუშაკები ირევან მის ბინაში და, ალბათ კიდევ ის პირები ინსენებენ, ვინც ამ საქმის გამოა დაპატიმრებული. ნეტავ ეს მიუკარებლობა ხილკოვის ხასიათის ადრინდელი თვისება იყო, თუ მას შემდეგ გაუჩინდა, რაც მანქანების გატაცებას მიჰყო ხელი?

კორნელოვმა ამოიოცხრა, პაპიროსი ამოიღო. რა ვიციტ მკვლელზე? იგი ხილკოვის კარგი ნაცნობია ეს აქსიომაა. ასე რომ არ იყო. მძლოლი მას არ შემოუშვებდა თავის ბინაში, მშვიდად არ შებრუნდებოდა მისკენ შურგით. მოსულს „ნაგან“ აქვს, ძალზე საჭირო რაღაცა ეძებს. მანახადამე, ზუსტად იცის, რომ ის რაღაც ხილკოვის ჰონდა და არავითარი კვალი არ დატოვა.

შემოვიდნენ თანამოწმენი — ელისტრატოვი და ხანშიშესული ქალი, ალბათ მეგობარი. „მოხუცს არ ვამღვეთ მშვიდად მუშა-

ობის საშუალებას“, — გაიფიქრა კორნელოვმა.

ორი საათის განმავლობაში ათვალიერებდა ოთახს და მხოლოდ ერთმა პატარა დეტალმა მიიპყრო მისი ყურადღება — ხალიჩა რომ გადაბარუნა, ხალიჩასა და დივანს შუაასანთის ღერი იპოვნა. თითქმის ბოლომდე დამწვარი ასანთის ღერი. იგი ხელში ეჭირა ვიღაცას და მხოლოდ მაშინ გადაადგო, როცა ალი თითებს მისწვდა. ასე მიმწვარი ასანთის ღერი მაშინ რჩება, როცა უცბად ჩაქრება ელექტროდენი და რამეხ ეძებ — ხანთელს, ლამფას, ან ასწორებ დამცველ კორპებს... ან ეს ადამიანი ეწევა ჩიბუხს... ჩიბუხის მოკიდება ხომ ისე ადვილი არ არის, როგორც პაპიროსისა.

ვანეკინმა, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალყურს კორნელოვის თითოეულ მოძრაობას, ჰკითხა:

— ამხანაგო პოლიკოვნიკო, შევამოწმებ ნიწათელ ვაღამწვარი იყო თუ არა.


— რა საჭიროა? — აიჩინა მხრები კორნელოვმა. — შენ გგონია, სინათლე თუ გადაიწვა, ერთი ღერია საკმარისი? მერე თეთრი დამეებიც არ გათავებულა... — კორნელოვმა სამმარტელოში დარეკა, მდივანქალს სთხოვა, სასწრაფოდ მოძებნე ბელიანნიკოვი.

„ვინ ეწეოდა ჩიბუხს?—ხილკოვი მხოლოდ „ბელემორს“ ეწეოდა. ან იქნებ ხანდახან ჩიბუხითაც იქცევდა თავს? ოთახში ჩიბუხის არავითარი კვალი არ ჩანს. სამზარეულოში პაპიროსის ნაშვავებია. კეთილი, დაველოდოთ ბელიანნიკოვს...“ — კორნელოვმა დაიჩოქა და ყურადღებით დაიწყო ხალიჩის დათვალიერება. სანტიმეტრობით მოსინჯა. ჯილდოდ მიიღო თამბაქოს რამდენიმე ნაფშვენი. წვრილი კი არა პაპიროსისა რომ არის, არამედ მსხვილი, მოგრიძო. სწორედ ისეთი როგორიც ჩიბუხის თამბაქოსია ხოლმე. „კეთილი, კეთილი, — ჩურჩულებდა იგორ ვასილის. ძე. — ეს უკვე მეტია, ვიდრე რაღაც... ეს უკვე სამხლია“. მან თამბაქოს ნაფშვენები ქალღელში გაახვია.

ტელეფონი აწკარუნდა. ბელიანნიკოვი რეკავდა ციხიდან.

— ეს-ეს არის დავამთარე საუბარი მაგლაჭუნასთან, — მოახსენა მან. — არის ზოგა რამ საინტერესო...

— საინტერესოზე მერე ვილაპარაკოთ, — შეაწუვეტინა მას იგორ ვასილის ძემ. — ესხლა ხელახლა მიდით მასთან და გამოარკვეთ, ხილკოვის ნაცნობებიდან ვინ ეწეოდა ჩიბუხს. ახავე საკითხზე ელაპარაკეთ დავროვას და ჰკითხეთ, ხანდახან თავად ხილ-



კოვი ხომ არ იქცევდა ჩიბუხით თავს. ამას გარდა შეეკითხეთ ლავროვას, ხომ არ უღლებდა ხოლმე ბინას თავის მეგობარს. თუ უღლებდა, როდის იყო ეს უკანასკნელად? და ხომ არ ეწეოდა პაპაროსს, აბა, სწრაფად, სწრაფად, — კორნილოვს უნდოდა ყურმილის დაღება, მაგრამ ისევ მიაპყრო თვალი ცარცის ხილუეტს იატაკზე. ყური მივდე, ყური იური ევგენის ძვე, გამოძიებულთან ერთად ჩხრეკის დროს გვამს არ შენებხართ?

— როგორ არ შეგნებხართ... — ვაოცდა ბელიანჩიკოვი. სასამართლო მედიცინის ექსპერტმა ვადაბარუნა...

— მაგას არ გეკითხები... გვამის ქვეშ იატაკის ცალფიცრები არ დაგიტვალთიერებიათ?

— არა, — სწრაფად მთუგო ბელიანჩიკოვი, თითქოს რაღაცას მისვლო.

— კეთილი. ველი ზარს. შეასრულეთ დავალება.

კორნილოვმა ყურიმილი დაადგო და შეწუხებულმა დახედა საათს. სამის ნახევარი იყო. „არაუშავს, დრო ტყუილდებარაოდ არ დაგვიხარჯავს. მივუვეთ ამ ძაფს!“

— იქნებ რამეა ვასკები, ამხანაგო პოლკოვნიკო? — ჰკითხა ვასეჩენინმა.

— გმადლობთ, — გაიღიმა კორნილოვმა. — ჭრჭერობით არაფერი. ცოტანანს კიდევ მოიწუენთ. ცოტადა დარჩა. იგი მოჭადოებულობით მისჩერებოდა ხილკოვიდან დარჩენილ ცარცის ხილუეტს. შემდეგ დაიჩოქა და უურადღებით შეამოწმა დროსიგან ჩაშავებული პარკეტის დიდი ფილები, რომლებიც კარგად იყო ერთმანეთზე მორგებული. მათ შორის მრავალი წლის ჩატკეპნილი მტვერი ჩარჩენილიყო. და მხოლოდ ერთი ფილის ირგვლივ იკვეთებოდა ღრიტოები უფრო შესამჩნევად.

— ნიკოლოზ თანახსნს ძვე, მომიტანეთ დანა ან ჩანგალი, — სთხოვა კორნილოვმა ვასეჩენინს.

პარკეტის ფილა ადვილად ამოვარდა. მის ქვეშ რაღაცა იდო შენვეული.

ელისტრატოვი ვაოცებული უყურებდა. როგორი სიფრთხილით ვახსნა იგორ ვასილის ძემ პაკეტი, ამოიღო საბჭოთა ფულის დიდი დასტა და უფრო თბილი დასტა — მწვანე ვაზინთული დოლარებისა. თვარმეტი ათისი მანეთი და სამას ცამეტი დოლარი აღმოჩნდა. სულ ვაცვეთილი ერთდოლარიანი ბანკნოტები იყო.

ნახევარი საათის შემდეგ ბელიანჩიკოვმა ისევ დარეკა.

მაჯალაჭუნამ განაცხადა, ხილკოვს ჩიბუხი არახდროს არ მოუწევიაო. მხოლოდ ბელო-

მორს ეწეოდა. ხილკოვის ნაცნობებიდან არავინ ევლუბა ისეთი, ვინც ჩიბუხს ეწევა.

სამმართველოში რომ დაბრუნდა, კორნილოვი ძალზე ცუდად გახდა. თავი აღარა ტკიოდა, მაგრამ ტყუილად ლაუმიძადა. თითოეული სიტყვა, თითოეული მოძრაობა ურუ ტკივილს იწვევდა თავში. ოფლში იწურებოდა და ვერ მიმხვდარიყო რისგან — ცხელოდა და იმის გამო, თუ სიცხემ აუწია. მაგრამ ვაციება ამ თბილ ამინდში? მან ხელი დაიღო პულსზე. წამის ისარს დახედა და თვლა დაიწყო. თვალთ დაუბნელდა და ისარს ძლივსადა ხედავდა. მაგრამ მხედველობა დაძაბა და მანც მოახერხა ბოლომდე დათვლა. მაჯისცემა ასოცი იყო. კორნილოვს უცხად ვახსენდა სტრიქონები:

„მაჯის ცემა ასოცია, გულის პარკუტი ჩათრეულია, თუ სუნთქვა შეეკვრა — შეუშხაპუნეთ ან ეს...“

ახეთ დროს ავად ვახდომამი ორი კვირის განმავლობაში საქმე ზოზინით მიდიოდა, ხელიდან გვისხლტებოდა. ახლა უცხად ადგილიდან დაძრა საშინელი სიჩქარით. თითქოს ტბის სიღრმეში ჩავდებულნი ბადე, დრომდე რომ იმალებოდა მშვიდი ზედაპირის ქვეშ, ახლა გამოსწიეს წყალმარხობაზე და უკვე მოჩანს რა გამაღლები მოძრაობენ და ამღვრევენ წყალს ქარიყლაბები, და მხოლოდ თავად ჩანთა არა ჩანს, მაგრამ გული უკვე მოუთმენლად ძგერს მდიდარი ნადავლის მოლოდინში.

— არა, არა, — უმეორებდა კორნილოვი თავის თავს. — ავადმყოფობა დაუშვებელია! ცოტა კიდევ და ჩვენ ვიპოვით შავ ცხენს, ამ უცნობს. — მას ექვი არ ეპარებოდა, ხომ ხილკოვის მკვლელი მანქანების გატაცებაშიც მონაწილეობდა.

კაბინეტში ბუგავემა შემოიხედა და იმის მოყოლა დაიწყო, რომ უფროსმა უგოვემა დაწვრილებითი ჩვენება მისცა რვა მანქანაზე. მაგრამ კორნილოვმა შეაჩერა იგი.


— სენია, ეს უველაფერი ძალიან საინტერესოა, მაგრამ მე კი არა, ბელიანჩიკოვს მოუხუვი. უველაფერი მოუხუვი! მგონი მე, საქმიდან ვითიშები...

ბუგავემა ვაოცებით შეხედა კორნილოვს და იგორ ვასილის ძე მიხვდა, რომ ალბათ ძალზე ავადმყოფურად გამოიყურებოდა. ჭუგავის თვალბეჭეტი ვაოცება უცხად შეცვალა თანაგრძნობა. თანაგრძნობას კი კორნილოვი ვერ იტანდა.

სენია, ვამიგე? წვრილმანები წერილობით. მოუსვი იური ევგენის ძესაკენ.

ბუგავევი გავარდა. კორნილოვმა დარეკა ციხეში, რომ ლავროვა მოეყვანათ და დაამი-

რა ჩაის დადგმა, მაგრამ დონე აღარ იყო. იგი რაც შეეძლო მოხერხებულად მოთავსდა სავარძელში და თვალები დახუჭა. ტელეფონი აწკრილდა, მაგრამ იგორ ვახილის ძე არ აღებდა ყურმილს. მას ეჩვენებოდა, თითქოს წკარუნის ხმა თანდათანობით კლებულობდა... არ დამავიწყდეს ბიჭებს ვუთხრა, რომ დაკითხონ ფოსტალიონები და სასწრაფოდ მოძებნონ ამ ქალის ქმარი, მივლინებაში რომ წასულა... შემდეგ დედა გაახსენდა. „ისევ დაიწყება მისი გაქირვება. ეს-ეს არის შინ მოვიყვანე და თავად გავხდი ავად. იქნებ ლაზარეთში დაწოლა სჯობს? რა დამემართა, რას ავწუწუნდი? რამდენიმე დღეს ვიწვები და ამით გათადებება ჩემი ავადმყოფობა“.



მოიყვანეს ლავროვა. ძალზე ქერა სწორი თმა მხრებამდე ჩამოშლილი. დიდი ნამტირალევი თვალები, ვიწრო სახე, სახის მკრთალი ფერი, ოდნავ გაყოფილი ცხვირის წვერი არ აუშნოვებდა.

— სიმართლის თქმას აპირებთ თუ არა? — პირდაპირ, უშესავლოდ მიახალა კორნილოვმა. ლავროვამ სასწრაფოდ დაუწინა თავი და ძალიან ჩუმად, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— ვაპირებ. ახლა აღარაფერი მაქვს დასამალავი... — სახე აუთრთოლდა, ცხვირსახოცი ამოიღო, მაგრამ თავი შეიკავა და არ ატირდა.

— ევგენის ჰყავდა ნაცნობები, რომლებიც ჩიბუხს ეწვოდნენ?

ქალი ვერ მიხვდა და გაოცებით აიჩჩი მხრები.

— ჩიბუხს, ჩიბუხს თუ ეწვოდნენ მისი მეგობრები, ნაცნობები?

— არა, არ შემინინუნავს. — იგი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე უარის ნიშნად გაიქნია თავი.

— ვისთან მეგობრობდა ხილკოვი?

— მაჭლაჭუნასთან, — თქვა მან და დაიბნა. — ლიტკინთან, ერთად მუშაობდნენ. ფელიქს ნიკოლაევთან, გიორგი უგოვეთან.

— ცნობილია თუ არა თქვენთვის, სად არის ახლა ფელიქს ნიკოლაევი?

— წასულია. მაგრამ სად — არავინ იცის.

— რატომ ფიქრობთ, რომ წასულია.

ლავროვამ უცბად ჩურჩულით დაიწყო ლაპარაკი:

— მისმა ცოლმა მითხრა, დუსიამ საიდუმლოდ. ეს მან ურჩია ფელიქსს. შეეშინდა, რომ ჩასვამდნენ. მეც მითხრა: გალკა, სადმე წადი სამუშაოდ, თორემ ხათაბალაში გაებმებო. და აი, გავუბი კიდეც.

— ხილკოვს თუ ელაპარკეთ ამის შესახებ?

— არა, რას ამბობთ! შეშინდა ლავროვა... როგორ შეიძლება.

— ხილკოვის სახლში მეგობრები თუ ყუფილან?

— ბევრჯერ.

— რომელიმე მათგანი ხომ არ გეარსიყვებოდა?


— არა, რას ბრძანებთ! ყველას თავისი გოგო ჰყავდა. უწინას ისე ვუყვარდი... — ქალმა უცბათ წამოიძახა ვაიო და შეშინებულმა შეხედა კორნილოვს — იცით, ერთი ჩიბუხიანი მიწასავს...

— აბა, აბა, — ყურები ცქვიტა კორნილოვმა. — განაგრძეთ მოყოლა.

— უწინა ხანდახან მიდიოდა და არ მიუბნებოდა თუ სად. გესმით... მე მეგონა კიდეც სხვა ქალი ჰყავდა. ვინმე მეძავი.

კორნილოვს შეაფრჟოლა. რა უზამსოდა გაისმა ეს სიტყვა: როგორ არ შეესაბამებოდა იგი ლავროვას ლამაზ სახეს.

— ერთხელ გადავწყვიტე ავდევენბოდი, — კორნილოვის ყურადღება და გადაციცება, როგორც ჩანს, მასაც გადაედო, იგი აღელდა და მოუჩქარა: — ავედევენ. ნევის რაიონში, ბროსბეტკლე ვადმოვდა, შევიდა მოსახვევში... სახლი არ მახსოვს... არა ნომერი... მეოთხე სართულზე დარეკა. ხმა არ გამიგონია. ერთი სართულით ქვევით ვიდექი. შემდეგ მეზუღოზე ავედი. ვიფიქრე, მოვუცდი — ის რომ გამოვა, მე შევად ბინაში მეთქი, თითქმის მაშინვე გამოვიდა, წვირიან მოხუც კაცთან ერთად. მოხუცს ჩიბუხი ჰქონდა პირში გაჩრილი. ისეთი კარგ



სუნი იდგა. ეს გაინტერესებთ? — ჰკითხა მან მამიძემ.

„მერე და როგორ!“ — გაიფიქრა იგორ ვასილის ძემ.

— მერე, მერე?

— ხალამოთი განარებულმა ვუთხარი ყველაფერი უენიას. მან კი მცემა. მითხრა: „ფიქრიც აღარ გაბედო იმაზე, რაც ნახე“.

— ჩემო კარგო, ამ ბინის ჩვენება თუ შეგიძლია? — თითქმის აღერსიანად ჰკითხა კორნილოვმა.

შემიძლია. კარგი მენსიერება მაქვს, — მიუგო ლავროვამ.

კორნილოვმა გამოუძახა მდივან ქალს.

— ბელიანიოკოვი, ბუგაევი! სასწრაფოდ!

— მანქანებზე არაფერს შემეკითხებით? — რატომღაც შეშფოთებით ჰკითხა ლავროვამ.

— შემდეგ, შემდეგ... — კორნილოვი ნერვულად აკაკუნებდა თიარებს მაგიდაზე თანამშრომლების მოლოდინში. — გამომძიებელი ბევრ რამეს გკითხავთ. წინ სომ ბევრი დრო გვაქვს. თქვენცა გაქვთ დრო დაუჭიკებისთვის...

— დიახ, დიახ, — აჩქარებით მიუგო ლავროვამ. — ყველაფერს მოგიყვებით. ყველაფერს, ყველაფერს...

შემოვიდნენ ბელიანიოკოვი და ბუგაევი. ლავროვა გაიყვანეს.

კორნილოვმა ლავროვას ჩვენება გააცნო და ჰკითხა:

— ამოცანა ნათელია? ბელიანიოკოვმა თავი დაუქნია. — რაც შეიძლება მეტი ხალხი წაიყვანეთ ყველაფერში იგრძნობა რომ გამოჯაგული წვეგროსნის საქმეა. შინ დამირეკეთ. მგონი ავად ვხვდები. — გაიფიქრა: „რა კარგია, რომ ასეთი ბიჭები მყავს“.

შინ სიცხე გაიზომა, 89° ჰქონდა. დედა შემოვოტდა, აფუფხუსდა.

— არა უშავს, რა არ გადამხდენია თავს, — ჩემად წაიბუტბუტა იგორ ვასილის ძემ და მერე დედას მიუბრუნდა: გავუძღვებთ! მთა-

ვარი ახლა, დედა, ძილია. ძილი ყველა ავადმყოფობის მკურნალიაო, ეს დამტკიცებულა.

მან ასპირინის ორი ტაბლეტი ერთად გადაუღება, ერთი ბოთლი „ბორჯომი“ — დალია და ღოგინში ჩაწვა. ტელეფონი ტუმბოზე თავთან დაიდგა. ტკბილად ჩათვლიმა. თავი ტუყიასავით რომ არ დამძიმებოდა და სისხლის პულსირებას არ შეეწუხებინა, ქვეყნად ყველაზე ბედნიერ კაცად ჩათვლიდა თავს. ასე იწვა ერთხანს. შესაძლოა, ერთ საათს. ძილი არ ეკარებოდა, შემცივნება დაეწყო. კორნილოვს ესმოდა, რა სიფრთხილით დადიოდა დედა ბინაში, შვილი რომ არ შეეწუხებინა. ცივ ხელს შუბლზე ადებდა, რაღაცას ბუტბუტებდა. მან ფანჯრები დახურა, ოთახში ჰაერი შეიხუთა. იგორ ვასილის ძემ გაიფიქრა ვეტყვი ამის შესახებო, მაგრამ მშვიდა თვლემის მდგომარეობიდან ვერ გამოვიდა და თან ეზარებოდა კიდევაც. მას გაახსენდა შორეული თბილი ღამე, ზღვისა და ნაძვის სურნელებით გაჟღენთილი. და პატარა ავარკისკენ მიმავალი ვიწრო რბილი ბილიც... იცოდა, რაც მოხდებოდა შემდეგ, ყველა წვრილმანი იცოდა და დაიძაბა კიდევაც თავისი ხმაჩანლიერი წამოყვირების მოლოდინში, ეშინოდა და თან ნებისყოფას ძაბავდა ამ მოგონების თავიდან მოსაშორებლად, მაგრამ ვერ შესძლო.

ამ დროს დაიწკარუნა ტელეფონმა. ბელიანიოკოვის წყნარი და მშვიდი ხმა მეტისმეტად მშვიდადაც კი ისმოდა შორიდან. იგორ ვასილის ძემ მის ხმაში კარვად შენიღბული სიხარულის ნოტები შეამჩნია, უფრო მეტიც — გამარჯვების ნოტები.

— ბინა ცარიელი დავსვდა. ეტყობა, პატრონმა სამუდამოდ დატოვა იგი რამდენიმე საათობ ადრე ჩვენს მისვლამდე, — მოახსენებდა იური ევგენის ძე. და კორნილოვს ცოტა არ იყოს გაუკვირდა — რა ახარებდა? — ჩვენ ვიპოვეთ მისი ითების ანაბეჭდები. ეს „უურუშუმელა“, ამხანაგო პოლ-პოლკოვნიკო!

(დასასრული მორიგ ნომერში)

ზიორგი ცქიტიშვილი—65



საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილეს გიორგი ცქიტიშვილს დაბადების 65 წელი შეუსრულდა.

ბავშვობა გ. ცქიტიშვილმა თბილისის მუშათა გარეუბანში, რკინიგზელის ოჯახში გაატარა. სანიმუშოდ სწავლობდა, ხატვაც ეხერხებოდა.

1928 წელს დამთავრა თბილისის რკინიგზის მე-8 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო პროფტექნიკურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო ზეინკალ-მექანიკოსის წოდება. 1926 წლიდან ლენინური კომკავშირის რიგებშია. მისი თაობის კომკავშირელები ბევრი სასარგებლო საქმის წამოიწყები იყვნენ. ვინ მოთვლის რამდენ კეთილშობილურ საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობდა. მოღვაწეობდა კომკავშირულ, შემდეგ პარტიულ სამუშაოებზე, იყო კომკავშირის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. 1946 წელს აირჩიეს პარტიის თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პირველ მდივანად, ხოლო 1953 წლიდან — ჯერ ოქტომბრის,

ხოლო შემდეგ ლენინის სახელობის რაიონის რაიკომის მდივანი. გიორგი დაუსწრებლად ამთავრებს საკავშირო იურიდიულ ინსტიტუტს და მუშაობას იწყებს მართლმსაჯულების ორგანოებში, ჯერ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ, შემდეგ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ, 1970 წლიდან კვლავ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ.

მრავალჯერ იყო არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატად. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

გ. ცქიტიშვილი თავის აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას უთავსებს ხელოვნების სიყვარულს. იგი ლითონმქანდაკეებელია: ხელოვნებამ მრავალი მეგობარი შესძინა, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. მას იცობენ პოლონეთში, ინდოეთში, ფინეთში, საფრანგეთში, ამერიკაში და ა. შ.

გ. ცქიტიშვილმა ამერიკელი მხატვრის ანტონ რეფრეჟიუს სურათი „მშვიდობა“ სპილენძზე გამოაქანდაკა და ჟურნალ „ოგონიოკის“ საშუალებით საჩუქრად გაუგზავნა. მალე ამერიკიდან წერილი მოვიდა: „ძვირფასო გიორგი კონსტანტინეს ძეგ... თქვენი ჭედურობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც ჩემზე, ასევე ჩემს მეგობარ მხატვრებზე, ახლაც ჩვენს სახლში ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი გამოსახულებაა. იგი ჩვენი ოჯახისათვის ყველაზე მძიმე პერიოდში მივიღეთ. მაშინ ტრაგიკულად დავეღუპა უმცროსი ვაჟი. ამ მძიმე განცდის შემდეგ თქვენმა საჩუქარმა პირველი სიხარული მოგვიტანა... რამდენიმე წლის

წინათ გიყავი საქართველოში და ვიმედოვნებ ოდესმე კვლავ ვეწვევი მას“.

ამერიკელმა მხატვარმა ახალი ნამუშევარი გამოუგზავნა გიორგის, რომელიც დაღუპული ვაჟის მოსაგონებლად შეუქმნია. გ. ცქიტიშვილმა ისიც სპილენძზე გააცოცხლა.

მის სტუმართმოყვარეობას და ხელოვნებას გულწრფელ ხოტბას ასხამს კალიფორნიის შტატის მთავარი პროკურორი — ეველი ჯ. იანვერი.

გ. ცქიტიშვილის ხელოვნებაზე აუწყებს თავის მკითხველებს გერმანული ჟურნალი „ფროე ველტი“ 1973 წლის მეოცე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში.

რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის გ. ცქიტიშვილს მინისტრის ბრძანებით გამოეცხადა მადლობა და დაჯილდოვდა ფულადი პრემიით.

ლ. ზანტურიცა.

* * *

27 ოქტომბერს უმარავმა ხალხმა მოიყარა თავი საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში. აქ მოვიდნენ იუსტიციის ორგანოების მუშაეები, რესპუბლიკის ცნობილი იურისტები, ხელოვნებათმცოდნეები, ლითონმქანდაკელები, რათა ერთხელ კიდევ გამოეხატათ თავიანთი პატივისცემა იურისტი ხელოვანის მიმართ, ვინც უდიდესი სიყვარულით ემსახურება ჰედღური ხელოვნების უფაქიზეს საქმეს.

ამ დღეს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების სამართლის სექციამ შემოქმედებითი შეხვედრა მოუწყო თვითნასწავლ მხატვარს, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილეს გიორგი კონსტანტინეს ძე ცქიტიშვილს. აქვე მოუწო მისი მხატვრული ნამუშევრების გამოფენა, რომელიც დიდი ინტერესით დააფასულიერეს შეხვედრის მონაწილეებმა.

შეხვედრა გახსნა აღნიშნული საზოგადოების სამართლის სექციის პრეზიდენტმა პროფ. გ. უჯანიამ, რომელმაც დიდი სიამოვნება გამოთქვა იმის გამო, რომ გ. ცქიტიშვილი ასეთი სიყვარულითა და ენერგიით ქმნის ნამდვილ ხელოვნებას. მისი ნამუშევრები განსაკუთრებულია ჰუმანიზმით და მათი მხატვრული ღირსება ნამდვილად სტილდება ჩვეულებრივი მოყვარულის შემოქმედებას, რადგან ავტორს არასოდეს ღალატობს მხატვრული კომპოზიციისა და ფორმის გრძნობა.


შეხვედრაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ხელოვნებათმცოდნე, იურისტმა გ. ხარატიშვილმა. მან ილაპარაკა ძველ საქართველოში ჰედღური ხელოვნების დიდ კულტურაზე და

უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში მისი აღდგენა-განახლების შესახებ, იმაზე, თუ რადიდი ყურადღება ექცევა ჩვენში მის განვითარებასა და გავრცელებას.

— იურისტმა გ. ცქიტიშვილმა — თქვა მომხსენებელმა — ამ საპატიო საქმეს 1970 წლიდან მოჰკიდა ხელი და საკმაო წარმატებასაც მიაღწია. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა 1976 წელს მისი ნამუშევრები ირანის, ინდოეთის და თურქეთის მხატვართა ნამუშევრებთან ერთად გამოფინა ბათუმის მეზღვაურთა კლუბში. გ. ცქიტიშვილის ჰედღურობა ამშვენებს კიევის ქორწინების სახლს, ცნობილი ამერიკელი მხატვრის ანტონ რეფერტიეს და კალიფორნიის შტატის მთავარი პროკურორის ეველ იანვერის სამუშაო კაბინეტებს.

გ. ცქიტიშვილის პორტრეტი და მის ნამუშევართა ფოტოილუსტრაციები ვრცელი წერილით („მინისტრი და მხატვარი“) ახლანდღიბედა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალ „ფრაიე ველტ“ში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართველი იურისტის ჰედღურობის შესახებ ბეგრჯერ დაიწერა წერილები როგორც ცენტრალურ, ისე რესპუბლიკურ პრესაში, უფრო ნათელი გახდება მისი ოსტატობის მაღალი დონე.

— საერთოდ, თვითნასწავლ ხელოვანთა შემოქმედება — განაგრძობს გ. ხარატიშვილი — უმეტეს შემთხვევაში პრიმიტიულია. ამას ვერ ვიტყვივით გ. ცქიტიშვილის ნამუშევრებზე. მას თუ თვითნასწავლ ხელოვანად ვთვლით, მხოლოდ იმიტომ, რომ არ უსწავლია სპეციალიზებულ სასწავლებელში, თორემ მხატვრული დონით მისი ნამუშევრები თამამად შეიძლება დავაყენოთ ჰედღურობის



პროფესიონალ ოსტატთა ნამუშევრების გვერდით.


საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის მდივანმა, ცნობილმა ფერმწერმა გ. ქუთათელაძემ მაღალი შეფასება მისცა გ. ცქიტიშვილის ნამუშევრებს და ფრიად სასიამოვნო მოვლენად მიიჩნია ის ფაქტი, რომ იურიდიული ფრონტის პასუხისმგებელი მუშაკი ასეთი სიყვარულით ემსახურება ქართულ ხელოვნებას. მან კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ გ. ცქიტიშვილის სახით ქართველ მხატვრებს შეემატათ საკმაოდ ჩამოყალიბებული ოსტატი.

სიტყვებით გამოვიდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების

პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი, სოციალისტური შრომის გმირი ე. სამარგველიანი, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი გ. რუხიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ლორია, რომლებმაც შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს გ. ცქიტიშვილს.

დასასრულს გ. ცქიტიშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ მისი შრომის მაღალი შეფასებისათვის და თქვა, რომ კვლავაც ჩვეულ სიყვარულით, უდიდესი პასუხისმგებლობით გრძნობთ იშრომებს, რათა მისმა ნამუშევრებმა დიდი სიამოვნება მოუტანოს ხალხს.

ქაქავაძე, გიორგი. მოქალაქე



საქართველოს სსრ დამსახურებულ ექიმს, დოცენტ რამაზ რაქდენის ძე გვეტაძეს შეუსრულდა დაბადების სამოცი და სამეცნიერო-პედაგოგიური და საექსპერტო მოღვაწეობის 38 წელი.

რ. გვეტაძე დაიბადა 1917 წელს, სოფ. საჭარაში (ზესტაფონის რაიონი), ცნობილი მწერალის და საზოგადო მოღვაწის რაქდენ გვეტაძის ოჯახში.

1924 წლიდან სწავლობდა თბილისის I საცდელ-საჩვენებელ სკოლაში, სადაც მიიღო შვიდწლიანი განათლება, შემდეგ კი სწავლობდა ინდუსტრიალურ ტექნიკუმში და მოზრდილთა ათწლიეში, რომელიც დაამთავრა 1934 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1939 წელს და ჩაირიცხა სასამართლო მედიცინის კათედრის ასპირანტად. 1941 წლიდან

მუშაობას იწყებს ამავე კათედრის ასისტენტად. 1941-1945 წლებში მონაწილეობს დიდ სამამულო ომში. 1946 წელს დემობილიზაციის შემდეგ ბრუნდება სასამართლო მედიცინის კათედრაზე ასისტენტად, ერთდროულად მუშაობს ჯერ თბილისის გარეუბნის (დღევანდელი გარდაბნის) რაიონის, შემდეგ თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სასამართლო სამედიცინო ექსპერტად. 1952 წლიდან განაგრძობს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შთავარი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს თანატოლოგიურ განყოფილებას, ხოლო 1960 წლიდან, ამავე ბიუროს უფროსია.

რ. გვეტაძემ 1966 წელს დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად და გადავიდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში სამუშაოდ. 1968 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება. 1955 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ხელმძღვანელობს სასამართლო მედიცინის კურსს.

რ. გვეტაძე 38 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთა შორის მნიშვნელოვანია უცარი სიკვდილის სხვადასხვა საპრობლემო საკითხებზე გამოქვეყნებული შრომები და ორი მონოგრაფია. მისი ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია.

რ. გვეტაძე სამეცნიერო-პედაგოგიურ და პრაქტიკულ მუშაობას ათავსებს საზოგადოებრივ საქმიანობას, არის საქართველოს სასამართლო მედიკთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, საკავშირო სასამართლოს მედიკოსთა სამეცნიერო სა-

ზოგადობის გამგეობის წევრი, საქართველოს პათოლოგანატომთა საზოგადოების წევრი და სხვ. მონაწილეობს სასამართლო მედიკოსთა ყველა საკავშირო და რესპუბლიკანურ სიმპოზიუმებში, კონფერენციებსა და ყრილობებში. სასამართლო საგამოძიებო მუშაკთა შორის ხშირად კითხულობს ლექცია-მოხსენებებს სასამართლო მედიცინის აქტუალურ საკითხებზე.

რ. გვეტაძე მაღალკვალიფიციური, ენერგიული, უანგარო, დაუღალავი მუშაკია. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს სასამართლო სამედიცინო ექსპერ-

ტიზის ბიურო კავშირში მოწინავეთა შორისაა.

ხანგრძლივი, უმწიკვლო მუშაობსათვის რ. გვეტაძე 1961 წელს დაჯილდოებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სიგელით, 1964 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის წოდება, 1967 წელს დაჯილდოებულ იქნა „ჯანმრთელობის ფრიადოსნის“ სამკერდე ნიშნით, ხოლო 1976 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულ იქნა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

ქონებრივი ურთიერთობა ოჯახში*

საბჭოთა ოჯახის შემდგომ განმტკიცებას ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა. სხვადასხვა ხასიათის სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად საბჭოთა სახელმწიფო ამისათვის ფართოდ იყენებდა საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებაზე ზემოქმედების მძლავრ საშუალებას — სამართალს.

საოჯახო ურთიერთობებს, უწინარეს ყოვლისა, საოჯახო სამართალი აწესრიგებს, მაგრამ ოჯახის განმტკიცების მიზნებს ემსახურება აგრეთვე სამოქალაქო, შრომის, საფინანსო სამართლისა და სისხლის სამართლის ნორმებიც.

შ. ჩიკვაშვილის ნაშრომი ეძღვნება ოჯახში წარმოშობილი ქონებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების პრობლემებს.

სარეცენზიო წიგნში განხილული მთელი რიგი საკითხები საკმაო სისრულთ არის დამუშავებული საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, მაგრამ ისინი შეისწავლებოდა ან საოჯახო სამართლის ან მართლმადიდებლურ სამოქალაქო სამართლის პოზიციებიდან. მათგან განსხვავებით სარეცენზიო ნაშრომი კომპლექსური გამოკვლევაა. მასში განხილულია როგორც ისეთი ქონებრივი ურთიერთობები, რომლებსაც აწესრიგებს საოჯახო სამართალი, ასევე ოჯახის წევრთა შორის წარმოშობილი დავებიც, რომლებიც სამოქალაქო სამართალი რეგულირდებდა, მაგრამ ამ ურთიერთობის მონაწილეთა ოჯახური კავშირების გამო მათ განსაკუთრებული ხასიათი ენიჭებათ. ეს სარეცენზიო ნაშრომის ერთ-ერთი უდავო ღირსებაა.

ნაშრომში განხილულ საკითხებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. ბუნებრივია, რომ კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის უანალიზოდ მათი სრულყოფილად გადმოცემა შეუძლებელია. ავტორი კარგად იცნობს სასამართლო პრაქტიკას და შესაბამის კანონმდებლობას, რამაც მას საშუალება მისცა წარმატებით გადაეწყვიტა მის წინაშე მდგომი რთული ამოცანა. ფიქირობთ შ. ჩიკვაშვილის ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს მართლმსაჯულების ორგანოების პრაქტიკულ მუშაებს წამოჭრილი დავების სწორად გადაწყვეტაში.


სარეცენზიო ნაშრომი დაწერილია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რასაც

აქვს არა მარტო წმინდა შემეცნებითი, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც. საქმე ის არის, რომ ერთი მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა სავალდებულო არ არის სხვა რესპუბლიკისათვის, მაგრამ როდესაც ამა თუ იმ რესპუბლიკის სამართალშემფარდებელი ორგანოს წინაშე წამოიჭრება რომელიმე პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტილის აუცილებლობა, რომელიც ამ რესპუბლიკის კანონმდებლობით დეტალურად არ არის მოწესრიგებული, მაშინ იმის ცოდნას, თუ როგორ არის ეს საკითხი გადაწყვეტილი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით, უდავოდ აქვს მნიშვნელობა. ნაშრომში პოზიტიურადაა გამოყენებული საბჭოთა იურიდიული მეცნიერების მიღწევები, თუმცა ავტორი კრიტიკულად განიხილავს ლიტერატურაში გამოთქმულ ისეთ შეხედულებებს, რომლებიც სადავოა და არასაკმაოდ არის დასაბუთებული.

ნაშრომში ჩამოყალიბებული დასკვნები და წინადადებები ხელს შეუწყობს კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფასა და პრაქტიკის გამჯობესებას. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, მაგალითად, ავტორის მოსაზრება, რათა საკანონმდებლო წესით განმტკიცდეს ის დებულება, რომ მეუღლეთა საერთო თანაზიარ საკუთრებად ჭავხადით ხელფასი მისი ერთ-ერთი მეუღლის მიერ ფაქტურად მიღების მომენტთან. იმავდროულად უარს უნდა ვთქვათ ქორწინებაში მეუღლე მეუღლეთა ურთიერთ სალიმენტო ვალდებულებებზე, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით. საკვებით სწორ მოსაზრებას აწვთარებს ავტორი დამქირავებლის ოჯახის წევრთა შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ (გვ. 124-125). საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 296-ე მუხლის თანახმად დამქირავებლის ოჯახის წევრებად ითვლებიან დამქირავებლის მეუღლე, მათი შვილები და შშობლები. სხვა ნათესალები შეიძლება ცნობილ იქნენ დამქირავებლის ოჯახის წევრებად, თუ ისინი დამქირავებელთან ერთად ცხოვრობენ ან მასთან ერთად ეწევიან საერთო საოჯახო მეთურნობას. ანალოგიურად წყდება ეს საკითხი რასფსრ და ზოგიერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით.

ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ დამქირავებლის ოჯახის წევრთა შემადგენლობის

* III. Д. Чиквашили. Имущественные отношения в семье. «Юридическая литература» Д. М., 1976 г.



განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო ქორწინება და ნათესაობა, არამედ იმ ნიშნთა ერთობლიობა, რომლებიც ოჯახისათვის არის დამახასიათებელი: საერთო ბიუჯეტი, საერთო ოჯახური ინტერესები, ერთმანეთისადმი ზრუნვა და ა. შ. ეს ნიშნები შეიძლება ახასიათებდეს არა მარტო ნათესაეებს, არამედ დამჭირავებულთა ერთად მცხოვრებ სხვა პირებსაც. ამიტომ, 296-ე მუხლის მესამე ნაწილში სიტყვა „სხვა ნათესაეები“ მიზანშეწონილია შეიცვალოს „სხვა პირებით“ ან „სხვა მოქალაქენით“.

იურიდიულ ლიტერატურაში სადავო საკითხი ბანაში ჩაწერის იურიდიული შედეგის შესახებ. ერთიანი არ არის სასამართლო პრაქტიკაც ამის თაობაზე. ზოგჯერ ჩაწერის ფაქტს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა ბინათსარგებლობის საკითხის გადაწყვეტისას.

ამასთან დაკავშირებით ავტორი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ჩაწერა ადმინისტრაციული აქტია, რომელიც საპასპორტო რეჟიმის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარეობს. ამიტომ მას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაზე და კერძოდ საცხოვრებელი ფართით სარგებლობის უფლებაზე (გვ. 131).

საინტერესო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული ავტორს საკოლმეურნეო კომლში მეკვიდრეობასთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ საკოლმეურნეო კომლის ერთ-ერთი წევრის გარდაცვალების შემთხვევაში მემკვიდრეობა არ იხსნება და გარდაცვლილი წევრის წილი ქონება არ გამოიყოფა. მთელი ქონება კვლავინდებურად რჩება კომლის საერთო ქონებად. აქედან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი პრაქტიკული დასკვნა: საკოლმეურნეო კომლის წევრს არ შეუძლია ანდერძით ვადატეს თავისი წილი ქონება. ასეთი ანდერძი შეუძლია დატოვოს მხოლოდ და მხოლოდ საკოლმეურნეო კომლის უკანასკნელმა წევრმა.

გვჭი არ არის, რომ მეუღლეთა, შეილები-სა და მშობლების ურთიერთრჩენის მოვალეობის შესახებ, ოჯახის წევრთა შორის საბინაო ურთიერთობებისა და მემკვიდრეობის დროს ოჯახის წევრთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ნაშრომში ჩამოყალიბებული დასკვნები და მოსაზრებები ხელს შეუწყობს კანონმდებლობის ერთგვაროვნად და სწორად გამოყენებას.

წიგნში გვხვდება ზოგიერთი სადავო და არასაკმაოდ დასაბუთებული დებულებები. ზევით ითქვა, რომ ნაშრომში განხილულია ქონებრივი ურთიერთობების საკითხები

ოჯახში. უკვე ნაშრომის სათაური მიგვანშინებს, რომ ქონებრივი ურთიერთობები ოჯახში იმ ქონებრივი ურთიერთობებისაგან განსხვავდება, რომლებიც ოჯახის ფარგლებს გარეთ წარმოიშვებიან, სპეციფიკურია. ასე რომ არ იყოს ამ ნაშრომის დაწერაც არ იქნებოდა გამართლებული. მიუხედავად ამისა, ეს სპეციფიკა არ არის სათანადოდ გამოკვეთილი. ის, რომ ნაწილი ქონებრივი ურთიერთობებისა ოჯახში მოწესრიგებულია საოჯახო კანონმდებლობით, ხოლ ნაწილი — სამოქალაქო კანონმდებლობით თუმიცა მიუთითებს ამ ურთიერთობათა სპეციფიკაზე, მაგრამ არ იძლევა მათ ახსნას. ამა თუ იმ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირებისას კანონმდებელი რატომ უნდა მხედველობაში იღებს მოსაწესრიგებელი ურთიერთობის თავისებურებებს, მაგრამ კონკრეტულად თუ რაში გამოიხატება იგი, კანონში მითითებული არ არის. ეს მეცნიერთა საქმეა. ავტორს ვფიქრობთ უფრო დაწვრილებით უნდა განეხილა ეს თავისებურებანი.

ოჯახისა და ოჯახის წევრთა შემადგენლობის ცნებებს საკმაოდ ხშირად იყენებს სასამართლო. მაგრამ სასამართლის ცალკეულ დარგებს სხვადასხვაგვარად ესმით მათი შინაარსი. ბუნებრივია ისმის საკითხი: რითაა გამოწყვეული ოჯახის წევრთა შემადგენლობის ასეთი არაერთგვაროვანი გაგება სასამართლის სხვადასხვა დარგების მიერ? ამას აქვს არა მარტო თეორიული არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც: ოჯახის წევრთა შემადგენლობის სხვადასხვაგვარი გაგება გარკვეულ სიძნელეებს უქმნის სასამართლომეცნიერულ ორგანოებს და ხშირად სერიოზული ფაუტბრობისა და კონფლიქტების მიზეზი ხდება. ოჯახი სოციალური მოვლენაა და თუ სასამართლის სხვადასხვა დარგს, უფრო მეტიც, ერთი დარგის სხვადასხვა ინსტიტუტებსაც კი სხვადასხვანაირად ესმით წევრთა შემადგენლობის შინაარსი. აქ უუჭველად გარკვეული ფაქტორები თამაშობენ როლს. ავტორს უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმო იმ ფაქტორების გამოკვლევებისათვის, რომლებმაც განაპირობეს ოჯახის წევრთა შემადგენლობის არაერთგვაროვანი გაგება სასამართლის სხვადასხვა დარგებში.

ნაშრომში ნათქვამია, რომ ოჯახის წევრები შეიძლება ვახდენენ სხვადასხვა ქონებრივი ურთიერთობების მონაწილენი, რომლებიც რეგულირდება როგორც სამოქალაქო, ისე საოჯახო სამართლის ნორმებით და რომ ამ ურთიერთობების ერთმანეთისაგან გამოიჯანსაღოს სასამართლის აღნიშნულ დარგებს შორის აქვს თეორიული და პრაქტი-

კული მნიშვნელობა (გვ. 11-12). მოულოდნელად ავტორი იშველებს სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებს მე-2 მუხლს, რომლის თანახმად „საოჯახო ურთიერთობა წესრიგდება საოჯახო კანონმდებლობით“ (გვ. 12). როგორც ჩანს, იმისათვის, რომ ერთმანეთისაგან ვავშიჯნოთ ქონებრივი ურთიერთობანი, წარმოშობილი ოჯახის წევრთა შორის და ამის მიხედვით გადავწყვიტოთ საკითხი, თუ სამართლის რომელი დარგით უნდა მოწესრიგდეს ისინი, საჭიროა ამ ურთიერთობათა სოციალური არსის გარკვევა.

სადავოა ავტორის მოსაზრება ზოგიერთი კონკრეტული საკითხზე.

ცნობილია, რომ საქართველოს სსრ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წესდების თანახმად მეპაიეთა გარიცხვა შეუძლია არა მარტო კოოპერატივის წევრთა საერთო კრებას, არამედ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, მაგრამ იმ პირობით, თუ არსებობს მეპაიეთა გარიცხვის წესდებით გათვალისწინებული საფუძველი და ამის მიუხედავად საერთო კრება არ ეთანხმება აღმასკომის კანონიერ წინადადებებს. ასეთივე წესი გათვალისწინებულია უკრაინის სსრ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ტიპობრივი წესდებითაც.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორს ეს არ მიანია მართებულად, რადგან იგი ზღუდავს საერთო კრების უფლებებს დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი შინაკოოპერატიული საკითხები. (გვ. 141) სინამდვილეში აქ არ არის კოოპერატივის საერთო კრების უფლებების არავითარი შელახვა ან შეზღუდვა, ვინაიდან აღმასკომს დადგენილება გამოაქვს მინი, როდესაც უხეშადაა დარღვეული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მიზნები და ამოცანები, როდესაც სახეზეა წესდებით გათვალისწინებული ყველა საფუძველი, რათა მეპაიე გაირიცხოს კოოპერატივის შემადგენლობიდან, საერთო კრება კი რატომღაც არ ასრულებს აღმასკომის დასაბუთებულ და კანონიერ მოთხოვნას. სხვანაირად რომ ვთქვათ: ფაქტიურად საკითხი ეხება კანონიერების აღდგენას. ამასთან პირები რაგონი თვით კოოპერატივის საერთო კრებას ეძლევა შესაძლებლობა აღმოფხვრას დარღვევა და მიიღოს ზომები წესდების შესასრულებლად.

დაუსაბუთებელია აგრეთვე ავტორის მოსაზრება ბინის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის შესახებ. მისი აზრით, თუ დამქირავებელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში (ექვს თვეზე მეტი ხნით) არ ცხოვრობს ბინაში, მაგრამ სარჩელის აღძვრის დროისათვის იგი უკვე დაბრუნდა ბინაში, ეს არ არის

გამოსახლების საფუძველი. ხოლო თუ დამქირავებელი დაბრუნდა და ჩასახლდა ბინაში სასამართლოში სარჩელის აღძვრის შემდეგ, ბინის ქირავნობის ხელშეკრულება უნდა მოიშალოს (გვ. 135).

საკითხი იმის შესახებ, თუ როდის და რა პირობებში კარგავს დამქირავებელი საცხოვრებელი ბინით სარგებლობის უფლებას და როდის შეიძლება ბინის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა, მატერიალურ-სამართლებრივი საკითხია. კერძოდ, სამოქალაქო სამართლის მე-300 მუხლი ითვალისწინებს წესს, რომლის თანახმად თუ დამქირავებელი, მისი ოჯახის წევრი ან ყველა ერთად ღრობით სხვაგან იმყოფებიან საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება მათ ენახებათ ექვსი თვის განმავლობაში. ამრიგად ექვსი თვის გასლვის შემდეგ მათ ეკარგებათ ეს უფლება ისეთ პროცესუალურ მოქმედებას, როგორცაა სარჩელის აღძვრა, ან სარჩელის აღძვრის მომენტში დამქირავებლის ბინაში დაბრუნება და ა. შ. მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობა არ ენიჭება. საქმე ისაა რომ იმავე მე-300 მუხლი და აგრეთვე სამოქალაქო სამართლის სხვა მუხლები ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც დამქირავებელს უნარჩუნდება ბინით სარგებლობის უფლება ექვს თვეზე მეტი ხნით სხვაგან ყოფნის მიუხედავად. ამიტომ საკითხი შეიძლება დაისვას მხოლოდ კანონმდებლობაში კვლიდებების შეტანის შესახებ, კერძოდ იმ ვარაუდებთანაა წრის გაფართოების შესახებ, რომლებსაც კანონი უკავშირებს ბინით სარგებლობის უფლების შენარჩუნებას ღრობით სხვაგან მყოფ პირთათვის.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა წიგნი დადებითი შეფასებას იმსახურებს. იგი დასმარებას გაუწევს როგორც მართლმსაჯულების ორგანოების პრაქტიკულ მუშაეებს, ისე ამ საკითხებით დაინტერესებულ ყველა პირს.

თვით ის ფაქტი, რომ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის ნაშრომი დაისტამბა საქავშირო იურიდიულ გამომცემლობის მიერ მნიშვნელოვანი და სამწუხაროდ, იშვიათი მოკლეხანა. თუ ხედელობაში მივიღებთ აგრეთვე წიგნის მაღალ თეორიულ დონეს და პრაქტიკულ მნიშვნელობას, ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს მისი ავტორის დამსახურებაზე.

გ. იმედიანი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

თ. ლილუაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი


(გაგრძელება)

მიეცათ პრემია 50 მანეთის რაოდენობით

1. რუსულან ვახილის ასულ პიტავას — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს, იუსტიციის უმცროს მრჩეველს.
2. შაქრო ბაგრატიის-ძე მეშველიშვილს — საქართველოს სსრ პროკურატურის მსუბუქი ავტომანქანის მძღოლს.
3. ნუნუ ვახილის ასულ მირზიაშვილს — საქართველოს სსრ პროკურატურის სტატიისტიკის განყოფილების პროკურორს.
4. რომან მალხაზის-ძე პაჭკორიას — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ნაწილის უფროსს.
5. გოარ არშაყის ასულ თუმასიანს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ნაწილის უფროს ინსპექტორს.
6. ვალერი გიორგის-ძე სიაჩინს — საქართველოს სსრ პროკურატურის სპეცმანქანის მძღოლს.
7. მარგარიტა რუსტამის ასულ ხაჩატურიანს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ნაწილის მდივან-მემაწაანეს.
8. ქსენია პეტრეს ასულ შალიბაშვილს — საქართველოს სსრ პროკურატურის არქივის გამგეს.

გამოეცხადათ მადლობა

1. სოსო პავლეს-ძე არგვილიანს — ქობულეთის რაიონის პროკურატურის გამომძიებელს, მეხამე კლასის იურისტს.
2. რუსლან ალექსანდრეს-ძე გუგუჩიას — აფხაზეთის ასსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორს.
3. გივი ვლადიმერის-ძე ძაგანიას — ქ. რუსთავის პროკურორს, იუსტიციის უფროს მრჩეველს.
4. დალი გვივის ასულ იმნაიშვილს — სამტრედიის რაიონის პროკურორის თანაშემწეს, მეორე კლასის იურისტს.
5. ვახო ალექსანდრეს-ძე ყამარაულს — ყაზბეგის რაიონის პროკურორს, იუსტიციის უმცროს მრჩეველს.
6. რუბენ ბეგლარის-ძე ფორცხალავას — ცხაკაიის რაიონის პროკურორს, იუსტიციის უმცროს მრჩეველს.
7. შუშანიკ რელიტონის ასულ სიორდაის — ხობის რაიონის პროკურატურის კანცელირის გამგეს.
8. ოლე ნარდათის ასულ თავაძეს — ქ. რუსთავის პროკურატურის კანცელირის გამგეს.
9. კონსტანტინე ძაკვივის-ძე ცქვიტარაას — ქ. სოხუმის პროკურორის მადგილენს, პირველი კლასის იურისტს.
10. ვაჟა მიხეილის-ძე შენგელიას — ქ. თბილისის პროკურატურის უფროს გამომძიებელს.
11. ალბერტ აკოფის ძე აკოფიანს — საქართველოს სსრ პროკურატურის მსუბუქი ავტომანქანის მძღოლს.
12. ნანულა მიხეილის ასულ აშკარელს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ნაწილის მდივანს.
13. ანგელინა პავლეს ასულ ბაკურაძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ნაწილის უფროს ინსპექტორს.
14. ანზორ კონსტანტინეს-ძე ბალუაშვილს — საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს, იუსტიციის მრჩეველს.
15. ნორაირ ანუშის-ძე კაჯარაიანს — საქართველოს სსრ პროკურატურის უფროს ეკონომისტს.
16. კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე გუდგვანიშვილს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორს, იუსტიციის უფროს მრჩეველს.



17. გიორგი არჩილის-ძე გოკრელს — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს, იუსტიციის უმცროს მრჩეველს.
18. ვასილ არტემის-ძე გოგუაძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს, იუსტიციის უფროს მრჩეველს.
19. მარია ალექსანდრეს ასულ ჭანჭავაძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ნაწილის ინსპექტორს.
20. მიხეილ ნიკოლოზის ძე ჯაფარიძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორს, იუსტიციის უფროს მრჩეველს.
21. ევგენია თადეოსის ასულ კარაპეტიანს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ნაწილის უფროს საქმისმწარმოებელს.
22. ეთერ იაკიმის ასულ კვიციანიძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ნაწილის უფროს ინსპექტორს.
23. ლევან სევერიანის-ძე ქუთათელიაძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორს, იუსტიციის უმცროს მრჩეველს.
24. ვახტანგ დავითის-ძე ლელაძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს, იუსტიციის მრჩეველს.
25. გიორგი ივანეს-ძე მარტიროსოვს — საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელს, პირველი კლასის იურისტს.
26. მერაბ შალვას-ძე მერაბიშვილს — საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების პროკურორს, იუსტიციის უმცროს მრჩეველს.
27. გიორგი ვახილის-ძე ნუფარიძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ნაწილის მდივანს.
28. ვლადიმერ მედიკის-ძე ოვსიანიძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის მსუბუქი ავტომანქანის მძღოლს.
29. სამუელ ივანეს-ძე სიამაშვილს — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილეს, იუსტიციის მრჩეველს.
30. ტარიელ თემურაზის-ძე სუჯაშვილს — საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელს, პირველი კლასის იურისტს.
31. ოთარ სოლომონის ძე სუთიძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის კადრების განყოფილების პროკურორს.
32. ეკატერინე ნიკოლოზის ასულ ტეტრატოვას — საქართველოს სსრ პროკურატურის დამლაგებელს.
33. შალვა მიხეილის-ძე ხახანაშვილს — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს, იუსტიციის უფროს მრჩეველს.
34. ილია თედორეს-ძე ხიონიძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის საკონტროლო-საინსპექციო განყოფილებიშ უფროსს, იუსტიციის უფროს მრჩეველს.
35. ნინო გურამის ასულ ხიზანაშვილს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ნაწილის უფროს საქმისმწარმოებელს.
36. რევაზ იუსუფის-ძე ცივაძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორს, იუსტიციის უფროს მრჩეველს.
37. ვაჟა ივანეს ძე წიკლაურს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორს, იუსტიციის უმცროს მრჩეველს.
38. ანა გერასიმეს ასულ ციციკოვას — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ნაწილის ინსპექტორს.
39. კაპიტონ ბადრის-ძე ჩაკაბერიას — საქართველოს სსრ პროკურატურის საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსს, იუსტიციის უფროს მრჩეველს.
40. თინა ვარლამის ასულ ქანტურიას — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ნაწილის ინსპექტორს.
41. გიული სანდროს ასულ შერაზაძის — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ნაწილის უფროს მრჩეველს.

საქართველოს სსრ პროკურორის 1977 წლის 19 იანვარის ბრძანებით სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის სამინი-
 რებაში აქტიური მონაწილეობისათვის გამოეცხადათ მადლობა:

1. მურმან სერაფიონის-ძე გიორგობიანი — ქ. თბილისის ლენინის რაიონის პროკურორს, იუსტიციის მრჩეველს.
2. სოლომონ სერგოს-ძე ნანიტაშვილს — ქ. თბილისის კალინინის რაიონის პროკურორს, იუსტიციის უფროს მრჩეველს.
3. იასონ მიხეილის-ძე ნალირაძეს — ახალციხის რაიონის პროკურორს, მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველს.
4. ლაერტი ირაკლის-ძე დუღაშვილს — გურჯაანის რაიონის პროკურორს, პირველი კლასის იურისტს.
5. ავთანდილ სოლომონის-ძე ჯიხაძეს — ქარელის რაიონის პროკურორს, იუსტიციის მრჩეველს.
6. აკაკი საბას-ძე მამულაშვილს — ყვარლის რაიონის პროკურორს, იუსტიციის უმცროს მრჩეველს.
7. იური ნესტორის-ძე ენაღიევს — ქ. ცხინვალის პროკურორს, იუსტიციის მრჩეველს.
8. სამუელ ივანეს-ძე სიამაშვილს — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილე, იუსტიციის მრჩეველს.

იუსტიციისა და სასამართლო ორგანოებში უმჯობესო მუშაკებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, საბჭოთა სასამართლოს შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებით, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო დაწესებულებების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ:

1. თენგიზ პავლეს-ძე ჯაფარიძე — ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.
2. ვახტანგ გრიგოლის ძე უვანია — ქ. თბილისის კირილის რაიონის სახალხო მოსამართლე.
3. ნელი ვასილის ასული კობერიძე — ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.
4. მანანა ვლადიმერის ასული ქურდაძე — თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი.
5. გურამ სიმონის ძე ლილეუშვილი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსი.
6. იოსებ ანდრიახ-ძე მახარაშვილი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს არქივის გამგე.
7. გიორგი ალექსანდრეს-ძე მათიაშვილი — გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.
8. გულნარა რომანოვის ასული ფარულაძე — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსის მოადგილე.
9. ისრაფილ ფიქრის-ძე სურმაიძე — ქალაქ ბათუმის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.
10. ლაბინა ილიას ასული ცაიშვილი — ქალაქ ზუგდიდის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი.
11. ლამარა იონას ასული ჩორგოლაშვილი — თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.



ქვეყნის

რესპუბლიკური თათბირ-სემინარი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სსრ-ის დარბაზში მოეწყო სამეთვალყურეო კომისიების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელზეც მოწვეული იყვნენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან არსებული სამეთვალყურეო კომისიების თავმჯდომარეები, რესპუბლიკური სამეთვალყურეო კომისიის წევრები, შრომა-გასწორების დაწესებულებათა უფროსები, მათი მოადგილეები პოლიტნაწილში, შრომითი მოწყობის ინსპექტორები, შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული გაყოფილებების მუშაკები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთის აღკვეთიდან დაბრუნებულ პირთა შრომით და საყოფაცხოვრებო მოწყობასთან, აგრეთვე, რესპუბლიკის პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროსა და მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომლები.

თათბირ-სემინარზე წაკითხულ მოხსენებათა მარტოოდენ ჩამოთვლაც კი ნათეს სდის, თუ რამდენად საინტერესო, დროული და მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული ღონისძიება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ლ. ხბრპაძის თათბირ-სემინარის მონაწილეებს ესაუბრა სამეთვალყურეო კომისიებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების იმ ამოცანებზე, რაც გამომდინარეობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დავალებიდან.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ვ. შადუშრის მოხსენების თემა ასეთი იყო: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 4 ნოემბრის დადგენილება „დღივ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამე ცე წლისთან დაკავშირებით ამინსტიის შესახებ“ და შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სამეთვალყურეო კომისიების ამოცანები“.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ

სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და შრომა-გასწორების კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შესახებ ისაუბრა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა მ. უბრაძე-ლიძემ.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტროს საპატიმრო ადგილებისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს უფროსმა ბ. მახარაძემ დახსრეთ გააცნო თუ როგორ არის დაყენებული სამეთვალყურეო კომისიების, პროფილაქტიკის სამსახურებისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა ურთიერთმოქმედება მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდისათვის.

თათბირ-სემინარის მონაწილეთა წინაშე მოხსენებით — „პატიების საკითხებზე სამეთვალყურეო კომისიების მუშაობის შესახებ“ — გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პატიების განყოფილების გამგის მოადგილე ბ. მებრძულიშვილი.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი და გამოცდილებათა გაზიარება, რაშიც მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ჯიკუაძემ, სახალხო დეპუტატთა რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის თავმჯდომარემ ს. კვამელაძემ, შრომა-გასწორების № 2 დაწესებულების უფროსმა ბ. ხუციშვილმა, სახალხო დეპუტატების ქ. თბილისის კლინიკის რაიონის მასკომთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის წევრებმა ვ. ხბრპაძემ, შრომა-გასწორების № 25 დაწესებულების შრომითი მოწყობის ინსპექტორმა თ. მებრძულიშვილმა და სხვ.

თათბირ-სემინარის მონაწილეთა შეკითხვებს უპასუხეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეთვალყურეო კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა ვ. პაპიტაშვილმა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგემ პ. ბარძენიშვილმა.



თათბირ-სემინარის მუშაობა. შეჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგებ პ. ბაქრაძის მიერ.

თათბირ-სემინარს ესწრებოდნენ საქართვე-

ლოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ბაქრაძე და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი პ. კეიტილაძე.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

1977 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ და რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა მოაწიეს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე — „სამართლებრივი მოქმედებების ეფექტიანობის ამაღლება ადვოკატთა კოლეგიის მთავარი ამოცანაა“. იგი მიქმდებოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამე წლისთავს.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე გ. ციციშვილმა.


მოხსენებით — „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია საბჭოთა მართლმსაჯულების შესახებ“ — გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი. მან დაასახიანა მართლმსაჯულების განხორციელების თაობაზე კონსტიტუციის მე-20 თავში მოცემული დებულებებისა და პრინციპების მნიშვნელობა, ილაპარაკა, თუ როგორ განვითარდა საბჭოთა სახელმწიფოში კონსტიტუციური კანონმდებლობა მართლმსაჯულების შესახებ. 1918 წლის კონსტიტუციაში არ არის სპეციალური მითითება მართლმსაჯულების განხორციელებაზე, რადგან კანონმდებლობა ამ დარგში მაშინ ჯერ კიდევ არ იყო სრულად ჩამოყალიბებული. 1924 წლის კონსტიტუციაში სპეციალური თავი აწესრიგებდა მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს საქმიანობას. რაც შეეხება 1936 წლის კონსტიტუციას, აქ პირველად გაშლილი სახით იქნა მოცემული ისეთი ფუნქციონირების პრინციპები, როგორცაა მართლმსაჯულების განხორციელება სასამართლოს მიერ, ყველა საქმის განხილვა მსაჯულთა მონაწილეობით და სხვ.

მომხსენებელი შემდეგ ვრცლად შეჩერდა იმ სახელებზე, რაც შეიტანა ახალმა კონსტიტუციამ მართლმსაჯულების სფეროში, დამსწრეთ გააცნო თუ რა წინადადებები, პრინციპული დებულებები იქნა წამოყენებული კონსტიტუციის პროექტის სერეთა-სახალხო განხილვის დროს და როგორ იხსნა ისინი უკვე მიღებულ ახალ კონსტიტუციაში.

„ადვოკატურის ამოცანები სოციალისტური

კანონებების განმტკიცების. საქმეში სკკპ X XV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“ — ამ თემაზე ისაუბრა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. როინიშვილმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. თ. ბრეჭენვის მიერ ყრილობის მაღალტრებიუნადან აღმინისტრაციული ორგანოების ძველი და საბატიკო შრამის მაღალი შეფასება ზრდის იუსტიციის დაწესებულებათა ავტორიტეტს, სსსამართლოსა და პროკურატურის ორგანოებში მომუშავე პირთა, მათ შორის საბჭოთა ადვოკატების პასუხისმგებლობის ახალი ამოცანების შესაბამისად. ადვოკატურის საქმიანობის გარდაქმნისათვის გადაწყვეტი მიიღვენილობა აქვს მის დაკომპლექტებას საქმის მტკიცებ, თავისი პრაქტიკის მრავალფეროვანი კადრებით წინაა პრეზიდიუმში სათანადო შემოწმების გარეშე განუსაზღვრელად ღებულობდა პირებს ადვოკატურაში.

ბოლო ხანს მისი რჩევები იკვებოდა ახალგაზრდა სპეციალისტებთან. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრს რამ უნდა გაეფიქრებინათ კადრების შერჩევის, განაწილების და აღზრდის გაუმჯობესებისათვის. რატარშა მოიყვანა ფაქტები ადვოკატების მიერ სასამართლო პროცესების უმოზუოდ გაცდენებისა და სასამართლო პროცესზე ადვოკატთა უტაქტო მოქმედების შესახებ. ქალაქისა და რაიონის იურიდიული კანსულტაციების გამგებმა უფრო პრინციპულად უნდა იმსჯელოს ამ ადვოკატებზე. საჭიროა მეტრ ყურადღება მიექცეს ადვოკატურის სპეციალისტთა მუშაობას, ხელშეკრულებების საფუძველზე საწარმო-დაწესებულებებისათვის იურიდიულ დახმარების გაწევას და სხვ. წარმატებით რომ გადაწყდეს ადვოკატურის წინაშე მდგომი ამოცანები, იურიდიულ კანსულტაციასთან შექმნილი კომისიებმა და სექციებმა სრულყოფილად უნდა იმუშაონ. გამოცოცხლების საკარგებს კრიმინალისტიკისა და ცივილისტიკის სექციების საქმიანობაც. ადვოკატთა



„შემოწმება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ წასწავლას, იგი აუცილებელია წარმოებდეს კომპლექსურად. წინასწარ გამოძიებაში ადვოკატთა მონაწილეობა დამაკმაყოფილებელი არ არის. უმეტესად ისინი ამ ეტაპზე არაკვალიფიკაციის შუამდგომლობას არ აღძრავენ, ხოლო შემდგომ იმავე მასალებით არსებითი შუამდგომლობები შეაქვთ სასამართლო ორგანოებში. ადვოკატი ამ პოზიციით დაცვის გარეშე ტოვებს ბრალდებულს და აღინად არ ასრულებს თავის პროფესიულ მოვალეობას. შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა ადვოკატების ამოცანებზე დამნაშავეობის პროფილაქტიკასა და სამართლის პროპაგანდაში.

მომხსენებით — „სამართლებრივი პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა „შუქზე“ — გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. რატიანი.

სკკპ XXIV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევიმ წამოაყენა იდეოლოგიური მნიშვნელობის დებულება, რომ „სამართლის, კანონის პატივისცემა თითოეული ადამიანის პირადი მრწამსი უნდა გახდეს“. არსებითად, ეს სახელმძღვანელო მიითთება ჩვენი ქვეყნის უფლებრივი წყობის და სამართლებრივი ცხოვრების განმსაზღვრელ პირობად გადაიქცა. მთელი მუშაობა სამართლის პროპაგანდის დარგში ხორციელდება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, ადმინისტრაციული ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პრესის, ტელერადიომაუწყებლობის, სამეცნიერო-სასწავლო, კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთობლივი ღონისძიებებით, რასაც გარკვეული დადებითი შედეგი მოაქვს. ამოცანა ის არის, რომ მოქალაქეები მარტორდენ კი არ ერკვეოდნენ კანონების შინაარსში, არამედ სამართლებრივი აღზრდის შედეგად ისინი კანონისა და კანონიერების დაცვის თავგამოდებულ ქომაგად გადაიქცნენ.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა ახალ კონსტიტუციაში მოცემული პრინციპების პროპაგანდის, მთელი ჩვენი საზოგადოების სამართლებრივი გათვითცნობიერების, მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლების მნიშვნელობაზე. თქვა, რომ სამართლის პროპაგანდის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ხარვეზია. ეს პირველ რიგში ითქმის შრომის კანონმდებლობის პროპაგანდაზე. მოხსენებაში ხაზი გაესვა თუ რა როლს ასრულებს მასობრივი პოპულარული იურიდიული ლიტერატურის გამოცემა საერ-

თოდ და განსაკუთრებით ახალგაზრდობის სამართლებრივ აღზრდაში.


„სახელმწიფო და პიროვნება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიხედვით“ ასეთა იყო საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილის ა. აბესაძის მოხსენების თემა.

ახალი კონსტიტუციის მეორე კარის მიმართ, თქვა მან, რომელიც ეხება სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობას, საყოველთაო-სახალხო განხილვის პერიოდში წამოყენებული იქნა ყველაზე მეტი წინადადება. ეს კარი უშუალოდ ეხება მილიონობით საბჭოთა ადამიანის უფლებებს, ინტერესებს და სასიცოცხლო მოთხოვნილებებს. წინადადებების ნაწილი გაზიარებულ იქნა ცენტრალური საკონსტიტუციო კომისიის მიერ და შევიდა ახალი კონსტიტუციის ტექსტში. კონსტიტუციის მეორე კარში შესული 35 მუხლიდან ცვლილება შეეხებ 22-ს. თუ გავაანალიზებთ კონსტიტუციის პროექტში შეტანილ შესწორებებს და დამატებებს, დავინახავთ, რომ მათი მცირე ნაწილი რეაქციული ხასიათისაა (22 შენიშვნიდან 6), უმრავლესობა კი არსებითი ხასიათისაა. ტექსტში მათი შეტანით უფრო დაიხვეწა და მდიდარი გახდა ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი. შემდეგ მომხსენებელმა დამსწრეთ გააცნო თუ რა შესწორებები და დამატებები იქნა შეტანილი მეორე კარის მუხლებში.

„განცხადებების, საჩივრებისა და სხვა საქმიანი ქაღალდების შედგენაში ადვოკატთა მუშაობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ — ეს იყო საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივნის ლ. ზაჩიკის თემა.

ადვოკატი — თქვა მომხსენებელმა — მრავალეა განსაკუთრებული სიზუსტით შეადგინოს სასარჩელო განცხადებები, საჩივრები, ხელშეკრულებების პროექტები და სხვა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად ან აღსადგენად. იურიდიული კონსულტაციების გამოცემის მიერ ადვოკატთა საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერების წყალობით გაუმჯობესდა საქმიანი ქაღალდების შედგენის ხარისხი. სამწუხაროდ ზოგიერთი ადვოკატი საბუთებს იმდენად ზერეულად და გაუმართავად ადგენს, არაფრით არ ჩანს, რომ ისინი იურისტის დაწერილია.

თუ ადვოკატმა კარგად არ იცის რუსული ენა, საბუთების შედგენის დროს მოვალეა დაინახოს ამ ენის მცოდნე პირი, ვინაიდან უზიგურია დოკუმენტების წარდგენის შემ-



დღე შთაბეჭდილება უფუჭდებათ არა მარტო მის ავტორზე, არამედ მთლიანად რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიაზე. ჩვენთან ბევრია კარგი ადვოკატი, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთებიც, რომლებსაც აკლიათ პროფესიული მომზადება. მეტი დრო უნდა მოვან-

დომოთ საკუთარ თავზე მეცადინეობას, რათა ავამაღლოთ ჩვენი მუშაობის ხარისხი. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდენ ადვოკატი ჯ. ბაქრაძე და გ. უხვაია. კონფერენციამ შეიძულება და მიიღოს სათანადო რეკომენდაციები.

შესვენება პროკურატურის ვეზირებთან და დემსხურებულ იურისტებთან

საქართველოს სსრ პროკურატურის და საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის კალინინის რაიონული ორგანიზაციის სამართლის სექციის ინიციატივით ცენტრალური აპარატის მუშაკები შეხვედნენ პროკურატურის ორგანოების ვეტერანებს და დამსახურებულ იურისტებს გრ. ბიწაძეს, ვ. ხმალაძეს, ზ. ბახიშვილს, ც. სიმონიშვილს, შ. ჭანტუიას, ლ. კანდელაკს, პ. ხოფერიას, კ. კანდელაკს, ლ. კობხიძეს, დ. ფოჩიანს, ნ. ბარამიძეს, თ. ფოცხვერიას, გ. ცირამუსს, რ. ყიფიანს, ქ. ხიდუშელს, ე. აბაშიძეს, ე. გოგუაძეს, ნ. მირზიაშვილს, მ. აღხაზაშვილს და სხვებს.

შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებას, გახსნა საქართველოს სსრ პროკურატურის მოადგილემ ა. ბარამიძემ. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი, საზოგადოება „ცოდნის“ კალინინის რაიონული ორგანიზაციის სამართლის მეთოდური სექციის თავმჯდომარე ი. გაბისონია.

ვეტერან და დამსახურებულ იურისტებს მიესალმნენ საქართველოს სსრ პროკურორი ლ. თალაკვაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, იურდიულ მეცნიერებათა დოქტორი თ. შავგულიძე, რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, საქართველოს სსრ დამსახურებულ იურისტი რ. ყიფიანი, საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორი, მწერალი ი. ჩადუნელი, რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო საქმე-

თა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი, ადგილკომის თავმჯდომარის მოადგილე ზ. ჩერქეზიშვილი.

ახალგაზრდა იურისტ-პრაქტიკოსთა სახელით ვეტერან იურისტებს მიესალმა რესპუბლიკის პროკურატურის არასრულწლოვანთა განყოფილების პროკურორი, ალკკ კომიტეტის მდივანი მ. მერაბიშვილი.


ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა იმ აღამიანთა მიმართ, რომელთა საქმიანობაზეც ბევრად იყო და არის დამოკიდებული ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ავ-კარგი, რომელთა აქტიურობა დამოკიდებულებამ საზოგადოებრივი საქმიანობისადმი წარმოაჩინეს მათი მოქალაქეობრივი სახე.

დამსწრეთ მადლობა გადაუხადეს და მოგონებებით გამოვიდნენ: საქართველოს სსრ პროკურატურის ყოფილი პირველი მოადგილე, პერსონალური პენსიონერი, ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის იურიდიული განყოფილების გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი გ. ბიწაძე, პერსონალური პენსიონერი, ამჟამად ტელევიზიის რედაქტორ-კომენტატორი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი ვ. ხმალაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი მ. აღხაზაშვილი.

გამოითქვა სურვილი, რომ ვეტერან და დამსახურებულ იურისტებთან შეხვედრა, რომელიც პირველად მოეწყო, ტრადიციად იქცეს.

რესპუბლიკის პროკურატურის ადგილკომმა მოწვეულ სტუმრებს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

დასასრულ ნაჩვენები იქნა მხატვრული ფილი.



კრიტიკონ და თეორიკონებს ნახედი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ ხანს გამართულ პლენუმებზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენი რესპუბლიკის სამინისტროებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე, რომ მათ ვადაჭრით უნდა უყუავდნენ უნიციტივობა, ბიუროკრატიაში და ფორმალიზმი, რომ მინისტრიდან მოყოლებული, აპარატის თითოეული მუშაებრიმად და ვრცლად იხედებოდეს ცხოვრებაში, იყოს დისციპლინიანი, მომთხოვნი როგორც საკუთარი თავისადმი, ისე აპარატისა და თავისი სისტემის სხვა მუშაეებისადმი, გამოაჩინოს საქმის სიყვარული, შეატყობდნენ შიშის სიყალბესა და თვალისახვევას, სხვადასხვა დანაშაულსა და სიმბახიჯეს, რაც სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად ხდება.

ნეგატიურ მოვლენებთან შეუბრუნებლობის სულიკვეთებით განმსჭვალულნი მოვიდნენ თავიანთი პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კომუნისტები და სწორედ ეს აზრი გასდევდა თან პარტიურის მდივნის ი. ალანიას მოხსენებასაც.

იუსტიციის სამინისტროს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, — თქვა მომხსენებელმა, — დაკავშირებული იყო ზემდგომი ორგანოების იმ სახელმძღვანელო დადგენილებების ცხოვრებაში გატარებასთან, რომლებიც რესპუბლიკის აღმინისტრაციული ორგანოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას ეხება. განხორციელებული დონისიებების შედეგად ჩვენს კოლექტივში უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა შრომის დისციპლინა, გაიზარდა პასუხისმგებლობა და რაც მთავარია, არსებითად შეიცვალა სამინისტროს მუშაკთა ურთიერთდამოკიდებულება, მომთხოვნელობა, ამაღლდა დავალებათა შესრულების ხარისხი.

სამინისტროს პარტიული ორგანიზაციისა და, საერთოდ, მთელი კოლექტივის საქმიანობაში თვალნათლივ შეიმჩნევა წინსვლა, მაგრამ ვასაყებებელი ჯერ კიდევ ბევრია. ამის მიზეზი ის არის, რომ ყველა კომუნისტი ერთნაირი მონდომებით არ ასრულებს მუდმივ დავალებებს, არ ცდილობს ყოველდღიურად აიმაღლოს თავისი პროფესიული დონე, ისწავლოს და სხვადასხვა სწავლოს. აღ-


ბათ ამითაა განპირობებული, რომ თითქმის არ სწორდება კადრების შერჩევისა და განაწილების დროს დაშვებული შეცდომები, რაც სამინისტროს კომუნისტთა ინერტულობის ბრალია.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა თვითუღი სამმართველოსა და განყოფილების კომუნისტთა საქმიანობაზე, მოიყვანა კონკრეტული მაგალითები იმისა, თუ როგორ ასრულებენ, ან არ ასრულებენ ისინი დავალებებს, რა საკითხებზე ამხავილებენ ყუარდლებას და რა რჩებთ ეურადლებს გარეშე, საერთოდ, როგორია მათი მუშაობის დონე და ხარისხი.

მომხსენებლის ბრველივ განიშართ კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსმა გ. ლილუაშვილმა, სამართლებრივი პრობლემებისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსმა კონსულტანტმა ა. შალიკაშვილმა, სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსმა ე. შეტრეველმა, ადვოკატურის, ნოტარიატის და მმანის ორგანოების სამმართველოს უფროსმა გ. მოხესიანმა, საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს უფროსმა დ. ლაშქარაშვილმა, კანონმდებლობის მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიკისა და კოდიფიკაციის სამმართველოს უფროსმა კონსულტანტმა ნ. გურგენიძემ-ბიჭოურიშვილმა, კანცელარიის უფროსმა ნ. ფიფიამ და სამინისტროს ადგილკომის თავმჯდომარემ გ. კელიძემ.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე გ. ტყეშელიაძე. მანვე გააკეთა ინფორმაცია — „თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ გაწეული მუშაობის შესახებ“.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშანავაშვილი. არჩეულ იქნა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს პარტიურის და პარტიული კონტროლის ახალი შემადგენლობა.



სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცებისათვის

საქართველოს სსრ პროკურატურის ღია პარტიულმა კრებამ განიხილა საერთო სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცებისათვის ცენტრალური აპარატის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის პროკურატურის პარტიული კომიტეტის მდივანი ხ. მაჭავარიანი.

კრებაზე აღინიშნა, რომ ბოლო ხანს პროკურატურის ორგანოები უღარესად პრინციპულ დონისძიებებს ახორციელებდნენ რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ახალი კონსტიტუცია, რომელიც ასახავს ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი ოთხი ათეული წლის განმავლობაში მომხდარ დიდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ძვრებს, ამასთან ერთად, შეიცავს პრინციპული ხასიათის ახალ დებულებებს, რომელთა რეალიზაციამ, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისის პლენუმზე ლ. ბრეჟნევიმ აღნიშნა, თვისობრივად ახალ დონეზე უნდა აიყვანოს აღმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა.

ყოველდღიურად იზრდება პარტიისა და მთავრობის მოთხოვნები აღმინისტრაციული ორგანოებისადმი, — აღნიშნა მომხსენებელმა, — იზრდება პროკურატურის ორგანოების როლი სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში.

...საჭირო და აუცილებელია სრულყოფილ ამ ორგანოთა მუშაობის სტილი და მეთოდები, ზუსტად განვსაზღვროთ თვითნებური მუშაობის პასუხისმგებლობა დაევალებებისა და პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისადმი, ვებრძოლოთ ბუროკრატიზმს, საქმის გაჭიანურებას, უღისციბლინობას.

პარტიულ კრებაზე სერიოზულად იმსჯელეს რესპუბლიკის პროკურატურის ცენტრალური აპარატის საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ ხარვეზებისა და ნაკლოვანებების შესახებ.

რესპუბლიკის პროკურატურის პარტიული ორგანიზაციების მთელი საქმიანობის ღრმა და

ობიექტური ანალიზი, — თქვა ხ. მაჭავარიანი, — გვიჩვენებს, რომ რიგი განყოფილებების პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დღე სრულად ვერ პასუხობს ამ მოცინებს, რომელიც ღვას რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების წინაშე. მათს მუშაობაში აღვილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, არ იზრდნობა სიმწვავე და პრინციპულობა. პარტიული ორგანიზაციები სათანადო კონტროლს არ უწყვენ განყოფილებათა საქმიანობას, მკაცრ და პრინციპულ მოთხოვნებს არ უყენებენ კომუნისტებს, თვითნებურ მუშაებს, უგულვებელყოფენ პერსონალურ პასუხისმგებლობას.

მომხსენებელმა გააპრიტიკა მთელი რიგი განყოფილებები და მათი პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა ვერ პასუხობს სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობათა მიერ დასახულ ამოცანებს.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით წარმართა მოხსენების შემდეგ გამართული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საერთო ზედამხედველობის განყოფილებების უფროსმა რ. ყიფიანმა, საკონტროლო-საინსპექტორო განყოფილების უფროსმა ა. ხილინმა, კადრების განყოფილების პროკურორმა ბ. ტრაქტენბერგმა, სასამართლოებში სამოქალაქო საქმეებზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორმა რ. პიტავამ, თავისუფლების აღკვეთის აღკვეთებზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორმა კ. გახარიაშვილმა, საგამომძიებო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა გ. მდივანაშვილმა.

კრების მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამამდივანის მოადგილემ გ. ტყეშელაშვილმა.

კრებამ მიიღო გრძელი დადგენილება, რომელშიც დასახულია ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის აღდგომის მიზნით.

კლავსკომის ახალგაზრდობა კანონისადმი პატივისცხით

მოსწავლე ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდა უკანასკნელ ხანს მასშტაბურად წყდება. ამ მიზნით ბევრი მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. ერთ-

ერთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საგნის — „საბჭოთა სამართლის საფუძველები“ სწავლება. ამას წინათ იუსტიციის სამინისტროში გა-

იმართა შეხვედრა ქ. თბილისის იმ საშუალო სკოლების დირექტორებთან და პედაგოგებთან, სადაც ისწავლება ეს საგანი. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ბ. შუშანაშვილი, მინისტრის პირველი მოადგილე ზ. რბინიანი, მინისტრის მოადგილეები ბ. ბჰმსხპმ, გ. ცვიტიშვილი.

შეხვედრა, რომელიც საქმიან და მეგობრულ ვითარებაში გაიმართა; გახსნა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ბ. ბჰმსხპმ. მან აღნიშნა, რომ იუსტიციის სამინისტროს სხვა უმნიშვნელოვანეს ფუნქციებთან ერთად სამართლის პროპაგანდის მისიაც აქვს. ამ პროპაგანდის ერთ-ერთი ქვაკუთხედი სკოლებში მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდა, რაც მოზარდთა იდეოლოგიური და ზნეობრივი აღზრდის ორგანულ ნაწილად იქცა.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა იუსტიციის მინისტრი ბ. შუშანაშვილი, რომელმაც სტუმრებს გააცნო მთლიანად სამინისტროს და მისი ცალკეული სამართლებრივი საქმიანობა.

მინისტრმა ხაზი გაუსვა იმას, რომ კანონის ცოდნა უდავოდ დიდი სარგებლობის მომტანია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია კანონის მიმართ პატივისცემის ჩანერგვის პრობლემა. მოზარდის ფსიქიკაში კანონის შესრულების ჩვევის გამომუშავება ურთულესი პრობლემაა და მართლ სამართლის გვერდითი სახეობებით ვერ შემოიფარგლება. მოსწავლემ უნდა იგრძნოს კანონი, კანონის ავტორიტეტი.

მინისტრის პირველი მოადგილე ზ. რბინიანი დამსწრეთ ესაუბრა მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის ცალკეულ აქტუალურ საკითხებზე. მან თქვა, რომ სამართლებრივი აღზრდის დედააზრია საბჭოთა სამართლის პრინციპების ათვისება; საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების შესწავლა; მისდამი ღრმა პატივისცემის ჩანერგვა, რომელიც კანონისადმი რწმენაში უნდა გადაიზარდოს.

სტუმრებს სთხოვეს, ყოფილიყვნენ გულწრფელნი, ეთქვათ თუ რა დახმარება სჭირდებათ, რა წინადადებები და სურვილები აქვთ სკოლებში სამართლებრივი აღზრდის გასაუმჯობესებლად. ეს მითხრებდა აუცილებელია, რადგან როგორც შემოწმებამ გვიჩვენა ბევრ სკოლაში „საბჭოთა სამართლის საფუძვლებს“ გადასცემენ არაიურისტი პედაგოგები, რომლებიც ელემენტარულ სამართლებრივ საკითხებში ვერ ერკვევიან.

— გმისათვის, რომ სამართალმცოდნეობის შესწავლა უფრო ეფექტური გახდეს, ვაყენებ სამ საკითხს — თქვა ქ. თბილისის მგ-100

საშუალო სკოლის დირექტორმა დ. შალაშვილმა. სამართალმცოდნეობის მასწავლებლად უნდა დაინიშნონ იუსტიციის ან სხვა კომპეტენტური ორგანოების მუშაკები.

ამით ამაღლება ამ საგნის მასწავლებელთა ავტორიტეტი მოსწავლე ახალგაზრდობაში. მართალია იურისტებს ერთგვარად გაუძნელებდათ მეთოდოლოგიაში დახელოვნება, მაგრამ ეს უფრო მარტივია, ვიდრე ჩვეულებრივი პედაგოგებისათვის იურიდიული ტერმინოლოგიის ათვისება და სპეციფიური სამართლებრივი საკითხების მოსწავლეთათვის გადაცემა.


იუსტიციის სამინისტრომ კომპეტენტური სიტყვა უნდა თქვას ქალაქის საბჭოს იმ გადაწყვეტილების შესრულებაზე, რომელიც შეეხება ახალგაზრდობისათვის მაგარი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის მიყიდვის აკრძალვას. საჭიროა ამაზე დაწესდეს სათანადო ორგანოების მეცადინეობა კონტროლი.

დ. შალაშვილის აზრით, უნდა დაწესდეს დანაშაულის ჩამდენი ბავშვების მშობლების პასუხისმგებლობა.

საინტერესო იყო 154-ე საშუალო სკოლის დირექტორის, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ნ. შპაბსელინის გამოსვლა. მან წამოაყენა წინადადება მოეწყოს ამ საგნის პედაგოგთა შეკრება, რაც ხელს შეუწყობს საბჭოთა სამართლის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესებას. აუცილებელია, თქვა მან, სამართლის ცალკეული თემების მეთოდურად დამუშავება, დამხმარე კრებულების გამოცემა მასწავლებლებისათვის. ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგეს პედაგოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

თბილისის მგ-ე საშუალო სკოლის პედაგოგმა ი. პირველიძემ აღნიშნა, რომ საბჭოთა სამართლის ძირითადი საკითხები უნდა იცოდნენ არა მარტო ამ საგნის სპეციალისტებმა, არამედ ყველა პედაგოგმა. ბავშვის სამართლებრივი აღზრდა ლოგიკურად უკავშირდება მის ზნეობრივ და ეთიკურ აღზრდას. კარგი იქნებოდა შესაბამისი ლიტერატურის გამოცემა, რაც ძალიან დაგვიხმარებოდა მუშაობაში.

შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სახელმძღვანელო „საბჭოთა სამართლის საფუძვლები“ მეტად სქემატურია და ბევრი ხარვეზი აქვს. დაწერილია მიძიმე ენით. ბავშვი იზვიანობს ცალკეულ ნორმებს, ღრმად კი ვერ სწვდება მას. სასარგებლო იქნებოდა ამა თუ იმ ნორმის საილუსტრაციოდ



გამოყენებული ყოფილყო მაგალითები პრაქტიკიდან, რაც სწავლების პროცესში თვალსაჩინოების როლს შეასრულებდა.

პედაგოგებმა გამოთქვეს აზრი, რომ სასურველია სკოლებში სამართლებრივ საკითხებზე ხშირად მოეწყოს ლექციები, როგორც

მოსწავლეთათვის ისე პედაგოგებისათვის. კარგი იქნებოდა აგრეთვე თუ სამინისტრო-გამოყოფდა საკონსულტაციო დღეებს პედაგოგებისათვის თვით იუსტიციის სამინისტროს შენობაში. წინადადება მიღებულ იქნა ასეთი შეხვედრები დროდადრო გაიმართება.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საქართველოს საზოგადოების საბუნებისმეტყველო-მათემატიკური, საზოგადოებრივი და სამართლის მეცნიერებათა სექციების ინიციატივით გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების საბუნებისმეტყველო-მათემატიკური, საზოგადოებრივი და სამართლის მეცნიერებათა სექციების ინიციატივით გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

მომხსენებელი გამოვიდნენ საბუნებისმეტყველო-მათემატიკური სექციის პრეზიდენტი პროფ. ვ. შარვაში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექციის პრეზიდენტი აკად. პ. გუგუშვილი და სამართლის სექციის პრეზიდენტი პროფ. გ. შვანია.

მომხსენებლებმა ვრცლად და საინტერესოდ გააცნეს დამსწრეებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების კავშირ-ურთიერთობას საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის დაწესებულებებთან და მოღვაწეებთან. ეს კონტაქტები ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მშვიდობიანი თანაპროგრესის პრინციპების დამკვიდრებას.

სამართლის სექციის პრეზიდენტმა პროფ. გ. შვანიამ მოკლედ მიმოიხილა საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა, მოიყვანა კონკრეტული მაგალითები და აღნიშნა, რომ

უქანასკნელ ხანს გაიზარდა უცხოელი იურისტების და საერთოდ პოლიტიკური მოღვაწეების ინტერესი საბჭოთა სახელმწიფოს, კერძოდ კი საქართველოს და მართლწესრიგის საკითხებისადმი. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ სულ უფრო მეტი უცხოელი იურისტი ჩამოიღის საქართველოში არა როგორც ტურისტი, არამედ სპეციალური სამეცნიერო მივლინებითაც. საზოგადოების გამგეობის ინიციატივითა და დახმარებით ეწყობა სამართლის სექციის წევრთა შეხვედრები უცხოელ კოლეგებთან. ეს მეტად სასარგებლოა. ამას ადასტურებს შედეგებით ობიექტური ჩასიათის საინფორმაციო მასალა და არაერთი სპეციალური პუბლიკაცია, რომლებიც უცხოეთის ქვეყნებში გამოქვეყნდა. მომხსენებელმა აღნიშნა ისიც, რომ უქანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაზარდა ქართველ მეცნიერ იურისტთა მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებზე და სიმპოზიუმებში. ეს ფრიადმნიშვნელოვანია საზღვარგარეთ რესპუბლიკის იურიდიული მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდისათვის.

მომხსენებლის შემდეგ გაიმართა კამათი, რომლის მონაწილეებმაც დადებითად შეაფასეს სექციების მუშაობა და წამოაყენეს კონკრეტული წინადადებები მათი მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავება-გაფართოებისათვის.

ჟურნალ „პრაკოვკაინის“ მკითხველთა კონფერენცია

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ჟურნალ „პრაკოვკაინის“ მკითხველთა კონფერენცია.

მომხსენებით გამოვიდა ჟურნალის რედაქტორის მოადგილე, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ი. ა. ტოდსტალი.

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების შინაარსზე და სარედაქციო კოლეგიის გეგმებზე,

გამოთქვა სინანული იმის გამო, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან, კერძოდ, საქართველოდან ძალიან ცოტა სტატიები იბეჭდება ჟურნალის ფურცლებზე და მოუწოდა დამსწრეთ უფრო ენერგიულად დაეხმარონ ჟურნალს აქტუალური სამართლებრივი პრობლემების დაშლუშვებში, რათა განხორციელდეს სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი ურთიერთობების შემდგომი მოწესრიგებისათვის. მანვე კონფერენ-

ნციის მონაწილეებისათვის, წაიკითხა ლექცია საბინაო კანონმდებლობის სრულყოფის პრობლემებზე.

კონფერენციაზე სიტყვები წარმოთქმეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა: მ. ხუციშვილმა, ლ. შევცოვამ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. შ. ჩიკვაშვილმა, დოც. ვ. ლორიაშვილმა და სხვებმა.

კონფერენციის მუშაობა შეჯამა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. ნ. წერეთელმა.

პროფ. ი. ტოლსტოომ მადლობა გადაუხადა კონფერენციის მონაწილეებს გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისათვის და აღუთქვა მათ, რომ ეურნალი თავის მომავალ მუშაობაში გაითვალისწინებს მკითხველთა სურვილებს.

თეორიული კონფერენციები

1977 წლის 27 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრამ მოაწყო თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამეცეც წლისთავს. კონფერენციის მონაწილეთა წინაშე საინტერესო მოხსენებებით საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე გამოვიდნენ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

„საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ძირითადი ეტაპები“ — ასეთი იყო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გ. ინჭირველის მოხსენების თემა. მოხსენებელმა დამსწრეთ გააცნო მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითადი დებულებები სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების საფეხურების შესახებ და აღნიშნა, რომ საერთო-სახალხო სახელმწიფო ცნების შემოტანამ სამეცნიერო-პოლიტიკურ ლიტერატურაში განაპირობა არსებითი სახელმწიფოს სოციალისტური სახელმწიფოს პერიოდიზაციის საკითხშიც. შემდეგ მან დაახასიათა კომუნისტური პარტიის თეორია პროლეტარატის დიქტატურის სახელმწიფოს საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაზრდის შესახებ, ილაპარაკა ამ სახელმწიფოს ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებზე. მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა იმ საკითხზე, თუ როგორ იზრდება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი საერთო-სახალხო სახელმწიფოს პირობებში.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ერემოვი წარსდგა მოხსენებით: „ოქტომბრის დეკრეტები — საბჭოთა სახელმწიფოს პირველი საკონსტიტუციო აქტები“. მან მიმოიხილა საბჭოთა კონსტიტუციის შექმნა-განვითარების ისტორია, გააცნო მსმენელებს საბჭოთა სახელმწიფოს პირველი კონსტიტუციის მიღებამდე მოქმედი დეკრეტები: მომხსენებლის ერთ-ერთი

ძირითადი დებულება ის იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტები გახდა საკანონმდებლო ბაზა სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისა, რაც შემდეგში კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა სახელმწიფოს პირველი, 1918 წლის კონსტიტუციით.

საინტერესო იყო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ვ. ლორიას მოხსენება — „საბჭოთა ადმინისტრაციული კანონმდებლობის შექმნა და განვითარება“. მომხსენებელმა კონფერენციის მონაწილეებს გააცნო მოკლედ საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის განვითარების ისტორია. ეს დარგი — თქვა მან — ყველაზე მეტად განიცდიდა ცვალებადობას, რამდენადაც უშუალოდ იყო დაკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებასთან, საბჭოთა სახელმწიფოს აღმასრულებელ-განმაკრებულ ხელსამართლებასთან. დღეს განსაკუთრებით აქტუალურად დგას საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის კოდიფიკაციის საკითხი. სკაკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 სექტემბრის დადგენილება საბჭოთა კანონმდებლობის ერთიანი კრებულების გამოცემის შესახებ, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, გულისხმობს აგრეთვე საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის კოდიფიკაციასაც. საბჭოთა კანონების კრებულების გამოცემის პროცესში უნდა გადაწყვიდეს საბჭოთა ადმინისტრაციული, მატერიალური და პროცესუალური სამართლის კოდიფიკაციის პრობლემებიც.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ ზ. ჭინჯოლაიშვილის თემა იყო „მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სუვერენიტეტი“. მან ვრცლად ისაუბრა საბჭოთა დემოკრატიის სრულყოფაზე, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტზე. ახალი კონსტიტუციით, — თქვა მან —



საკავშირო საწყისების შემდგომ განმტკიცებასთან ერთად მთლიანად შენარჩუნებულია მოკავშირე რესპუბლიკების, როგორც სუვერენული სახელმწიფოს უფლებები, გაფართოებულია მათი მონაწილეობა საკავშირო ორგანოებში.

„ადგილობრივი საბჭოების უფლებრივი სტატუსი“ — ასეთი მოხსენებით წარსდგა კონფერენციის მონაწილეთა წინაშე ა. გვანცელაძე. მოხსენებელმა გააშუქა ადგილობრივი საბჭოების ცალკეული რგოლების საქმიანობა სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული მშენებლობის დარგში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მასალებს, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას შეეხებოდა.

ამავე კათედრის ინიციატივით 1977 წლის 22 დეკემბერს გაიმართა თეორიული კონფერენცია, რომელიც სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებას მიეძღვნა.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გ. ინჭკირველმა თავისი მოხსენება, „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია — კომუნისტური გზის ისტორიული მიჯნა“, მიუძღვნა იმ დიდმნიშვნელოვანი თეორიული დებულებების გაშუქებას, რაც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრენევეს სტატიაში „კომუნისტური გზის ისტორიული მიჯნა“. მოხსენებელმა მოიყვანა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა გამოთქვამები კომუნისტური ფორმაციის პირველი ფაზის, სოციალიზმის საფეხურების შესახებ, რომელიც მხოლოდ მას შემდეგ იწყება, როდესაც აშენებულია მისი საფუძვლები. სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციამ ასახულია სწორედ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეტაპი და საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს საფეხური ჩვენი ქვეყნის განვითარებაში.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გ. ერემოვის მოხსენება იყო „სსრ კავშირის ეროვნული სახელმწიფო წყობილება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში“. მოხსენებელი შეეხო სახელმწიფო წყობილების ფორმის ცნებას, საბჭოთა და ბურჟუაზიული ტიპის ფედერაციის ნიშნებს, საბჭოთა ფედერაციის სახეებს, დეტალურად განიხილა სსრ კავ-


შირის ახალი კონსტიტუციის მესამე განყოფილების შინაარსი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლ. პლექსიდის თემა იყო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საერთაშორისო მნიშვნელობა. იგი შეეხო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის იმ თავს, რომელიც საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის პრინციპებს ეხება. ახალ კონსტიტუციაში იურიდიულად განმტკიცებულია ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად ედო საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას 60 წლის მანძილზე. მრავალი მათგანი დღეს ჩვენი ქვეყნის ზეგავლენით საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებად იქცა. ის ფაქტი, რომ ამ პრინციპებს შიდასახელმწიფოებრივი კანონის ძალა მიენიჭა, კიდევ უფრო განამტკიცებს მათ იურიდიულ ძალას და თვალნათლივ უჩვენებს მთელ მსოფლიოს საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ქვეყნობრივ პროგრესულობას...

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ლორია თავის მოხსენებაში „სახელმწიფო ორგანოთა სისტემა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიხედვით“, შეეხო იმ საკითხებს, რომელმაც უფრო სრულყოფილი და კონკრეტული გახადა ჩვენი სახელმწიფოს ორგანოთა აგებულება და კომპეტენცია. კონსტიტუციური საფუძვლებით დადგინდა ისეთი ორგანოების უფლება-მოვლილება, როგორცაა მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი, სახალხო კონტროლის ორგანოები, სახელმწიფო არბიტრაჟი და სხვა. ახალმა კონსტიტუციამ განსაკუთრებით სრულყოფილად განსაზღვრა ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლებები, სახალხო დემუტატების საბჭოების, როგორც ხალხის სრულხელისუფლებიანობის გამომხატველი ორგანოების ადგილი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში. საგულისხმოა აღინიშნის — დასძინა მოხსენებელმა — რომ კონსტიტუციის 94-ე მუხლი მოითხოვს მმართველობის ყველა ორგანოსა და ორგანიზაციის ანგარიშგებას და კონტროლს სახალხო დემუტატების საბჭოების, მთელი ხალხის წინაშე. ეს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციისა და საქმიანობის დემოკრატიული საწყისების შემდგომი გაფართოების ერთ-ერთი დადასტურებაა.

თეორიულმა კონფერენციებმა დამსწრენი დიდად დაინტერესა.

მოქმედი კანონმდებლობის კრებული პირველი ზომები



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 ივლისის № 427 დადგენილების — „საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მომზადებისა და გამოცემის შესახებ“ — შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობით სამინისტროების, უწყებების, სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და სხვა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ 1974-1980 წლებში უნდა მოამზადოს და გამოსცეს „საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებული“. კრებული გამოიცემა ქართულ და რუსულ ენებზე, სამსახურებრივი სარგებლობისათვის.

კრებული შედგება 19 ტომისა და 29 კარისაგან.
საქართველოს სსრ მოქმედი კანონმ-

დებლობის კრებულში შეტანილია მოქმედი საკანონმდებლო აქტები და საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებები, რომლებსაც ნორმატიული მნიშვნელობა აქვს. კრებულის ყველა კარი იყოფა თავებად და პარაგრაფებად. აქტები განლაგებულია თემის თანმიმდევრული განვითარების მიხედვით, ხოლო სადაც ეს შეუძლებელია, — ქრონოლოგიური წესით.

კრებულში შეტანილი არ არის შემდეგი საკანონმდებლო აქტები (აქტის ნაწილები):

- დროებითი ხასიათისა.
- ერთჯერადი მოქმედებისა, გარდა იმ აქტებისა რომლებიც შეიცავს დაჯილდოებას, დებულებების, ინსტრუქციების, წესებისა და სხვათა გამოცემას;
- რომლებიც შეეხება ცალკეული დაჯილდოების აქტებს;

აღრე მიღებული აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ;

აქტები, რომელთა ტექსტიც შეტანილია ცვლილებები ან დამატებები, კრებულში შეტანილია მოქმედი რედაქციით. ყოველი აქტი მთლიანად თავსდება მხოლოდ ერთ კარში. თუ აქტი, თავისი შინაარსით, კრებულის ორ ან რამდენიმე კარს ეხება, იგი იმ კარშია შეტანილი, რომელსაც მიეკუთვნება თავისი ძირითადი შინაარსით. ყოველ წიგნს ერთვის ქრონოლოგიური საძიებელი, ხოლო კარს — ანბანური საგნობრივი საძიებელი.

ახლახან სამინისტროს მიერ გამოცემულია I კარის პირველი წიგნი — „კანონმდებლობა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობის შესახებ“, რომელიც შედგება საქართველოს სსრ კონსტიტუციის — ძირითადი კანონის, ტექსტისა და სამი თავისაგან.



ბიბლიოგრაფია

ქრნალ „საზქოთა საპართალში“ 1977 წელს გამოქვეყნებული მასალების ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

მოწინავე, სარედაქციო სტატიები, ოფიციალური ცნობები

ბრძანება სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა საქართველოს სსრ პროკურორის დანიშვნის თაობაზე. № 1, გვ. 2.

განვითარებულ სოციალისტური საზოგადოების მანიფესტი. № 2, გვ. 3-6.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ. № 6, გვ. 3-9.

დიდი ოქტომბრის გზით. № 2, გვ. 3-7.

კონსტიტუცია მოქმედებს, ცოცხლობს, მუშაობს. № 5, გვ. 33-37.

საქართველოს სსრ წადის ახალი კრდექსი. № 1, გვ. 4-7.

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგების გამო. № 1, გვ. 3.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტისა და კონსტიტუციის

დებულებათა პროპაგანდის

საკითხავაჲ.

ერემოვი გ. — საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღების თარიღისათვის. № 3, გვ. 32-34.

ჯუბოვი ი. — კანონთა ერთიანობის ინტერესებისათვის. № 4, გვ. 33-34.

ინჟირველი გ. — პოლიტიკური სისტემის საკითხები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში. № 3, გვ. 7-15.

ლომიძე მ. — ახალი კონსტიტუციის პროექტის ზოგიერთი სიახლის შესახებ. № 3, გვ. 16-22.

ნადარეიშვილი გ. — სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი საკითხი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტში. № 4, გვ. 14-20.

ნაკეცია გ. — სსრ კავშირის კონსტიტუცი-

ის პროექტის თავისებურებათა ზოგიერთი ასპექტის შესახებ. № 4, გვ. 9-13.

წერეთელი თ. — სსრ კავშირის კონსტიტუცია და სოციალისტური კანონიერების ამოცანები. № 5, გვ. 38-46.

ჯანაშია ლ. — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი და საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი. № 4, გვ. 23-31.

ჯორბენაძე ს. — სოციალისტური ჰუმანიზმისა და დემოკრატიის ზეიმი. № 4, გვ. 3-8.

სახელმწიფოსა და საზოგადოების თეორია, ისტორია, პოლიტიკური მოძღვრებები

ისტორია, სახელმწიფო,

ადმინისტრაციული, საპარტაზოროსო

სამართალი

ბანძელაძე გ. — დისციპლინის ცნების, არსისა და მნიშვნელობის საკითხისათვის. № 2, გვ. 15-23.

ბაღათურია მ. — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. № 2, გვ. 8-14.

ინჟირველი გ. — საბჭოთა სახელმწიფო ოქტომბრის რევოლუციის მესამე ფლისთაზე. № 6, გვ. 29-37.

ლორია ვ. — ზოგიერთი სიახლე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროში. № 2, გვ. 24-33.


ჯორბენაძე ს. — საბჭოთა კანონმდებლობისა და სამართლის მეცნიერების განვითარება 60 წლის მანძილზე. № 6, გვ. 38-46.

სამოქალაქო სამართალი, პროცესი,

სამეურნეო, საოჯახო სამართალი,

არბიტრაჟი

ადგიშვილი ლ. — ახალი დებულება საპარტაზოროსო მისთვის მიყენებულ ზარალის გამო



მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური პასუხის-მგებლობის შესახებ. № 2, გვ. 34-40.

არბიტრაჟის პრაქტიკა. № 1, გვ. 90-93.

გურგენიძე ვ. — დოკუმენტების აღრიცხვის, დაცვის და გამოყენების ახალი კანონი. № 3, გვ. 48-55.

გელუჯაშვილი ლ. — არასრულწლოვანთა ქმედუნარიანობის ფარგლები. № 4, გვ. 46-59.

მისკარიანი ე. — მშობელთა უფლებების წარმოშობის საფუძვლების გაფართოების საკითხისათვის. № 3, გვ. 35-38.

ნინიძე თ. — პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები. № 1, გვ. 8-12.

რუსთაშვილი ჯ. — მართლწინააღმდეგობის შინაარსის სამოქალაქო სამართალში. № 1, გვ. 27-33.

სუსტიკაშვილი დ. — თვითნებური მშენებლობა და სამოქალაქო უფლებები. № 5, გვ. 47-58.

სისხლის სამართალი, კრიმინა,

კრიმინოლოგია, კრიმინალისტიკა

ალავიძე შ. — ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი მიზეზები. № 1, გვ. 57-60.

გაბაიანი ა. თოდუა ა. — ალკოჰოლიზმის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგის შესახებ. № 6, გვ. 47-55.

გაყურელიძე ო. — დავეთანხმით თუ არა ა. ხონაიკის წინადადებას. № 5, გვ. 68-73.

ვეკუა გ. — დანაშაულებრივი ქმედების შინაგანი და გარეგანი ფაქტორების თანაფარდობა მიზეზობრიობის ფილოსოფიური პრობლემების ასპექტში. № 1, გვ. 41-47.

მარგალიტაძე დ. — სოციალისტური საკუთრების დაცვა სახალხო კონტროლიორთა სისხლბორცეული საქმეა. № 4, გვ. 35-45.

ტყეშელაიძე გ. — ერთი სადავო საკითხის გამო. № 5, გვ. 59-67.

უგრეხელიძე მ. — გაუფრთხილებლობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში. № 4, გვ. 60-75.

უფიაშვილი შ. — საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ზოგიერთი პროცესუალური და ტექნიკური საკითხები. № 1, გვ. 47-56.

შავგულაძე თ. — მართლშეგნების ადგილი დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის ფაქტორთა შორის. № 1, გვ. 34-46.

ხონაიკი ა. — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე და 188-ე მუხლების სრულყოფისათვის. № 3, გვ. 34-43.

ადმინისტრაციული ორგანოები

მუშაობის პრაქტიკა

აბესაძე ა. — ადმინისტრაციული კომისიების მუშაობა — თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, № 2, გვ. 48-54.

თაღაკვაძე ლ. — სკკპ XXV ყრილობა და რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების ამოცანები. № 1, გვ. 8-12.

კომახიძე მ. — ავამაღლოთ იდეოლოგიური მუშაობის დონე რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებში. № 6, გვ. 56-65.

მაისურაძე ვ. — სახელმწიფო არბიტრაჟში სამეურნეო დავების განხილვის ახალი წესები. № 3, გვ. 44-47.

ნარმაია კ. — ავამაღლოთ საინფორმაციო ანალიზური მუშაობის დონე. № 3, გვ. 48-55.

ჭილაშვილი ვ. — სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი და საპროკურორო ზედამხედველობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები № 4, გვ. 21-32.

თარიღები

ბენიძე ვ. — რევოლუციის კეთილშობილი რაინდი. № 5, გვ. 74-81.

ინაური ა. — სახელთგანი იუბილე. № 6, გვ. 10-20.

ქეთილაძე კ. — კანონიერებისა და მართლწესრიგის სადარაჯოზე. № 6, გვ. 21-28.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბიბლიოგრაფია. ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ 1976 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი. № 1, გვ. 94-96.

ნიკიფოროვი მ. — საინტერესო სამართლებრივ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა. № 3, გვ. 76-79.

ხარაზიშვილი ბ. — ნოდარ დუმბაძის რომანი „თეთრი ბაირაღები“ იურისტის თვალით. № 3, გვ. 80-83.

მხატვრული ნაწარმოებები, ნარკვევები,

ნარკვევი, ინტერვიუ

ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე. ინტერვიუ პროფ. გ. ქვანიასთან. № 2, გვ. 57-62.

ვისოცკი ს. — ცოცხლებს შორის გაუჩინარებულნი. № 1, გვ. 82-87; № 2, გვ. 63-67; № 3, გვ. 67-73; № 4, გვ. 76-78; № 5, გვ. 82-85; № 6, გვ. 66-70.

ნარევი. № 1, გვ. 81.



კანტურია ლ. — ვიყვარდეს ადამიანი.
№ 2, გვ. 55-56.

ოფიციალური მასალა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი).
№ 5, გვ. 3-32.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების
ტყის კანონმდებლობის საფუძვლები.
№ 4, გვ. 80-96.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკის წიადის კოდექსი. № 1, გვ. 61-
79.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზი-
დიუმის ბრძანებულება 1977 წლის 4 ნო-
ემბრისა — დიდი ოქტომბრის სოციალისტურ
რევოლუციის მე-60 წლისთავთან დაკავ-
შირებით ამინტიის შესახებ. № 6, გვ. 84-85.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრე-
ზიდიუმის ბრძანებულება 1977 წლის 27
იანვრისა:

საქართველოს სსრ წიადის კოდექსის სა-
მოქმედოდ შემოღების წესების შესახებ.
№ 1, გვ. 80.

1977 წლის 25 თებერვლისა:

საქართველოს სსრ წიადის კოდექსის სა-
მოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით სა-
ქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების
ძალადაკარგულად ცნობის შესახებ. № 2,
გვ. 68;

„სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ სა-
ქართველოს სსრ კანონის 55-ე მუხლის მეო-
რე ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ.
№ 2, გვ. 69.

1977 წლის 23 მარტისა:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის
საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლში დამა-
ტებათა შეტანის შესახებ. № 2, გვ. 69-70;

საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებ-
ლო აქტის შეცვლის და ძალადაკარგულად
ცნობის შესახებ. № 2, გვ. 70.

1977 წლის 20 აპრილისა:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის
კოდექსის 511 მუხლის შესაბამისად სისხლის
სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავი-
სუფლებულ პირთა მიმართ ადმინისტრაცი-
ული სასჯელის ზომის გამოყენების წესის
შესახებ. № 2, გვ. 71.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კო-
დექსში ცვლილებათა და დამატებათა შე-
ტანის შესახებ. № 2, გვ. 72-78;

საქართველოს სსრ შრომა-გაწორების კო-
დექსში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის
შესახებ. № 2, გვ. 79-84.

1977 წლის 27 აპრილისა:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის
საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და და-
მატებათა შეტანის შესახებ. № 3, გვ. 84-88;

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპ-
როცესო კოდექსში დამატებათა და ცვლი-
ლებათა შეტანის შესახებ. № 3, გვ. 88;

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის
კოდექსის 1651 მუხლში დამატების შეტანის
შესახებ. № 3, გვ. 89.

1977 წლის 30 ივნისისა:

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კო-
დექსში ცვლილებებისა და დამატებების შე-
ტანის შესახებ. № 3, გვ. 89-92.

არასრულწლოვანთა კომისიების დებულე-
ბაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის
შესახებ. № 3, გვ. 92-95;

ცხოველთა და ფრინველთა მიმართ სასტი-
კო მოპყრობისათვის პასუხისმგებლობის შე-
სახებ. № 3, გვ. 96.

1977 წლის 28 ივლისისა:

ამხანაგური სასამართლოების დებულები-
სა და ამხანაგურის სასამართლოების მუშაო-
ბის საზოგადოებრივი საბჭოს დებულების
დამტკიცების შესახებ. № 6, გვ. 71-80.

1977 წლის 1 აგვისტოსა:

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონე-
ბის განზრან განადგურების ან დაზიანებისათ-
ვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.
№ 6, გვ. 81;

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართ-
ლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა
და დამატებების შეტანის შესახებ. № 6,
გვ. 81-83.

ენკორლოგი

ბარათაშვილი ბ., ხოჭოლავაა, კაციაძე ო.,
ა. საგანაშვილის ხსოვნას, № 1, გვ. 88-89.

ბარათაშვილი ბ. — № 6, გვ. 95.

ლომიძე მ. — № 5, გვ. 93.

რატიანი ზ. — ბ. ბარათაშვილის ხსოვნას.

№ 6, გვ. 95-96.

რატიანი ზ. — ღვაწლმოსილი, № 5, გვ.


94-96.

ინფორმაცია. № 2, გვ. 85-96; № 4, გვ. 79;

№ 5, გვ. 86-92; № 6, გვ. 89-95.

ჯიღლა ღირსეულთ. № 6, გვ. 86-88.

ცნობები ავტორთა შესახებ



აგნასამ ალბერტ მიხეილის ძე — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ორმოცამდე შრომის, 3 წიგნისა და 2 ბროშურის ავტორი. სისტემატურად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

შარვიფშური ბაღრი ჰასანი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, რვა შრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი, მეოთხედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ვოიძა ბასარიონ ინოსის ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის ასპირანტი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ლაბარტაშვა აბაკი მირონის ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 8 შრომის ავტორი, მეოთხედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ცინცამა რაზაფ შალვას ძე — იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 10 შრომის ავტორი, სისტემატურად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ლემონჯაშვა ტარიელ სევერიანის ძე — ჩხოროწყუს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან არსებული მეურნეობათაშრომის იურიდიული ჯგუფის უფროსი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

კვიციანი აპოლონ კონსტანტინის ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი 4 შრომის ავტორი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

თალაგვაძე ზაირა შალვას ასული — საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწე საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიზაციის დარგში, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

შლანტი ოთარ ბენიამინის ძე — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი, 4 შრომის ავტორი, 1 წიგნის თანავტორი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

კოჭბანაშვილი ვენო ალექსანდრის ძე — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ავტოტექნიკური გამოკვლევების განყოფილების უფროსი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ბანცამა ნიკოლოზ ილიას ძე — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ავტოტექნიკური ექსპერტი, 11 შრომისა და 2 ბროშურის ავტორი, მეორედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ინჟირველი ვიძი ზაჰარიას ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 50 შრომისა და 5 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ლილუაშვილი თამარი ალექსანდრის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, 18 შრომისა და 4 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ინოვაციური:

გ. ნაწიშივილი — სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემპირიკონალური საფუძვლები.

თ. ნინიძე — მრალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში.

ვ. შანიძე — საექიმო შეცდომა და დანაშაული.

მ. კეკელია — სამართლებრივი ინსტიტუტები ქართულ ფოლკლორში.

ა. გაბიანის, ს. სარჯველაძის რეცენზია — საბჭოთა კრიმინოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენი.

ვ. ვისოცკი — ცოცხლებს შორის გაუჩინარებულნი (დასასრული).

დოკუმენტური კინო სამართლებრივი პროპაგანდის სამსახურში.

არბიტრაჟის პრაქტიკა.

კანონი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ და სხვა წერილები.

ახსოვსა სასურველად!

1. სტატიები და სხვა მასალები რედაქციაში წარმოდენილ უნდა იქნას ავტორის მიერ ხელმოწერილი, ორ ეგზემპლარად, ორი ინტერვალით დაბეჭდილი.

2. თეორიული წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ნაბეჭდ 14 გვერდს, სხვა მასალისა — 8 გვერდს.

რედაქცია დაინტერესებულია მიიღოს მოკლე ცნობები და შენიშვნები აღმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაზე.

3. სტატიაში გამოყენებული ციტატები აუცილებლად უნდა იყოს პირველწყაროსთან შედარებული და ავტორის მიერ ვიზირებული. სქოლიოში უნდა აღინიშნოს ავტორის გვარი, წიგნის გამოცემის წელი, აგრეთვე, ციტირებული მასალის გვერდი.

4. სტატიები და სხვა მასალები დამუშავებული უნდა იყოს ლიტერატურულად და თან დაერთოს ანოტაცია რუსულ ენაზე.

5. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

6. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

7. სამეცნიერო-კვლევითი გეგმით შესრულებულ ნაშრომზე ჰონორარი არ გაცემა.

8. სხვა პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნებული მასალები უფრნაღში არ დაიბეჭდება.

9. უფრნაღის რედაქცია მკითხველებს აწვდის მოკლე ცნობებს ავტორებზე. ამიტომ სტატიებს თან უნდა დაერთოს ავტორის სახელი, მამის სახელი, გვარი (სრულად), დაბადების წელი, სამეცნიერო ხარისხი ან წოდება, რამდენი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის უმნიშვნელოვანესი, სად ეწევა სამეცნიერო-კვლევითს, პედაგოგიურ ან პრაქტიკულ საქმიანობას.

აღნიშნული პირობების დაცვებლად გამომგზავნილი მასალა არ გამოქვეყნდება.



«САБЧОТА САМАРТАЛИ» № 1, 1978 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



3360 50 333.

ИНДЕКС 70185